საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 მაისი ხუთშაბათი 2012 №127 (13 733) ფასი 80 თეთრი




ოცდამეათე [illegible]

ოლიმპიური ნახტომი თელ-ავივში

11

*ლევან კობიაშვილის საქმე*

# გერმანიის საფეხბურთო კავშირმა მოითხოვა

# მოიკვეთოს ერთი წლით!

## ბუნდესლიგის ისტორიას ასეთი სასჯელი არ ახსოვს...

## არ გვინდა, რომ კობიმ კარიერა ასე დაასრულოს!



## ...და იქნებ, ჰერტას პროტესტმა შედეგი გამოიღოს

გუშინ, გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისია დიუსელდორფის სკანდალურ მატჩს („ფორტუნა“-„ჰერტა“ 2:2) კიდევ ერთხელ მიუბრუნდა და ამჯერად იმ ფეხბურთელების სიტუაცია განიხილა, რომლებსაც ხსენებული მატჩის დროს და მის შემდეგ არასპორტულ ქმედებებში ედებათ ბრალი. როგორც იცით, ბერლინელთა ქართველი კაპიტანი ლევან კობიაშვილი მოვლენების ეპიცენტრშია: მას მატჩის მთავარი მსაჯის, ვოლფგანგ შტარკის ფიზიკური შეურაცხყოფა დაჰბრალდა – შტარკმა ოფიციალურად განაცხადა, კობიაშვილმა კისერში მუშტი მითავაზა და რომ არა მოაჯირი, ექვსმეტრიან კიბეზე დავგორდებოდიო. შტარკის თქმით, კობის დარტყმის შემდეგ მას სისხლჩაქცევა გაუჩნდა...

ბევრი იფიქრეს, თუ ცოტა, გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიის წევრებმა 34 წლის ქართველი ფეხბურთელის ერთი წლით დისკვალიფიკაცია (2012 წლის 16 მაისიდან, 2013 წლის 16 მაისამდე) მოითხოვეს. კობის თანაგუნდელებს, კრისტიან ლელს, ანდრე მიატოვიჩს და თომას კრაფტს, რომლებმაც შტარკს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, 2-დან 6 მატჩამდე დისკვალიფიკაციის საფრთხე ემუქრებათ.

„ჰერტასთვის“ კომისიის გადაწყვეტილება მიუღებელია და დედაქალაქური კლუბი პროტესტს აცხადებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კობიაშვილის ბედი ახლა გუნდის ადვოკატზე, კრისტოფ შიკჰარდტზეა დამოკიდებული, რომელიც ეცდება, ბერლინელ ფეხბურთელებს სასჯელები შეუმსუბუქოს. იმედია, გადათამაშების მოთხოვნისას ორგზის ხელმოცარული ადვოკატი ახლა მაინც მოახერხებს რამეს, რადგან ძალიან არ გვინდა, რომ ლევანმა შესანიშნავი კარიერა ასე დაასრულოს.

სეზონი, რომელიც ბუნდესლიგის რეკორდის (336 მატჩი) გამო პირადად მისთვის ტრიუმფალური უნდა ყოფილიყო, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს და (მიუხედავად მომხდარისა, თამამად ვიტყვით) მართლაც სამაგალითო პროფესიონალს, ლევან კობიაშვილს, კარიერის კოშმარად ექცა...

გოტფრიდ ლენცი

*ევრო 2012-ის ამბები*

# ფავორიტები იპრანჭებიან

## იოახიმ ლიოვი
### ფინალი აღარ გამაგონოთ!



5

## ვისენტე დელ ბოსკე
### ფავორიტები არ ვართ






2

## რა უთხრა ქეცბაიამ ყენიას მსურველ კლუბს

## ქართული ფეხბურთი

● U19. ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდი. II ტური. VI ჯგუფი

30.05. ველიკა გორიცა.
სტადიონი რადნიკი

| | |
|---|---|
| საქართველო | 2 |
| ავსტრია | 1 |

1:0 ჭანტურია (40. პ), 1:1 ვასტიჩი (51), ჭანტურია 2:1 (68).

| საქართველო | ავსტრია |
|---|---|
| ტყეშელაშვილი | შტრებინგერი |
| გრიგალაშვილი | ნოიხოლდი |
| სანდოხაძე | შპენდლჰოფერი |
| გაგნიძე | პაინზიპი |
| ჯგერენაია | შოპფი |
| პარუნაშვილი | ვასტიჩი |
| კიკნაველიძე | შტეგერი |
| ყაზაიშვილი | სპირიდონოვიჩი |
| პაპავა | მურგი |
| ჭანტურია | პაველიჩი |
| სხირტლაძე | ვიმერი |
| მწვრთნელი: ო. კორღალიძე | მწვრთნელი: რ. მარკო |

**საქართველო**

37. კიკნაველიძე - **გიგაური**
52. სხირტლაძე - **გელაშვილი**
85. ყაზაიშვილი - **სამუშია**

*სათადარიგოები: ლეგაშვილი, ტვილ-დიანი, ზარნაძე, კვერნაძე.*

**ავსტრია**

82. სპირიდონოვიჩი – **კრენი**
84. მურგი – **პეტროვიჩი**

*სათადარიგოები: ვალტლი, სიმმა, მაშოვიჩი.*

გაფრთხილება: გიგაური (44), სხირტლაძე (45+1), ნოიხოლდი (45+2), ვიმერი (70), ყაზაიშვილი (85).

გაძევება: შპენდლჰოფერი (38).

არბიტრი: ა. ლიჩმანსკი (პოლონეთი)



ავსტრიასთან გიორგი ჭანტურიას დუბლით მოვიგეთ

# ევროფინალს გამარჯვებით დავემშვიდობეთ

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის VI ჯგუფის ბოლო მატჩში ავსტრიას დაუპირისპირდა. ჯგუფიდან მხოლოდ ერთი გუნდი გადიოდა და პირველი ადგილის დასაკავებლად **ოთარ კორღალიძის** შეგირდებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს. მაგრამ ჩვენების ბედი დამოკიდებული იყო მასპინძელი ხორვატიისა და ბოსნიის შეხვედრის შედეგზეც.

... რუბერტ მარკოს გუნდი ავსტრიაში ჩატარებულ საკვალიფიკაციო ეტაპზე დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა: მალტასთან 3:0 მოიგო, მაგრამ ალბანეთთან (0:0) და დანიასთან (0:0) ფრედ ითამაშა და მეორე ადგილზე გავიდა.

გუნდის წამყვანი ფეხბურთელები ცნობილ კლუბებს წარმოადგენდნენ: ორი მოთამაშე იტალიურ გრანდში თამაშობს - თავდამსხმელი **ფილიპ პროსენიკი** "მილანში", მცველი **ლუკას შპენდლჰოფერი** - "ინტერში". ნახევარმცველი **მარსელ რიცმაიერი** ჰოლანდიურ პსვ-ში ირიცხება, ნახევარმცველი **კევინ შტეგერი** კი "შტუტგარტის" ღირსებას იცავს.

... პირველი სახიფათო მომენტი 14-ე წუთზე **ვალერი ყაზაიშვილმა** შექმნა: მისი დარტყმის შემდეგ ავსტრიელები გოლისგან მეკარე **რიჰარდ შტრებინგერმა** იხსნა.

33-ე წუთზე ჩვენები გადარჩნენ: შტეგერის დარტყმის შემდეგ **ლევან ტყეშელაშვილმა** მშვენიერი რეაქცია გამოავლინა და ბურთი მოიგერია.

ანგარიში პირველი ტაიმის მინურულს გაიხსნა: მეკარესთან პირისპირ გასული ქართველი ფეხბურთელი ლუკას შპენდლჰოფერმა მოცელა. პოლონელმა არბიტრმა **ადამ ლიჩმანკიმ** ავსტრიელ მცველს წითელი ბარათი აუფრიალა და ავსტრიელები კაცნაკლული დატოვა, თერთმეტმეტრიანი კი **გიორგი ჭანტურიამ** უნაკლოდ დაარტყა და საქართველო დააწინაურა - 1:0.

რიცხობრივი უმცირესობის მიუხედავად, მეორე ტაიმის დასაწყისში ავსტრიელებმა წონასწორობა მაინც აღადგინეს: 51-ე წუთზე საქართველოს ნაკრების კარი **ტონი ვასტიჩმა** აილო - 1:1.

ავსტრიელებმა სახიფათო მომენტი 58-ე წუთზეც შექმნეს, როდესაც ტყეშელაშვილი **სრდან სპირიდონოვიჩის** დარტყმას გადაელობა.

მაგრამ ავსტრიელებს მაინც მოუხდათ უკან დახევა, რადგან ოთარ კორღალიძის განვრთნილებმა მთელი ძალებით შეუტიეს: ავსტრიელთა მეკარემ ჯერ ყაზაიშვილის სახიფათო დარტყმა მოიგერია, შემდეგ **გიორგი პაპავას** დარტყმული ავსტრიელთა კარს ასცდა. თუმცა, ჯვაროსნებმა თავისი მაინც გაიტანეს: 68-ე წუთზე ჭანტურიამ ზუსტად ითამაშა და ქართველები დააწინაურა - 2:1.

დარჩენილ დროში რეალური საგოლე მომენტები მხოლოდ ავსტრიელებმა შექმნეს, 67-ე წუთზე **ალესანდრო შოპფის** გასროლის შემდეგ ისევ ტყეშელაშვილმა გადაგვარჩინა. საბოლოოდ, საქართველომ მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა - 2:1.

სამწუხაროდ, ეს არასაკმარისი გამოდგა: ხორვატიამ ჯგუფის აუტსაიდერ ბოსნიას 2:0 სძლია, პირველი ადგილი დაიკავა და ევროპის ჩემპიონატის ფინალში სწორედ **დინკო ელიჩიჩის** განვრთნილები ითამაშებენ.

**ხორვატია– ბოსნია 2:0**

1:0 რებიჩი (25), ჩოლაკი (72).

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 3 | 3 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 2. საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 7-6 | 6 |
| 3. ავსტრია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 4. ბოსნია | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**

● კომენტარი

# რა უთხრა ქეცბაიამ ყენიას მსურველ კლუბს
## ტყუპისცალი კალაძეზე: - ეს სწორი პრეტენზია იყო

**ნაკრები მარადიული თემაა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს საშველი ვერა და ვერ დაადგა. ნაკრებში ბოლო დროს მიმდინარე პროცესებზე აზრის გამოთქმა ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ არჩილ არველაძეს ვთხოვეთ, ტყუპისცალს კახა კალაძის ჯეროვნად გაცილებაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა...**

**- ჩვენი ნაკრების ბოლო შეხვედრაზე რას გვეტყოდით?**

- თურქეთთან მატჩის პირველი ტაიმით უკმაყოფილო დავრჩი. მეორე ტაიმისთვის საქართველოს ნაკრებში პოზიტიური ცვლილებები მოხდა. კარგად ჩაერთო თამაშში ლევან მჭედლიძე, დაცვაშიც უფრო მობილიზებულად გამოვიყურებოდით. თუმცა, არ მეგონა, რომ საბოლოო ჯამში სამ გოლს გავუშვებდით. თურქეთის ნაკრებს აკლდა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, თუმცა მათ აქვთ იმის საშუალება, რომ სხვა ფეხბურთელებზეც გააკეთონ აქცენტი.

**- თემურ ქეცბაიამ ლევან ყენია თურქეთთან არ ათამაშა, რასაც ფეხბურთელისგან მწვავე რეაქცია მოჰყვა...**

- ქეცბაიას ძალიან მოსწონს ეს ფეხბურთელი და ძალიან უნდა, რომ ლევანი რაც შეიძლება მალე შევიდეს ფორმაში. ქეცბაიამ ამდენი ხნის უთამაშებელი ყენია ნაკრებში გამოიძახა, ხასიათზე მოიყვანა. ისიც უნდა ვიკითხოთ, ამ ეტაპზე ღირსი იყო ყენია ნაკრებში გამოსაძახებლად? ყენიას ახლა ახალგაზრდულ ნაკრებში შეუძლია თამაში და თავის გამოჩენა. დარწმუნებული ვარ, ქეცბაიას სურვილია, რომ ხელი შეუწყოს ამ მართლაც ნიჭიერ ფეხბურთელს.

**- ზოგადად, მწვრთნელს სანაკრებოდ ყველა საინტერესო ფეხბურთელისთვის უნდა სურდეს ხელის შეწყობა...**

- მასეც არის. მიუნხენში, ჩემპიონთა ლიგის ფინალის დროს ვიყავი ჩასული და ქეცბაიაც იქ იყო, ჩემთან თანდასწრებით ესაუბრა ყენიათი დაინტერესებულ ერთ-ერთი ევროპული კლუბის წარმომადგენელს და უთხრა, ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ყენია დიდ ფეხბურთს ითამაშებსო.

**- ამ ცოტა ხნის წინ კახა კალაძე რედაქციაში გვყავდა სტუმრად და სხვათა გარდა ისიც გვითხრა, თუ ხელს არ შემიშლიან, გამოსათხოვარი მატჩის გამართვას სექტემბერში ვაპირებო. ნაკრების ყოფილი ფეხბურთელებიდან არ არის ინიციატივა ასეთი შეხვედრის ჩატარებაზე?**

- თუ ვინმე იმსახურებს ასეთი მატჩის გამართვას, პირველ რიგში კახა კალაძე. საქართველოში არ მეგულება ისეთი ადამიანი, ვინც იტყვის, რომ კალაძე ამას არ იმსახურებს.

**- კალაძე ნაკრებიდან ისე წავიდა, მადლობა მისთვის არავის უთქვამს,**



არჩილ არველაძე

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ასეთი ეტიკეტი ვერ დავინახეთ...**

- კალაძეს ტელეფონით არაერთმა ყოფილმა ნაკრებელმა და ქართულ ფეხბურთში მოსაქმე სხვა ადამიანმა გადაუხადა მადლობა. საერთო ჯამში ლამაზად და კარგად რომ ვერ მოხდა ყველაფერი, ეს სწორი პრეტენზიაა.

**- როგორ ფიქრობ, კალაძეს არ დართავენ გამოსამშვიდობებელი მატჩის "დინამო არენაზე" ან მიხეილ მესხის სტადიონზე გამართვის ნებას?**

- არა მგონია, რომ კალაძეს ამაში ვინმემ ხელი შეუშალოს, თუ მაინც მოხდება ასეთი რამ, არ მომერიდება იმის თქმა, რომ არასწორია. შოთის გაცილება რომ იყო, ფინანსური მხარე მთლიანად ჩვენ მიერ იყო უზრუნველყოფილი, დიდი შეღავათი გაგვიწიეს იმ მხრივ, რომ სტადიონის იჯარის ფული არ გადაგვახდევინეს. ერთი სიტყვით, ძალიან გაგვიხარდება, თუ კალაძე ასეთ მატჩს ჩაატარებს.

**დავით თავართქილაძე**

● სიტუაცია

## გიორგი ჯანელიძე:
# წასვლა კი მინდა...

ახლახან დასრულებულ სეზონში "ვიტ ჯორჯიას" გაუჭირდა და პირველად დადგა უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხის წინაშე. საბოლოოდ, კლუბმა უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა, მაგრამ გამოჩნდა, რომ ახლო-წარსულში წარმატებულ კლუბს გარკვეული პრობლემები შეექმნა.

მიზეზი უმაღლესი ლიგის გუნდების ბიუჯეტების გაზრდა გახდა. "ვიტ ჯორჯია" სამი-ოთხი წლის წინ ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბის სტატუსით სარგებლობდა, ახლა კი ეს თანხები არასაკმარისია.

ცხადია, გუნდის ლიდერებს გული სხვა კლუბებისკენ მიუწევთ. მაგალითად, "ვიტ ჯორჯიას" კაპიტანი **გიორგი ჯანელიძე** შარშან **თემურ ქეცბაიამ** ეროვნულ ნაკრებში მიიწვია, მოლდოვის ეროვნულ ნაკრებთან მატჩში ათამაშა და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა.

ვეტერინართა 22 წლის კაპიტნის მიმართ ინტერესი მანამდეც არსებობდა, მას შემდეგ კი უფრო გაიზარდა. ბოლო ინფორმაციით, ჯანელიძეს გუნდის დატოვება სურს. გიორგის შესაძლო ტრანსფერზე ათასგვარი ხმები ვრცელდება, რომ შესაძლოა, უკრაინის პრემიერლიგის ლუცკის "ვოლინში" გააგრძელოს კარიერა, რომ საქართველოს ჩემპიონატის ლიდერები იწვევენ და ა.შ. სხვათა შორის, საქართველოს მეორედაც ესტუმრნენ "ვოლინის" სელექციონერი **ვიკტორ მოროზი** და გუნდის დუბლშემადგენლობის მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** და გვიმტკიცებდნენ, რომ მათთვის ერთ-ერთი საინტერესო მოთამაშე სწორედ ჯანელიძეა.

რა ხდება სინამდვილეში, ამის გასარკვევად "ვიტ ჯორჯიას" კაპიტანს დავუკავშირდით: *"კლუბშიც იციან, წასვლა რომ მინდა, მაგრამ ჯერ ეს ყველაფერი მხოლოდ ლაპარაკის დონეზე რჩება, კონკრეტული წინადადება და რომელიმე კლუბთან მოლაპარაკება კი ჯერ არ დამიწყია. რაც შეეხება "ვოლინს", მასთან პირადად მოლაპარაკება არ მქონია. ზოგადი ლაპარაკი ქართულ კლუბებზეც იყო. ახლა მთავარია, "ვიტ ჯორჯიას" სატრანსფერო თანხას რომელი დაინტერესებული მხარე გადაუხდის. ამჟამინდელ კლუბს იოლად ვერ დავტოვებ, რადგან კონტრაქტი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიმთავრდება. არ ვიცი, "ვიტ ჯორჯია" ჩემს ტრანსფერს რა თანხად აფასებს, მაგრამ არა მგონია, მილიონები მოითხოვონ".*

**მერაბ მამულაშვილი**

● ვიტესი




გურამ კაშიას და იონ ვან დენ ბრომის გზები გაიყო

# ჟორდანიას მწვრთნელი გაექცა

„ვიტესის" 45 წლის მწვრთნელმა **იონ ვან დენ ბრომმა** კლუბის ქართველ მფლობელ **მერაბ ჟორდანიასთან** კონფლიქტის გამო პოსტი დატოვა და ბელგიურ „ანდერლეხტში" გადაბარგდა. 45 წლის ვან დენ ბრომი გასულ ზაფხულს მივიდა „ვიტესში" და გავარდნას ძლივს გადარჩენილი გუნდი ევროპალიგაზე გაიყვანა. მას კონტრაქტი 2014 წლამდე ჰქონდა, დარჩენასაც აპირებდა, მაგრამ ჰოლანდიური მედიის ცნობით, ჟორდანიასთან კონფლიქტი მოუვიდა

ბელგიაში პრეზენტაციაზე ვან დენ ბრომმა განაცხადა, რომ „ვიტესიდან" მისი წასვლის მიზეზი ჟორდანია იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ხსოვნის ტურნირი

# ბალუს თასი 2012



თბილისის „დინამოს" ფანკლუბის წევრები („გლადიატორები") „ბალუს თასს" მეორედ გაითამაშებენ. „ბალუ" — **ლევან ლამბაშიძე** თბილისის „დინამოს" ფან-კლუბის დაარსების დღიდან მისი ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. იგი 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. „ბალუს თასის" გათამაშება 2012 წლის 31 მაისს დაიწყება და მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე 6 გუნდის ფან-კლუბი: თბილისის „დინამოს" ფანები („გლადიატორები"), რუსთავის „მეტალურგის" ფანები („მეტეორი"), „ზესტაფონის" ფანები („ზესტაფანები"), ქუთაისის „ტორპედოს" ფანები („ტორნადო"), ზუგდიდის „ბაიას" ფანები („აბრაგები"), გორის „დილას" ფანები („ლომკაცები"), „ქართული სპორტის ქომაგები" და „ჯვაროსნები".

ტურნირი საფეხბურთო სკოლა „ოლიმპზე" ჩატარდება.

დღევანდელი მატჩების განრიგი ასეთია:

**გლადიატორები – ზესტაფანები**
**ტორნადო – ჯვაროსნები**
**მეტეორი – ლომკაცები**
**აბრაგები – ქართული სპორტის ქომაგები**

**გია გაგოშიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

გია გურულმა "ბათუმი" გასული სეზონის ბოლოს ჩაიბარა, როცა გუნდი პირველი ლიგიდან პლეი ოფში იყო გადასული. გურულის განვრთნილმა "ბათუმმა" მიზანს უწია, უმაღლეს ლიგაში მოხვდა.

გურული ახალბედა მწვრთნელი არ არის, საქართველოს ნაკრებში ალენ ჟირესის თანაშემწედ მუშაობდა. გურულს საკმაოდ მდიდარი ბიოგრაფია აქვს, იყო თბილისის "დინამოს", საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული და საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი, უთამაშია პოლონეთში და საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონშიც.

გურული ბოლო წლებში საფრანგეთში ცხოვრობდა და იქიდან მივიდა "ბათუმში". როგორი იყო ევროპიდან დაბრუნებული გურულის პირველი შთაბეჭდილებები ქართულ ფეხბურთზე – ინტერვიუ აქედან დავიწყეთ...



გია გურული

# ყველაზე ცუდი რამე საქართველოში: ბავშვი სკოლაში ფულს იხდის

- დადებითი და უარყოფითი მხარე ყველაფერს აქვს, საფრანგეთიდან "ბათუმში" რომ მივედი, ნამდვილად არ ყოფილა ისე, რომ მეთქვა – ეს სად მოვხვდი?! სამშობლოში დაბრუნებულს განსაკუთრებული სიურპრიზები არ მქონია, პირიქით, ძალიან გამიხარდა, რომ ფეხბურთელები გულისყურით ეკიდებოდნენ ჩემს დავალებებს და ძალიან მონდომებულები იყვნენ.

**- უარყოფით მხარეებზე რას გვეტყოდით?**

- როგორ გითხრათ...სავარჯიშო პირობები უკეთესი რომ გვქონდეს, კარგი იქნებოდა. ანგისას სტადიონზე გვიწევს ვარჯიში...

**- ინფრასტრუქტურა მართლაც მნიშვნელოვანია და უკვე ოფიციალურ დონეზეც ითქვა, რომ ამ მხრივ უკვე არის მნიშვნელოვანი წინსვლა აჭარაში...**

- სტადიონის პროექტი უკვე არსებობს, როგორც შევიტყვე, დაახლოებით ორ თვეში სამშენებლო სამუშაოებიც დაიწყება, 2014 წლისთვის ბათუმს ახალი სტადიონი ექნება აეროპორტთან, ზღვის პირას.

**- ეს სამომავლო საქმეა, გუნდის მაღალ დონზე შენახვა კი არანაკლებ აქტუალურია. ამ მხრივ რა ვითარებაა?**

- ხელფასი და პრემიები "ბათუმში" დიდი არ იყო, გუნდი ხომ ჯერაც პირველ ლიგაში თამაშობდა წინა სეზონში. უმაღლესში გადასვლის შემდეგ კი პირობები ორჯერ უკეთესი იქნება – ასეთი ლაპარაკი იყო...

**- მომავალ სეზონში "ბათუმის" მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება თუ უფრო შორს მიმავალი გეგმები გაქვთ?**

- უმაღლესში ადგილის შენარჩუნება – საკითხი ასე არ დადგება, მიზანი კარგი, შინაარსიანი ფეხბურთის თამაში იქნება.

**- გუნდის მნიშვნელოვანი გაძლიერება იგეგმება? რა კუთხით აპირებთ სასელექციო საქმიანობის წარმართვას?**

- "ბათუმი" ახალგაზრდული გუნდია და მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ამ მიმართულებით წარვმართოთ მუშაობა. მეტწილად ახალგაზრდებს დავიმატებთ, ფეხბურთელებს აჭარის გარდა სხვა რეგიონებშიც მოვძებნით. გუნდი 15 ივნისს შეიკრიბება, "ბათუმიდან" ჯერ არავინ არ წასულა.

**- საფრანგეთში B კატეგორიის სამწვრთნელო დიპლომი აიღეთ. როგორც შევიტყვეთ, საფრანგეთი არ არის ჟირას კონვენციის წევრი და იქაური დიპლომი სხვა ქვეყნებში არ მოქმედებს...**

- მასეა, ფრანგული სამწვრთნელო დიპლომი საერთაშორისო არ არის, საფრანგეთშიც ვერ იმუშავებ მწვრთნელად სხვა ქვეყნის დიპლომით. მიმაჩნია, რომ ფრანგული სამწვრთნელო მეთოდიკა საუკეთესოა, ფრანგული ბავშვთა საფეხბურთო სკოლა კი ერთ-ერთი ძლიერია. როგორც უნდა იყოს, საქართველოში მომიწევს ლიცენზიების აღება.

**- ყველაზე უფრო რა არ მოგეწონათ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში?**

- ბევრი რამ არ მომეწონა, ყველაზე უფრო, საქმისადმი მიდგომა. მოედანი, ბაზა...ინფრასტრუქტურა მართლაც მისახედია. მიუღებელია, რომ საფეხბურთო სკოლაში ბავშვი ფულს იხდის. ევროპაში უმაღლესი ლიგის გუნდებს თავიანთი აკადემია აქვთ, სადაც ბავშვი გადასახადის გარეშე დადის ფეხბურთზე, არის კიდევ მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული ბავშვთა საფეხბურთო სკოლები და იქაც უფასოა ბავშვის ფეხბურთზე სიარული. ალბათ დროა, რომ საქართველოშიც ასე იყოს. ჩვენთან ზოგს ბევრი საფეხბურთო სკოლის შექმნით ჰგონია, რომ საქმე წინ წავა, არადა პირიქითაა, რაც უფრო ნაკლები იქნება სკოლა, მით უფრო კომპაქტურად მოხდება ნიჭიერების თავმოყრა, ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა რაოდენობა ხარისხს სულაც არ განაპირობებს.

**- ქართული გუნდებიდან ყველაზე უფრო რომელი მოგეწონათ?**

- ჩემპიონატის ბოლოსლა მომიწია საქმეში ჩართვა და არ მინდა რომელიმე გუნდის გამოყოფა. ვუყურე "ტორპედო" –"ზესტაფონს"(2:1) და ქუთაისელთა თამაში მართლაც მომეწონა, კარგი გუნდი ჰყავს "ზესტაფონს", "დილას" და "დინამოს" კარგი თამაშებიც ვნახე.

**- საქართველოს ნაკრებში გიმუშავიათ, ჟირესი უფრო ლეგიონერებზე აკეთებდა აქცენტს. ახლანდელი გადმოსახედიდან რას გვეტყოდით, არის საქართველოში სანაკრებოდ საინტერესო ფეხბურთელები?**

- ასეთები არიან, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი ფეხბურთელები ტყუილუბრალოდ არ მიჰყავთ უცხოურ კლუბებს. ჟირესს ლეგიონერებზე ჰყავდა გუნდი აწყობილი, ამ ფაქტს ვერ გავექცევით...მოკლედ, დელიკატური თემაა.

**- როგორ ფიქრობთ, ჟირესს შეცდომები არ დაუშვია ჩვენი ნაკრების მწვრთნელობისას?**

- ვფიქრობ, ჟირესს შეცდომები არ დაუშვია. საქმე იმაშია, რომ ჟირესი პროფესიონალია, მაგრამ იქედან ვერ მიიღო იგივე - ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობას ვგულისხმობ.

**- სანაკრებო თემას მივყვეთ. ლევან ყენიამ პრესაში გააკეთა განცხადება, სანამ თემურ ქეცბაია იქნება ნაკრების მწვრთნელი, ეროვნულ გუნდში არ ვითამაშებო...**

- რატომ არ ათამაშა ქეცბაიამ ყენია თურქეთთან? კი მაგრამ, მწვრთნელი რომ დიდი ხნით უთამაშებელ ფეხბურთელს ნაკრებში იწვევს, მისგან მადლობას არ იმსახურებს? მე არავის არ ვიცავ, უბრალოდ სიმართლის მხარეს ვარ. ისიცაა, რომ ნაკრებში აღარ ვმუშაობ და შიდა სამზარეულოში არ ვარ ჩახედული, რაც გარედან ჩანს, იმის მიხედვით ვამბობ ამ ყველაფერს.

დავით თავართქილაძე

ტრანსფერი

# რევაზ თევდორაძე "ინტერში"

აზერბაიჯანის ჩემპიონატის ყველაზე „ქართული" გუნდი, ბაქოს „ინტერი" ახალი სეზონისათვის მზადებას იწყებს და 2 ივნისს თურქეთში მიემგზავრება შეკრებაზე. ქართველი სპეციალისტის, **კახა ცხადაძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ინტერი" ამ ზაფხულს ევროპის ლიგაზე ითამაშებს და თურქეთის შემდეგ გუნდი შეკრების მეორე ეტაპს სლოვაკეთში გაივლის. ამ ორივე შეკრებაზე გუნდთან ერთად იქნებიან ახალწვეულები, რომელთაგანაც, რაღა თქმა უნდა, 31 წლის **გიორგი ადამია** უნდა აღვნიშნოთ — აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოლო წლების ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდი „ინტერს" რომ გააძლიერებს, ეს ფაქტი საკამათო არავისთვის უნდა იყოს; შეგახსენებთ, რომ ადამიას გარდა „ინტერში" კიდევ ოთხი ჩვენებური თამაშობს: 32 წლის **გიორგი ლომაია** (მეკარე), 32 წლის **ვალერი აბრამიძე**, 30 წლის **ილია კანდელაკი** (ორივე — მცველები) და 24 წლის **ბაჩანა ცხადაძე** (თავდამსხმელი). და აი, გუშინ შევიტყვეთ, რომ „ინტერის" ქართული „დიასპორა" კიდევ გაიზარდა [illegible] ამ აზერბაიჯანულ კლუბში გააგრძელებს კარიერას 24 წლის **რევაზ თევდორაძე**. ეს უკანასკნელი ამპლუით მეკარეა და ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრებისთვისაც არ გახლავთ „უცნობი" მოთამაშე.; „თბილისი", „დილა", „მერანი" (თბილისი), „გაგრა", ბათუმის „დინამო", — აი, ამ გუნდებში თამაშობდა თევდორაძე 2005-2011 წლებში. ბოლო სეზონი კი „ჩიხურაში" გაატარა და მისი დიდი დამსახურებაც იყო, საჩხერულმა გუნდმა ჯერ პირველ ლიგაში რომ გაიმარჯვა, შემდეგ კი — პლეი აუტში. სხვადასხვა დროს რევაზ თევდორაძე საქართველოს 17, 19 და 21-წლამდელთა ნაკრების ძირითადი მეკარე გახლდათ, 1 შეხვედრა აქვს ჩატარებული საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც (2006 წელს).



რევაზ თევდორაძე

გია გაგოშიძე

პირველი ლიგა

# საუკეთესოებს შეარჩევენ

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა ასეთი ინფორმაცია გაავრცელა: ორგანიზაციის ინიციატივით, მალე პირველი ლიგის კლუბების ფეხბურთელებისაგან დაკომპლექტებული ნაკრებების ტურნირი დაიწყება.

*"2 ივნისს, ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" ერთმანეთს შეხვდებიან პირველი ლიგის გუნდების ფეხბურთელებისაგან რეგიონალური პრინციპით დაკომპლექტებული ნაკრებები.*

*პირველ მატჩში 15:30 საათზე „სამეგრელო" „იმერეთი 1"-ს ეთამაშება, მეორე კი 18:00 საათზე დაიწყება და „თბილისი" „იმერეთი 2"-ს დაუპირისპირდება.*

*აღნიშნული ტურნირის მიზანი, ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენაა. აღნიშნულ გათამაშებაში მონაწილე გუნდებში მხოლოდ 25 წლამდე ფეხბურთელები იასპარეზებენ.*

*ჩატარებული მატჩებიდან გამომდინარე, უკვე 6 ივნისს წყვილებში წაგებული გუნდები ერთმანეთს მე-3 ადგილისათვის შეეჯიბრებიან, გამარჯვებულები კი - პირველი ადგილის მოსაპოვებლად."* – იუწყება სფფ-ის პრესსამსახური.

ეს ის საქმეა, რომელიც დიდი ხნის წინაც უნდა გაკეთებულიყო, რადგან ლეგენდარული **ანდრო ჟორდანიასავით**, სოფელ-სოფელ სიარულითა და ორლობეში ტალანტების მოძიებით დღეს ბევრი აღარ იწუხებს თავს. არადა, რეგიონებში ნიჭიერი ბავშვები ხშირად ყურადღების მიღმა რჩებიან და დაბალი ლიგის გუნდებში თამაშობენ.

ყველას გაუკვირდა, როცა რუსთავის "მეტალურგში" **თორნიკე მაისურაძემ** უცნობი ფეხბურთელები, **გიორგი მურველაშვილი** და **ირაკლი მაისურაძე** მიიწვია. რუსთავულ კლუბში მიწვევამდე, მაისურაძე მოსკოვის ჩემპიონატში თამაშობდა, ახლა კი ეროვნული ნაკრების კანდიდატია და მასზე დიდი სატრანსფერო ამბებია ამტყდარი. ბოლო ინფორმაციით, მაისურაძის გადაყვანა თბილისის "დინამოს" სურს.

მაგრამ მაისურაძეზე მცირედი წარმოდგენა მაინც გვქონდა, რადგან ერთი ხანობა, ბელარუსის ჩემპიონატში ასპარეზობდა. მარჯვენა მცველის პოზიციაზე აყვანილ **გიორგი მურველაშვილზე** კი სპეციალისტებმაც არაფერი იცოდნენ, რადგან ეს 22 წლის ბიჭი რეგიონული ლიგის თელავის "კახეთში" თამაშობდა. თორნიკე მაისურაძის აღმოჩენამ ეროვნულ ჩემპიონატსა და ევროთასებზე საკმაოდ კარგად ითამაშა, შემდეგ კი საჩხერის "ჩიხურაში" გადავიდა.

კიდევ ერთი მაგალითი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **ირაკლი ქობალია** გახლავთ: ზუგდიდელთა მთავარ მწვრთნელს, **ელგუჯა ქომეთიანს** რომ არ შეენიშნა, დღესაც რეგიონული ლიგის სენაკის "ეგრისში" ითამაშებდა.

არც ერთია **ლიონელ მესი**, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატის "ორონსნებიც" არ არიან. და ვინ იცის, რამდენი ასეთი ნიჭიერი ბავშვი იკარგება და წარმოდგენა არ გვაქვს.

მსგავსი ტურნირი ადრეც იმართებოდა: 1991 წელს უფროსი **ნოდარ ახალკაცის** ინიციატივით, **ბასა ლოლობერიძის** სახელობის ტურნირი ჩატარდა, სადაც ერთმანეთს საქართველოს ეროვნული, ახალგაზრდული და ასაკობრივი ნაკრებები დაუპირისპირდნენ. ტურნირმა დანიშნულება შეასრულა და ბევრი ნიჭიერი ბავშვი გამოვლინდა. მაგრამ, ომიანობის გამო, "ბასას" თასი მერე აღარ ჩატარებულა.

ფედერაციის ამჟამინდელი ინიციატივის ლოგიკურ გაგრძელებად ჩანს რეგიონების ტურნირის გამართვა. საქართველო მხოლოდ თბილისი, იმერეთი და სამეგრელო არაა, ტალანტები სხვა რეგიონებშიც იზრდებიან და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში, გურიაში, კახეთში, შიდა და ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და ჰერეთში არანაკლები ბავშვები იზრდებიან და ურიგო საქმე არც მათი წარმოჩენა იქნება.

მერაბ მამულაშვილი

U16

# კასპიის თასი მარცხით დავიწყეთ

გუშინ აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში "კასპიის თასის" გათამაშება დაიწყო, რომელშიც საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებიც მონაწილეობს. **ნოდარ აკობიას** გუნდმა სასტარტო მატჩი თურქი თანატოლების წინააღმდეგ გამართა და 2:3 დამარცხდა. ქართველთაგან გოლები **კერესელიძემ** და **ზარანდიამ** გაიტანეს.

მომდევნო შეხვედრას ჩვენი ნაკრები იაპონიასთან დღეს გამართავს. ჩვენი შემდეგი მეტოქე კი უზბეკეთი იქნება.

მეორე ჯგუფში აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ლატვიის ნაკრებები თამაშობენ.

ლევან ჯანეზაშვილი

ფოტო კომენტარით



მარცხნიდან - მერაბ ჟორდანია, დიდიე დროგბა: მარჯვნიდან პირველი — რომან აბრამოვიჩი.

19 მაისს მიუნხენში ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩამდე „ჩელსის" ყველაფერი ჰქონდა მოგებული ჩემპიონთა ლიგის გარდა. იმ დღეს კი ეს ოცნებაც აისრულა „ბაიერნის" ძლევის შემდეგ. ბუნებრივია, „ჩელსის" მფლობელი **რომან აბრამოვიჩი** სიხარულით ცას ეწია, აცრემლიანდა კიდეც.

ამ დიდ საფეხბურთო ზეამს **მერაბ ჟორდანიაც** ესწრებოდა. მისმა „ვიტესმა" ხომ 10-წლიანი პაუზის შემდეგ წლეულს პირველად მოიპოვა ევროპალიგაზე გასვლის უფლება. ვუსურვოთ წარმატება, მით უფრო, რომ ჟორდანიას „ვიტესში" სამი ქართველი თამაშობს — **გიორგი კაშია** (კაპიტანი), ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრები — **ვალერი ყაზაიშვილი** და **გიორგი ჭანტურია.**

R

ქართული ფეხბურთი

ლეგიონი. სეზონის შეჯამება

# ქართული ლეგიონი
## შეფასება და მომავლის იმედი

გუშინ ქართული ლეგიონის სეზონის მიმოხილვის პირველი ნაწილი შემოგთავაზეთ, დღეს კი საზღვარგარეთ მოთამაშე დანარჩენი ჩვენებურების მონაგარს გადავავლეთ თვალი. საგაზეთო ფორმატი იმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ ყველა ჩემპიონატში მოასპარეზე ქართველთა შესახებ გაგაცნოთ ინფორმაცია. ასევე არ შემოგთავაზებთ ქვედა ლიგებში მოასპარეზე ლეგიონერების მაჩვენებლებს.

სტატისტიკურ მონაცემებში მხოლოდ რეგულარული ჩემპიონატის მატჩებია გათვალისწინებული და, შესაბამისად, სათასო თუ საპლეიოფო შეხვედრები იქ გათვალისწინებული არაა.



### გურამ კაშია
*(ვიტესი, ჰოლანდია)*

**36 მატჩი, 3 გოლი**

საქართველოს ნაკრების მცველი "ვიტესის" კაპიტანია, ასეთ პატივს კი ევროპაში შემთხვევით არავინ იმსახურებს. **გურამ კაშიამ** სეზონი მაღალ დონეზე, სერიოზული ტრავმებისა და ჩავარდნების გარეშე ჩაატარა და "ვიტესის" ევროპის ლიგაზე გასვლაში დიდი წვლილი შეიტანა

### გიორგი ჭანტურია
*(ვიტესი, ჰოლანდია)*

**28 მატჩი, 4 გოლი**

სეზონში 4 გოლი თავდამსხმელისთვის ბევრი ნამდვილად არ არის, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ **ჭანტურიასთვის** სეზონი წარუმატებელი გამოდგა. მან ხომ დიდ ფეხბურთში სწორედ გასულ სეზონში შეაბიჯა და "ვიტესის" ძირითად შემადგენლობაშიც ხშირად ხვდებოდა.

### ვაკო ყაზაიშვილი
*(ვიტესი, ჰოლანდია)*

**4 მატჩი, 1 გოლი**

ჰოლანდიის ჩემპიონატში თამაშის საშუალება მხოლოდ ოთხჯერ მიეცა, თუმცა საკუთარ ნიჭიერებაზე მედია მაინც აალაპარაკა. **ყაზაიშვილი** პროგრესირებას განაგრძობს და უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალ სეზონში "ვიტესის" პირველ გუნდში მეტი სათამაშო პრაქტიკა ექნება.

### ზურაბ ხიზანიშვილი
*(კაისერისფორი, თურქეთი)*

**29 მატჩი, 1 გოლი**

**შოთა არველაძის** გუნდისთვის **ხიზანიშვილი** შეუცვლელი ფიგურა იყო და როცა ტრავმა არ აწუხებდა, "კაისერის" სასტარტო შემადგენლობაში სისტემატურად ხვდებოდა. სავარაუდოდ, ამჟამინდელ კლუბში სამომავლოდაც არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება.

### აკაკი ხუბუტია
(სამსუნსფორი, თურქეთი)

**19 მატჩი, 1 გოლი**

"სამსუნის" ძირითადში ყოველთვის ვერ ხვდებოდა, მაგრამ მატჩების ნახევარზე მეტი მაინც ჩაატარა. **ხუბუტიას** კლუბი თურქული სუპერლიგიდან გავარდა და საქართველოს ნაკრების მცველი ამჟამად ახალი ადგილსამყოფელის ძიებაშია.

### გიორგი შაშიაშვილი
*(ერგოტელისი, საბერძნეთი)*

**24 მატჩი, 1 გოლი**

გამოცდილ მცველს "ერგოტელისის" ძირითადში მოხვედრა არ უჭირდა, მაგრამ მისი კლუბი ელიტიდან გავარდა და სავარაუდოდ, **შაშიაშვილი** კლუბს სულ მალე შეიცვლის.

### გიორგი ფოფხაძე
*(შტურმი, ავსტრია)*

**20 მატჩი**

"შტურმში" გასულ ზაფხულში გადავიდა და ძირითად შემადგენლობაში ადგილი უმალ დაიმკვიდრა, თუმცა სეზონის მიწურულს პოზიციები დათმო და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. **ფოფხაძის** მომავალი ჯერ გაურკვეველია.

### ლევან მაღრაძე
*(ეთნიკოსი, კვიპროსი)*

**30 მატჩი**

34 წლის ქართველი "ეთნიკოსისთვის" შეუცვლელი ფეხბურთელი იყო და მისი კვიპროსული კარიერა, სავარაუდოდ, შემდეგ სეზონშიც გაგრძელდება.

### დავით კვირკველია
*(ანორთოსისი, კვიპროსი)*

**11 მატჩი, 2 გოლი**

**პანიონიოსში: 12 მატჩი**

"ანორთოსისში" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გადავიდა ბერძნული "პანიონიოსიდან" და უმეტესად, ძირითადში ხვდებოდა. თუმცა მისი მომავალი ჯერ მაინც გაურკვეველია.

### ლადო დვალიშვილი
*(პოლონია, პოლონეთი)*

**12 მატჩი, 3 გოლი**

**მაქაბიში: 11 მატჩი, 7 გოლი**

ჰაიფას "მაქაბი", სადაც არაერთი სეზონი გაატარა, ზამთარში დატოვა და კარიერა პოლონეთში გააგრძელა. "პოლონიაში" დამკვიდრება არ გასჭირვებია და 3 გოლის გატანაც შეძლო. ნაკრებში უგოლო სერია ვერ შეწყვიტა, კლუბში კი, როგორც ხედავთ, ყველაფერი რიგზე აქვს.

### ნიკა ძალამიძე
*(იაგელონია, პოლონეთი)*

**11 მატჩი**

**ვიძევში: 13 მატჩი, 1 გოლი**

სეზონის მსვლელობისას "ვიძევიდან" "იაგელონიაში" ალმოჩნდა, სადაც საკმაოდ ნორმალურად გამოიყურებოდა და სათამაშო პრაქტიკა არ აკლდა.

### მერაბ გიგაური
*(იაგელონია, პოლონეთი)*

**3 მატჩი**

პოლონეთის ჩემპიონატში სამიოდე მატჩი ჩაატარა, თუმცა **გიგაური** ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და სულაც ვერ ვიტყვით, რომ პოლონეთში წასვლით დრო დაკარგა. იქ მიღებული გამოცდილება მას სამომავლოდ უნდა გამოადგეს.

### დავით სხირტლაძე
*(ორჰუსი, დანია)*

**14 მატჩი**

დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა "ორჰუსის" ძირითად შემადგენლობაში. ამჟამინდელ კლუბში მომავალი მას ნამდვილად აქვს და წესით, შემდგომში უფრო ძლიერ გუნდსა და ლიგაშიც შეიძლება ვიხილოთ.

### დავით დევდარიანი
*(ორჰუსი, დანია)*

**4 მატჩი**

სეზონის უდიდესი ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა და, შესაბამისად, მის თამაშს საერთოდ ვერ შევაფასებთ. იმედია, მწყობრში დროულად ჩადგება.

### რატი ალექსიძე
*(დიოში ეტო, უნგრეთი)*

**16 მატჩი, 3 გოლი**

ვეტერან ქართველ თავდამსხმელს სეზონის ბოლო ნაწილი ტრავმის გამო გაუცდა, მანამდე კი ძირითადში საკმაოდ ხშირად ხვდებოდა.

### გიორგი განუგრავა
*(ზალაეგერსეგი, უნგრეთი)*

**12 მატჩი**

**ლომბარდ პაპაში: 17 მატჩი, 1 გოლი**

სეზონი "ლომბარდ პაპაში" დაიწყო და აუტსაიდერ "ზალაეგერშეგში" დაასრულა. მისი გუნდი ქვედა ლიგაში დაქვეითდა და განუგრავას მალე, ალბათ, სხვაგან ვიხილავთ. გასულ სეზონში მას სათამაშო პრაქტიკა არ აკლდა.

### გიორგი ნერგაძე
*(მოროკა სვალოვსი, სამხრეთ აფრიკა)*

**26 მატჩი, 2 გოლი**

**ნერგაძემ** საკმაოდ წარმატებული სეზონი ჩაატარა და თავის გუნდთან ერთად სამხრეთ აფრიკის ვიცე-ჩემპიონი გახდა. რაც მთავარია, იგი მუდმივად იყო "მოროკას" ძირითადი შემადგენლობის წევრი

### გიორგი ლომაია
*(ინტერი, აზერბაიჯანი)*

**29 მატჩი**

### ვალერი აბრამიძე
*(ინტერი, აზერბაიჯანი)*

**29 მატჩი, 1 გოლი**

### ბაჩანა ცხადაძე
*(ინტერი, აზერბაიჯანი)*

**29 მატჩი, 7 გოლი**

### ილია კანდელაკი
*(ინტერი, აზერბაიჯანი)*

**27 მატჩი, 2 გოლი**

### გიორგი ადამია
*(ყარაბახი, აზერბაიჯანი)*

**31 მატჩი, 7 გოლი**

### ალექსანდრე გოგობერიშვილი
*(თურანი, აზერბაიჯანი)*

**30 მატჩი, 4 გოლი**

### გიორგი ბერიაშვილი
*(თურანი, აზერბაიჯანი)*

**20 თ, 3 გ**

### ნუგზარ კვირტია
*(აზალ, აზერბაიჯანი)*

**28 მატჩი, 2 გოლი**

ქართველები აზერბაიჯანში საკუთარი კლუბების ძირითადი შემადგენლობის წევრები იყვნენ, მაგრამ მათ კლუბებს განსაკუთრებული წარმატებებისთვის არ მიუღწევიათ. სხვებთან შედარებით უკეთესი სეზონი ბაქოს "ინტერს" ჰქონდა, რომელმაც მესამე ადგილი და ევროპის ლიგის საგზური მოიპოვა. ამაში კი ჩვენი თანამემამულეების წვლილი საკმაოდ წონადია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლოკომოტივი. ინტერვიუ ლექსო თოფურიასთან



ამ ცოტა ხნის წინ თბილისის „ლოკომოტივი" ბარსელონიდან დაბრუნდა, სადაც კოსტა-ბრავას საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ამ წარმომადგენლობითი ტურნირის პერიპეტიებსა და „ლოკომოტივის" სამომავლო გეგმებზე კლუბის პრეზიდენტს ლექსო თოფურიას ვესაუბრეთ.

# ბარსელონადან საგურამომდე

— ამ ტურნირზე უკვე მესამედ მიგვიწვიეს. კოსტა-ბრავას წლევანდელ გათამაშებაში 1993 წელს დაბადებულ ფეხბურთელებს უნდა ესასპარეზათ, მაგრამ „ლოკომოტივის" ძირითად ბირთვს ორი წლით უმცროსები შეადგენდნენ. მიუხედავად ასაკში სხვაობისა, „ლოკომოტივმა" ღირსეულად იასპარეზა: ჯგუფში, კატალონიური და ეკვადორის გუნდები დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ყატარულ „ესპაერსთან" დამარცხდა. სხვათა შორის, სწორედ ეს გუნდი გახდა კიდეც ამ ტურნირის გამარჯვებული.

**— მსგავსი ტურნირები ახალგაზრდა ფეხბურთელებს პროფესიულ ზრდაში რომ დაეხმარება, საკამათო არავისთვის უნდა იყოს.**

— რა თქმა უნდა, — უპირველესად, ძლიერ მეტოქეებთან პაექრობებში მიღებული გამოცდილება უნდა ვახსენოთ. ამას გარდა, ფინანსურ მხარესაც ნუ დავივიწყებთ: „ლოკომოტივის" ფეხბურთელებით ქართული და უცხოური კლუბები დაინტერესდნენ.

**— ეს ინტერესი კოსტა-ბრავას ტურნირმა გაზარდა თუ ახლახან დასრულებულმა 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურმა ეტაპმა? მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებში „ლოკომოტივის" 7 ფეხბურთელი თამაშობდა...**

— ბარსელონაშიც უამრავი სკაუტი იყო ჩამოსული, თუმცა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების წარმატებულმა თამაშმა ეს ინტერესი ბევრად უფრო გაზარდა.

**— ანუ, მალე საინტერესო ტრანსფერებსაც უნდა ველოდოთ?**

— არ დავმალავ: ერთობ სერიოზული წინადადებებით მოგვმართეს, მაგრამ არ ვჩქარობთ. ეს ბიჭები ჯერ არასრულწლოვნები არიან, ამიტომაც ნებისმიერ შემოთავაზებას მათ მშობლებთან ერთად განვიხილავთ.

**— 16-17 წლის ბიჭებს სოლიდური შემოთავაზებები რომ ექნებათ, როგორ აპირებთ ამ ბირთვის შენარჩუნებას?**

— „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რომ მაღალ დონეზე თამაში შეუძლიათ და თითოეული მათგანის პირობებსაც გავაუმჯობესებთ. რაც მთავარია, ისინი ჯერჯერობით ჩვენთან დარჩებიან, ფიზიკურად მოძლიერდებიან და მერე, თავად გადაწყვეტენ: საქართველოში დარჩნენ თუ კარიერა უცხოეთში გააგრძელონ.

**— თქვენი სიტყვებიდან უნდა ვივარაუდოთ, რომ მომდევნო სეზონში „ლოკომოტივის" მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნება იქნება.**

— გუნდის ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ „ლოკომოტივს" რეალურად შესწევს ამ მიზნის მიღწევა. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ ახალი სეზონიდან „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი გელა სანაია იქნება, — ახალგაზრდა და პერსპექტიული სპეციალისტი, სულ ახლახან „პრო-ლიცენზია" რომ აიღო. მოსამზადებელ ეტაპზე ჩვენს გუნდთან ერთად იქნება ესპანელი ფიზმომზადების მწვრთნელი გილ ორიოლ ანსანა, რომელსაც „ბარსელონას" ასაკობრივ გუნდებთანაც უმუშავია, კანადაშიც და ყატარშიც.

**— „ლოკომოტივი" საშინაო მატჩებს სად ჩაატარებს?**

— ალბათ, არავის დასჭირდება იმის შეხსენება, რომ „ლოკომოტივი" საშინაო შეხვედრებს მუდამ „მიხეილ მესხზე" ატარებდა. ახლაც ამის დიდი სურვილი გვაქვს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ამ საკითხზე მოლაპარაკებებიც მიმდინარეობს. „ლოკომოტივის" ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მართლაც დაიმსახურეს, რომ დიდ და კომფორტულ სტადიონზე ითმაშონ.

**— უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდისგან განსხვავებით, „ლოკომოტივს" საკუთარი ბაზა გააჩნია...**

— საგურამოში, ჩვენს ბაზაზე ორი ბუნებრივ საფარიანი და ერთიც ხელოვნური მოედანი გვაქვს, პლუს ადმინისტრაციული კორპუსი, სატრენაჟორო, მსაჯებისა და სამედიცინო ოთახები. ახლა ვიწყებთ მეორე და მესამე სართულების გარემონტებას, სადაც კვების ბლოკი და ფეხბურთლებისათვის მოსასვენებელი ოთახები განთავსდება.

**— რაიმე ახალი პროექტის წამოწყებას ხომ არ გეგმავთ?**

— ამჟამად, მხოლოდ და მხოლოდ, „ლოკომოტივზე" და იმ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე ვართ ორიენტირებული, გუნდისა და, საერთოდ, კლუბის ნორმალური ფუნქციონირებისათვის რომ არის აუცილებელი. სიახლე კი ის არის, რომ საგურამოსა და მის მიმდებარე სოფლებში სელექცია ჩავატარეთ და 40 შერჩეული ბავშვი ჩვენთან ვარჯიშობს.

**მაგდა კლდიაშვილი**

მესამე ლიგა



საქართველოს ჩემპიონატის მესამე, იმედის ლიგის გამარჯვებული საქართველოს უნივერსიტეტის გუნდი

ევრო 2012 ინტერვიუ ვისენტე დელ ბოსკესთან

# ესპანეთი მთავარი ფავორიტი არ არის!

## ჩემპიონობის შანსი ყველა გრანდს თანაბარი აქვს!

ევროპის ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად ესპანეთის ნაკრები მიიჩნევა. არა მარტო იმიტომ, რომ „ფურია როხა" ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონატია, არამედ იმიტომაც, რომ ვისენტე დელ ბოსკეს გუნდი დღესაც მოწოდების სიმაღლეზე დგას. გუშინ, გერმანულ „კიკერში" ესპანელთა მთავარი მწვრთნელის, ვისენტე დელ ბოსკეს საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა – 61 წლის სპეციალისტი მოსამზადებელ შეკრებას აჯამებს, გუნდში შექმნილ სიტუაციას აანალიზებს.

**- ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი პერიოდის ავსტრიულ ნაწილს სამხრეთ კორეასთან ამხანაგური მატჩით ამთავრებს. როგორ შეაჯამებთ ამ შეკრებას?**

- ბიჭებმა შესანიშნავად იმუშავეს, ვარჯიშებით აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ. რაც მთავარია, ვხედავ, რომ ფეხბურთის თამაში სიამოვნებთ და დამშეულები არიან. მიუხედავად 2008 და 2010 წლების ტრიუმფებისა, ეს გუნდი ჯერ კიდევ არ არის დანაყრებული.

**- ესპანეთის თასის ფინალის გამო „ბარსელონას" ფეხბურთელები აქამდე ნაკრებთან ერთად ვერ ვარჯიშობდნენ. ეს პრობლემაა?**

- ერთი მხრივ, მართლაც პრობლემაა, მაგრამ ამ ასპექტსაც პოზიტიურად უნდა შევხედოთ: სამაგიეროდ, სხვა ფეხბურთელებს დავაკვირდი კარგად და ახალი ვარიანტები გამოვცადე. უცნაური კვირა კი გამოვიდა, მაგრამ ჯამში პოზიტიურად შევაფასებ. ბიჭები მონდომებულები არიან და კარგად იქცევიან. გამოცდილმა ფეხბურთელებმა ახლები მეგობრულად მიიღეს და თამამად ვიტყვი, რომ ესპანეთის ნაკრები ერთ მუშტად შეკრული გუნდია.

**- კარლეს პუიოლისა და დავიდ ვილიას სახით ევროპის ჩემპიონატზე ორი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი დაგაკლდებათ. ამ დანაკლისის კომპენსირება როგორ უნდა მოხდეს?**

- ვილიას სახით საუკეთესო ბომბარდირი, ხოლო პუიოლის სახით კი გვაკლია კაცი, რომელიც გუნდისთვის გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა. პუიოლი ბრწყინვალე კაპიტანი და გუნდის ლიდერია. შესაბამისად, ამ ორი ფეხბურთელის არყოფნით, შესუსტდა როგორც ჩვენი წინა ხაზი, ისე დაცვაც. მაგრამ ამის გამო წუწუნი ვერაფერს გვიშველის. ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც ვილიას და პუიოლს ისე შეცვლიან, როგორც საჭიროა.

**- მაგალითად?**

- ჩვენი პუიოლები ჟერარდ პიკე და სერხიო რამოსი უნდა იყვნენ. კარლესის

> „მირჩევნია, მეტოქემ ჩვენს წინააღმდეგ დაცვითი ფეხბურთი ითამაშოს – არ მიყვარს, როცა გვიტევენ და ჩვენს კართან მომენტებს ქმნიან"

არყოფნაში, მისი წილი პასუხისმგებლობა სწორედ ამ ორმა მოთამაშემ უნდა გადაინაწილოს.

**- დავიდ ვილია ესპანეთის ნაკრების ტოპ-თავდამსხმელია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მისი როლის შესრულებას დავიდ სილვას დაავალებთ...**

- თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ვთქვი, ჩვენი მესი სილვაა-მეთქი. მიხარია, რომ დავიდის სახით გუნდში უკვე ჩამოყალიბებული სუპერვარსკვლავი მყავს. მის შესაძლებლობებში ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება.

**- ესპანეთის ნაკრები უმეტესად 4-2-3-1 ტაქტიკური სქემით თამაშობს, თუმცა ბოლო დროს კლასიკურ 4-4-2-საც ხშირად მიმართავთ. შეგიძლიათ, გვითხრათ, ევრო 2012-ზე ორი ნომინალური ცენტრფორვარდით ითამაშებთ, თუ ერთით?**

- სქემატურად ჩვენი ტაქტიკა უმეტესად მართლაც 4-2-3-1-ია, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ამ სქემის დროს ჩვენ სამი თავდამსხმელით ვთამაშობთ ხოლმე. მნიშვნელობა არა აქვს, როგორი იქნება ჩვენი სქემა ფურცელზე, არც შეტევაში წასვლას ვუკრძალავ ვინმეს და არც დაცვისთვის მიხმარებას.

**- ჩემპიონთა ლიგა „ჩელსიმ" მოიგო – გუნდმა, რომელმაც უკიდურესად დაცვითი ფეხბურთი ითამაშა და ასეთი მიდგომით არა მარტო ფინალში „ბაიერნი" დაამარცხა, არამედ, მანამდე „ბარსელონაც" გააგდო. როგორ ფიქრობთ, ევროპის ჩემპიონატზე „ჩელსის" ბევრი გუნდი მიჰბაძავს?**

- ყველას აქვს უფლება, „ჩელსის" მიჰბაძოს. მე, უბრალოდ, ვიმედოვნებ, რომ ევრო 2012-ზე ასეთი ფეხბურთით წარმატებას ვერავინ მიაღწევს. ისე, სხვათა შორის, მირჩევნია, გუნდმა ჩვენს წინააღმდეგ დაცვითი ფეხბურთი ითამაშოს – არ მიყვარს, როცა გვიტევენ და ჩვენს კართან მომენტებს ქმნიან. ერთი სიტყვით, „ჩელსის" წარმატების გამო ესპანეთის ნაკრები სტილს არ შეიცვლის. ჩვენ ისევ შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ და შევეცდებით, მოედანზე მიმდინარე მოვლენები პირველიდან ბოლო წუთამდე ვაკონტროლოთ. ბურთი უმეტესად მეტოქის ნახევარზე უნდა იყოს – ჩვენს ტაქტიკაში ყველაზე მთავარი სწორედ ეს არის.



ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე

**- წელს 3-მცველიანი ტაქტიკაც გამოსცადეთ – მიზანი ის იყო, რომ ნახევარდაცვაში მეტი ფეხბურთელი გყოლოდათ. არის თუ არა ევროპის ჩემპიონატზე სამი მცველით თამაში ერთ-ერთი ვარიანტი?**

- სამი მცველით მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითამაშებთ, თუ ეს უკიდურესად აუცილებელი გახდება - საბაზო ტაქტიკებს შორის 3-4-3 არ განიხილება.

**- საყოველთაო აზრით, ესპანეთის ნაკრები ევრო 2012-ის უპირველესი ფავორიტია. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- არა, ესპანეთი არ არის მთავარი ფავორიტი! ევროპის ჩემპიონობა გერმანიას, ჰოლანდიას, ინგლისს, პორტუგალიას, იტალიას და საფრანგეთსაც სწორედ ჩვენნაირად შეუძლიათ.

**- ყველა ის გუნდი ჩამოთვალეთ, რომელთა ჩემპიონობა სენსაციად არ აღიქმება. ნუთუ ესპანეთის ნაკრები ვერც ერთ მათგანს ვერ სჯობია?**

- ყველა ეს გუნდი ერთ დონეზეა, ყველა ძლიერია.

**- 10 ივნისს, თქვენი პირველი მეტოქე იტალიის ნაკრები იქნება. რას ელით ამ მატჩისგან?**

- ეს ბოლო ორი მსოფლიოს ჩემპიონის დუელია. მძიმე თამაშს ველი – იტალია ჯგუფში ყველაზე ძლიერი მეტოქეა.

**- რატომ არის იტალია ირლანდიაზე ან ხორვატიაზე ძლიერი?**

- იმიტომ, რომ იტალია პირველი მეტოქეა და ამ მატჩის შედეგს ბევრ რამეზე შეუძლია გავლენის მოხდენა. ესეც რომ არ იყოს, ესპანეთს და იტალიას ბევრი რამ აქვთ საერთო.

**- მაინც?**

- გამოცდილი ფეხბურთელები და დაუოკებელი სწრაფვა გამარჯვებისკენ. იტალიას ჰყავს როგორც მებრძოლი, ისე ტექნიკური ფეხბურთელებიც. „სკუადრა აძურა" ძლიერი გუნდია და ვინც ამ გუნდს სათვალავში არ ჩააგდებს, ძალიან დიდ შეცდომას დაუშვებს.

**- ესპანეთის ნაკრებს შეუძლია, ზედიზედ მესამედ მოიგოს დიდი ტიტული, რაც უდიდესი მოტივაციაა. ამავდროულად, ფავორიტობა წნეხსაც ნიშნავს...**

- მოტივაციის პრობლემა არ გვაქვს – გუნდი ძალიან მონდომებულია. ზეწოლა, რა თქმა უნდა, დიდია, მაგრამ ამისთვის მზად ვართ.

ევრო 2012 ინტერვიუ იოახიმ ლიოვთან

# ფინალი აღარ გამაგონოთ!

## იოგიმ ფეხბურთელებს მომავალზე ლაპარაკი აუკრძალა

შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩში განცდილმა უსიამოვნო მარცხმა (3:5) საფეხბურთო გერმანია ძალიან შეაშინა და საგონებელში ჩააგდო. ბუნდესგუნდს ერთ მატჩში 5 გოლი ბოლოს 2004 წელს ჰქონდა გაშვებული და ლოგიკურიცაა, ბუნდესქომაგები ევროპის ჩემპიონატის წინ რომ შეშფოთდნენ. თუმცა გერმანიის ნაკრების დამრიგებელ იოახიმ ლიოვს დაძაბულობა არ ეტყობა. 52 წლის იოგის „ბილდის" ჟურნალისტი ესტუმრა და ის 8 საკითხი წამოუჭრა, რაც გაზეთის მკითხველებმა ყველაზე მნიშვნელოვან თემებად მიიჩნიეს. ლიოვმა საკმაოდ მძაფრ თემებზე ამომწურავად ისაუბრა.



გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი

**- იოახიმ ლიოვს ეშინია იმის, რომ ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრები ჯგუფში ჩარჩება...**

ლიოვი: არა, ამის სულაც არ მეშინია, რადგან ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და რაც უნდა მძიმე სტრესულ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, რეაგირებას მოვახერხებთ. ურთულეს ჯგუფში ვართ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მეოთხედფინალში გავალთ.

**- თუ გერმანია ჯგუფში ჩარჩება, ლიოვი ბუნდესმწვრთნელის თანამდებობიდან გადადგება...**

ლიოვი: ერთი წამითაც არ ვფიქრობ იმაზე, რომ ჩვენ შეიძლება ჯგუფში ჩავრჩეთ. ამაზე საერთოდ არ მიფიქრია!

**- მეორე ადგილის დაკავება უდიდესი იმედგაცრუება იქნება...**

ლიოვი: ვიცი, რომ მთელი საფეხბურთო გერმანია ასე ფიქრობს და ისიც ვიცი, რომ ამას წინათ, მესუთ იოზილმა ერთ-ერთ ინტერვიუში სწორედ ეს წინადადება თქვა. ასეთი განწყობა ძალიან კარგია, მაგრამ მორჩა: ამიერიდან ამ თემაზე აღარ ვისაუბრებთ. ორიოდე დღის წინ ბიჭებსაც ვუთხარი, რომ არაფრის მოსმენა ან წაკითხვა არ მინდა იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება იყოს ჩვენი მეტოქე მეოთხედფინალში, ნახევარფინალში, ან ფინალში. ვუთხარი, რომ აღარ გამაგონონ ლაპარაკი ფინალზე ან ტიტულზე. კარგია, რომ ჩემპიონობა უნდათ, მაგრამ დღეიდან ჩვენ ყველამ მხოლოდ პორტუგალიაზე უნდა ვიფიქროთ. მხოლოდ პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ უნდა ვიფიქროთ მომდევნო მეტოქეზე და ა.შ. მომავალზე ფიქრის და საუბრის უფლება მხოლოდ ჩვენ, მწვრთნელებს გვაქვს, ფეხბურთელებმა კი მხოლოდ მომდევნო მეტოქეზე, მომდევნო მატჩზე უნდა იფიქრონ.

**- ფილიპ ლამი პორტუგალიასთან მარჯვენა მცველის პოზიციაზე ითამაშებს, რადგან კრიშტიანო რონალდოს შეჩერება სწორედ მას უნდა დაევალოს...**

ლიოვი: ჯერ არ არის გადაწყვეტილი, რომელ მატჩში სად ითამაშებს ლამი. ახლა მხოლოდ ის ვიცი, რომ ისრაელთან მარცხნივ ვათამაშებ და მხოლოდ ამის მერე გადავწყვეტ, რომელ ფლანგზე უნდა ითამაშოს ფილიპმა პორტუგალიასთან მატჩში. არ მაინტერესებს, როგორ და სად ითამაშა ლამმა „ბაიერნისა" და „რეალის" დუელებში. სხვათა შორის, მე იმასაც ვფიქრობ, რომ რონალდოსთვის პერსონალური მცველის მიჩენას აზრი არ აქვს. კრიშტიანო მინიმუმ სამმა ფეხბურთელმა ერთად უნდა შეაჩეროს და შეგიძლიათ გამორიცხოთ ის, რომ რონალდოს მხოლოდ ერთ მცველს ჩავაბარებ.

**- დაცვის ცენტრში, ბადშტუბერის მეწყვილე ჰუმელსი იქნება, რადგან მან გერმანიის ჩემპიონატი და თასი მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ პერ მერტეზაკერზე თავდაჯერებულია...**

ლიოვი: ვერც ამ მოსაზრებას დაგიდასტურებთ. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი დრო მაქვს – ისრაელთან მატჩს და მომდევნო ვარჯიშებს უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ. კონკურენცია აუცილებელია და მიხარია, რომ გერმანიის ნაკრებში ყველა

> „ერთი წამითაც არ ვფიქრობ იმაზე, რომ ჩვენ შეიძლება ჯგუფში ჩავრჩეთ"

პოზიციაზე უდიდესი კონკურენციაა. შვეიცარიასთან მატჩში პერმაც და მატსმაც ინდივიდუალური, პოზიციური შეცდომები დაუშვეს. ვარჯიშებზე მერტეზაკერი ძალიან კარგად გამოიყურება და ერთი სიტყვით, ვინც დღეიდან პორტუგალიასთან მატჩამდე ყველაზე ნაკლებ შეცდომას დაუშვებს, ის ითამაშებს ბადშტუბერის გვერდით.

**- შვაინშტაიგერი ევროპის ჩემპიონატს ცუდ ფორმაში მყოფი შეხვდება...**

ლიოვი: შვაინშტაიგერი ძალიან დიდხანს იყო ლაზარეთში – ისევე, როგორც კიდევ სამი წამყვანი ფეხბურთელი: კლოზე, გიოტცე და მერტეზაკერი. ამ დღეებში კარგად უნდა დავაკვირდეთ, შეიძლება თუ არა მათი ასი პროცენტით დატვირთვა. შვაინიმ ახლო მომავალში ინტენსიურად უნდა ივარჯიშოს, მაგრამ არ ვიცი, როდის შევა საუკეთესო ფორმაში.

**- ლიოვმა ფეხბურთელები დაავალდებულა, გერმანიის ჰიმნი ყველამ უნდა იმღეროთო...**

ლიოვი: არავის არაფერს ვავალდებულებ. ცხადია, მეც და ჩემს ასისტენტებსაც ძალიან მოგვწონს და გვიხარია, როცა ჰიმნს ყველა მოთამაშე ასრულებს, მაგრამ ვერავის ვერაფერს დავაძალებთ – ეს ფეხბურთელებმა თვითონ უნდა მოინდომონ. თუ ვხედავ, რომ მოთამაშე ამაყობს გერმანიის ნაკრებში თამაშით და ბუნდესგუნდისთვის თავს არ ზოგავს, სულაც არაა აუცილებელი, ჰიმნი იმღეროს იმისათვის, რომ რალაც-რალაცებში დამარწმუნოს.

**- 2014 წელს ლიოვი „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი გახდება, ოლივერ ბირჰოფი კი – მენეჯერი...**

ლიოვი: ეს გამორიცხულია, რადგან გერმანიის საფეხბურთო კავშირთან კონტრაქტი 2014 წლის აგვისტომდე მაქვს გაფორმებული, მუნდიალის შემდეგ კლუბის ჩაბარება კი შეუძლებელია, რადგან იმ დროისთვის მოსამზადებელი შეკრება კლუბს უკვე გავლილი უნდა ჰქონდეს. რომელიმე კლუბში მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავინაცვლებ, თუ საკადრო დაგეგმარებაში მონაწილეობის მიღებისა და მოსამზადებელი შეკრების გავლის შესაძლებლობა მექნება.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

უცხოური ფეხბურთი

ვარსკვლავები თამაშგარეში | ევრო 2012 | სიურპრიზები

# ისინი არ ითამაშებენ ევროპის ჩემპიონატზე

ვებგვერდმა Goal.com-მა მკითხველს იმ გამორჩეული ფეხბურთელების შესახებ მოუთხრო, რომლებიც ტრავმების გამო ევროპის ჩემპიონატზე ვერ ითამაშებენ. სიმართლე გითხრათ, უკრაინა-პოლონეთში გასამართი პირველობა ამ მხრივ წინა ტურნირებთან შედარებით ნაკლებად დაზარალებული გვეჩვენება, რადგან ტრავმების ზევრად დიდი ეპიდემიაც გვახსენდება, მაგრამ მაინც... სამწუხაროა, რომ თავიანთ ნაკრებებს ისეთი კარგი ფეხბურთელები დააკლდებიან, როგორებიც, მაგალითად, ჯუზეპე როსი და დავიდ ვილია არიან.



ესპანეთის ნაკრებს კარლეს პუიოლი და დავიდ ვილია დააკლდნენ

## ერიკ აბიდალი
### საფრანგეთი

"ბარსას" მცველი აპრილში ღვიძლის გადანერგვის წარმატებული ოპერაციის შემდგომ საზაფხულო აღდგენით კურსს გაივლის. საფეხბურთო თვალსაზრისით, საკმაოდ პოპულარული ფეხბურთელის დაკარგვა სერიოზული დარტყმა იქნება **ლორან ბლანისთვის**, ვისაც მუხლის ტრავმის მეორე ცენტრალური მცველი **იუნეს კაბულიც** დააკლდება.

## გარეთ ბერი
### ინგლისი

31 წლის ნახევარმცველმა კარიერაში ალბათ საუკეთესო სეზონი ჩაატარა და "მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში პრემიერლიგის ბოლო ტურში მოპოვებული საოცარი გამარჯვების წყალობით ჩემპიონის ტიტული მოიგო. ბერი ევროპის ჩემპიონატზე **როი ჰოჯსონის** გუნდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთელის რანგში მიდიოდა. ის საბოლოოდ განაცხადში უკვე მოხვედრილი იყო, როცა ნორვეგიასთან ამხანაგურ შეხვედრაში მუცლის კუნთები დაიზიანა, რამაც ტურნირზე მისი თამაში გამორიცხა.

## დმიტრი ჩიგრინსკი
### უკრაინა

ჩიგრინსკი მთელი სეზონის განმავლობაში იტანჯებოდა ბარძაყის ტრავმის გამო და სწორედ ამიტომ ვერ მოახერხა იმ დრომდე გამოჯანმრთელება, რომელიც მას **ოლეგ ბლოხინმა** დაუწესა. ეს კიდევ ნახევარი უბედურებაა, რადგან ჩემპიონატს უკრაინელთა ორი ძირითადი მეკარე **ანდრეი დიკანი** (სპარტაკი მ) და **ალექსანდრ შოვკოვსკი** (დინამო კ) დააკლდებიან.

## იონ გვიდეტი
### შვედეთი

"მანჩესტერ სიტის" შვედმა თავდამსხმელმა ბოლო სეზონი იჯარით "ფეიენოორდში" გაატარა. მას ნაკრების წინა ხაზში სერიოზული კონკურენცია ელოდა, მაგრამ არ დასცალდა, რადგან მარჯვენა ფეხის ბარძაყზე მიღებული ტრავმის მოშუშება ვერ შეძლო. ასე რომ, გუნდს დიდწილად **ზლატან იბრაჰიმოვიჩზე** დაყრდნობა მოუწევს. არ იქნება ევროპაზე მცველი **დანიელ მაისტროვიჩიც**, ვინც მუხლზე ჯვარედინი იოგების განწყვეტის გამო თებერვალს აქეთ არ თამაშობს. მას "ვესტ ბრომვიჩის" სტოპერი **იუნას ოლსონი** შეცვლის.

## ერიკ პიტერსი
### ჰოლანდია

23 წლის პიტერსში დიდი ხანია ხედავენ **ჯოვანი ვან ბრონკხორსტის** ღირსეულ შემცვლელს. მან ტრავმა აპრილში მიიღო და ჰოლანდიის ნაკრების მდგომარეობა დაამძიმა ევროპის ჩემპიონატის წინ. მისი შეცვლა გამოუცდელ პსვ-ელ **იეტრო ვილემსს** მოუწევს, რადგან დაცვის მარცხენა ფლანგი ნაკრების სუსტი წერტილია.

## კარლეს პუიოლი
### ესპანეთი

კარლეს პუიოლი ნამდვილი მებრძოლია. მას შეეძლო ესპანეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონის ტიტულის დაცვისთვის ბრძოლაში წინ გასძღოლოდა, მაგრამ ტურნირის დაწყებამდე ერთი თვით ადრე მუხლი გაუხდა საოპერაციო. "ფურია როხას" თავისი ლიდერი, ვინც დაზიანება ბარსელონურ დერბიში მიიღო, ძალიან დააკლდება.

## ჯუზეპე როსი
### იტალია

იტალიელმა თავდამსხმელმა სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა. მან მუხლის ჯვარედინი იოგების ტრავმა გასული წლის ოქტომბერში მადრიდის "რეალთან" შეხვედრისას მიიღო, აპრილში კი ხელახლა გაიმიზეზა და კიდევ 10 თვით მოუწევს უფეხბურთოდ დარჩენა. იტალიელებს იმედი აქვთ, რომ მისი ტრავმა ნაკრებისთვის ფატალური არ აღმოჩნდება.

## ბაკარი სანია
### საფრანგეთი

მაშინ, როცა მწყობრიდან გამოსულები არიან ერიკ აბიდალი და იუნეს კაბული, საფრანგეთის ნაკრებს კიდევ ერთი მცველი დააკლდება – ბაკარი სანია. არსენალელმა ფეხი "ნორვიჩთან" შეხვედრაში მოიტეხა. მას ანალოგიური ტრავმა წინა წლის ოქტომბერშიც ჰქონდა. სანიას არყოფნა სერიოზულად აზარალებს ლორან ბლანის გუნდის ამბიციებს.

## დავიდ ვილია
### ესპანეთი

თავდამსხმელი, ვინც შესარჩევ ციკლში ესპანეთის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირი გახდა, ფინალურ ეტაპზე საგოლე ანგარიშს ველარ გაზრდის, რადგან დეკემბერში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე მოიტეხა ფეხი. დავიდი ბოლომდე არ კარგავდა იმედს, რომ ფორმის აღდგენას მოახერხებდა. ვილიას დაკარგვა ალბათ ყველაზე სერიოზული დანაკლისია კონტინენტის ჩემპიონატისთვის.

## ჯეკ უილშირი
### ინგლისი

ინგლისის ნაკრების უნიჭიერესი ახალგაზრდა ნახევარმცველი, სამწუხაროდ, ტოვებს ევროპის ჩემპიონატს. შარშან აგვისტოში "არსენალის" წინასასეზონო შეკრებისას ტერფის ძვლების მოტეხის შემდეგ ის მოედანზე ერთი წუთითაც არ გამოჩენილა. ნაკრებს რომ დააკლდებოდა, უკვე აპრილში გახდა ცნობილი. ასე რომ, როი ჰოჯსონს მისი კრეატიული ფეხბურთის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა.

**ლევან ბიბილაშვილი**



ხუანფრანს ჯერ ხეირიანად არ მოურგია ევროპის ჩემპიონთა მაისურა

# ევროპის ჩემპიონატზე შემთხვევით მოხვედრილები

## ფორტუნისის ფორტუნა, კასპერის შანსი და სერია B-დან ევროზე

ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელებს ეძლევათ საშუალება, თავი კონტინენტის მთავარ ტურნირზე გამოიჩინონ. ევრო 2012-იც საბოლოოდ დაკომპლექტდა, მაგრამ, ისევე როგორც ადრეც, 16 გუნდის განაცხადში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, რომელთა პოლონეთ-უკრაინაში თამაშს ბევრი ვერ იფიქრებდა, მათ შორის თავად ეს ფეხბურთელებიც...

უპირველესად თვალში ევროპის ჩემპიონთა განაცხადი გეცემათ - პოლონეთში საწვრთნელ ბაზაზე ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩავა ფეხბურთელი, რომელსაც სულ ახლახან ჰქონდა ნაკრებში დებიუტი, 24 საათის შემდეგ კი მას მოულოდნელად განუცხადეს - ითამაშებ! ლაპარაკი **ხუანფრანზეა**, 25 მაისს 27 წლის ატლეტიკოელმა პირველად მოირგო ცხოვრებაში ნაკრების ფორმა, მარჯვენა მცველმა სერბეთთან ურიგოდ არ ითამაშა და 23-კაციან სიაშიც მოხვდა. აქამდე **ალვარო არბელოას** სავარაუდო შემცვლელად „ბილბაოს" მარჯვენა მცველი **ანდონი ირაოლა** განიხილებოდა, მაგრამ ბედი უნდა ყველაფერს - ირაოლა სწორედ „ატლეტიკოსთან" მატჩში, ევროპალიგის ფინალში დაშავდა. მართალია, ბასკი გამოჯანმრთელდა და ესპანეთის თასის ფინალშიც ითამაშა, მაგრამ ევრომატარებელი უკვე ჩავლილი იყო და მას ბოლო წამს ხუანფრანი მოახტა...

**ალვარო ნეგრედოს** სულაც არ დასჭირვებია გამართლების მოვლენათა ასეთი ჯაჭვი - სევილიელი უბრალოდ **ვისენტე დელ ბოსკემ** „ამოიჩემა" - ამტკიცებს, უფრო გუნდური ფეხბურთელია, ვიდრე ლა ლიგის საუკეთესო ესპანელი მეგოლე **რობერტო სოლდადოო**, შანსი არც ახალგაზრდა და მზარდ ფორვარდ **ადრიან ლოპესს** მიეცა. ყველაზე საოცარი ისაა, რომ სერბეთთან მატჩში ნეგრედოზე პასიური ფეხბურთელი მოედანზე არ ყოფილა.

იმავე ჯგუფში, სადაც ესპანელები ითამაშებენ, იტალიის ნაკრებიცაა. „სკუადრა აძურას" 23-კაციან შემადგენლობაშიც ნახავთ საოცრებებს - მაგალითად, „ტორინოს" **ანჯელო ოგბონა**, ნიგერიული წარმოშობის მცველი. ოგბონა სერია B-დან პირდაპირ ევრო 2012-ზე მოხვდა.

**ემანუელე ჯაკერინის** ჯერ ერთხელაც არ უთამაშია მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონთა რიგებში. მეტიც, ჯაკერინიმ თავი ჯერ „იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში ვერ დაიმკვიდრა, მაგრამ ევროზე კი მიდის და...

ჩეხთა ნახევარმცველმა **ვლადიმირ დარიდამ** ევროპის ჩემპიონატზე თამაში ერთ კონკრეტულ მატჩში თავის გამოჩენით დაიბევა. პლზენის „ვიქტორიას" 21 წლის ფეხბურთელმა **როსიცკის** ტრავმით ისარგებლა და ისრაელთან ამხანაგურ მატჩში მაგრად ითამაშა. *„ის არ ჰგავდა დებიუტანტს, არამედ გამოცდილ ფეხბურთელს საერთაშორისო დონეზე"*, - თქვა ჩეხთა თავკაცმა **მიხალ ბილეკმა** და დარიდა 23-კაციან სიაში ჩასვა.

**ვილფრედ ბოუმას** უკვე 35-ჯერ უთამაშია „ფორთოხლისფერებში", მაგრამ მან ბოლოს ჰოლანდიის ნაკრების მაისურა 2008 წელს მოირგო. ევროზე ბოუმას ალარავინ ელოდა, მაგრამ **ვან მარვიიკმა** სხვანაირად განსაჯა. საინტერესოა, **უგო ვიანას** დაბრუნებაც პორტუგალიის ნაკრებში - ამ მოხეტიალე ნახევარმცველს 2007 წლის მერე არ უთამაშია ეროვნულ გუნდში, „გრანადას" პლეიმეიქერმა **კარლუშ მარტინშმა** ტრავმა მიიღო და ვიანაც გაახსენდათ. **პაულუ ბენტუმ** ახალგაზრდა **ნელსონ ოლივეირაც** შეიყვანა სიაში, არადა ამ ფორვარდს „ბენფიკაში" 12 მატჩი აქვს ჩატარებული და 1 ეროვნულ ნაკრებში, სულ ეს არის ოლივეირას გამოცდილება დიდებში.

საბერძნეთში გამოცდილ მცველ **ალექსანდროს ციოლისს** 19 წლის **კოსტას ფორტუნისი** ამჯობინეს, რომელსაც ჯერ ნაკრებში კეპი არა აქვს. ვერაფერს ვიტყვით, ფორტუნისს ფორტუნა ულიმის...

დანიის ნაკრებში უკანასკნელ წამს მოხვდა დიდი მეკარის, **პეტერის** ვაჟი **კასპერ შმეიხელი** - ტრავმა მიიღო გუნდის ძირითადმა გოლკიპერმა **სორენსენმა** და მისი ადგილი კასპერს ერგო - დანიელთა №1 კვლავ შმეიხელია, სიმბოლურია! 1992 წელს ასე შემთხვევით მოხვედრილი მამა პეტერი (იუგოსლავიის ნაკრები არ დაუშვეს ტურნირზე) ევროპის ჩემპიონი გახდა, რას იზამს შვილი?

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ანჯელო ოგბონა სერია B-დან იტალიის ნაკრებში მოხვდა

ევრო 2012 სტატისტიკა

# კასილიასი ყველაზე გამოცდილია

## ყველაზე, ყველაზე, ყველაზე...

**მაშ ასე, გუშინ შემოგთავაზეთ იმ 368 ფეხბურთელის სია, რომელთაც ევრო 2012-ის ისტორია უნდა დაწერონ. გადავხედოთ ამ სიას სხვა კუთხით...**

### კეპები

ეროვნულ ნაკრებში თამაშების რაოდენობით ჰოლანდიას ყველაზე გამოცდილი გუნდი ჰყავს - საშუალოდ 42 თამაში ნაკრებში. **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** ნაკრების მაისურა 94-ჯერ მოირგო. საფრანგეთი და პოლონეთი კი ყველაზე გამოუცდელია - 21 თამაში ნაკრებში. ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი ევრო 2012-ზე **იკერ კასილიასი** იქნება - 129 მატჩი ნაკრებში (წუხანდელის ჩაუთვლელად).

### სიმაღლე

სიმაღლეში გერმანელებს უპირატესობა ექნებათ, სანამ ისინი ხორვატიის ნაკრებს არ შეხვდებიან. ორივე გუნდის საშუალო სიმაღლე 185 სანტიმეტრია.



ამ ბიჭმა ისტორია უნდა გადაწეროს და ენცო შიფოს რეკორდი დაამხოს

ევროზე ყველაზე მაღალი შვედების მეკარე **ანდრეას ისაკსონი** იქნება - 199 სმ.

### გოლები

საკვალიფიკაციო ეტაპზე ჰოლანდიელებმა 37 გოლი გაიტანეს, ბერძნებს კი საგზურის მოსაპოვებლად 14 გოლის გატანა (აქედან 6 მცველების ანგარიშზეა!) ეყოთ. **კლაას-იან ჰუნტელაარმა** 12 გოლი გაიტანა, მეორე ადგილზე **მიროსლავ კლოზეა** 9 გოლით.

### ასაკი

იტალიის, რუსეთის, შვედეთისა და ირლანდიის ნაკრებთა საშუალო ასაკი 28 წელია, გერმანიის ნაკრები ყველაზე ახალგაზრდულია - 24 წელი საშუალოდ. 37 წლის ბერძენი გოლკიპერი **კოსტას ქალკიასი** ყველაზე ასაკოვანია ტურნირზე. ჰოლანდიელი **იეტრო ვილემსი** ყველაზე ახალგაზრდაა (18 წლის). თუ 1 წუთი მაინც ითამაშა, იეტრო ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში. ახლა რეკორდი ბელგიელ **ენცო შიფოს** ეკუთვნის - 18 წელი და 115 დღე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# პრემიერი გარანტიას იძლევა



პოლონეთის პრემიერ-მინისტრი დონალდ ტუსკი BBC-ის ბრალდებამ აღაშფოთა

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი **დონალდ ტუსკი** ტელეკომპანია BBC-ის ფილმს გამოეხმაურა, სადაც მოთხრობილი იყო, თუ რა მძიმე მდგომარეობაა ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნებში და მსოფლიოს საფეხბურთო საზოგადოებას გარანტია მისცა, რომ პოლონეთში გულშემატკივარს არანაირი საფრთხე არ ემუქრება არც რასისტებისა და არც ნეონაცისტების მხრიდან. მას არგუმენტად მოჰყავს ის, რომ პოლონელ ხალხს რასიზმი საერთოდ არ ახასიათებს და თანაც ქვეყანას მარტო ბრიტანეთიდან წელიწადში 100 ათასზე მეტი ადამიანი სტუმრობს, მათ კი ცუდ მოპყრობაზე არსად დაუჩივლიათ. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე მოითხოვა BBC-ის მხრიდან იმის ოფიციალურად უარყოფა, რომ პოლონეთი სტუმრებისთვის საშიში ქვეყანაა.

ინგლისელთა ბრალდებებით აღშფოთება ვერ დამალა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა შემდეგი განცხადება გააკეთა: *"ღრმად შეშფოთებულები ვართ დისკრედიტაციის იმ ტალღის გამო, რაც ბოლო დღეებში ბრიტანულ მასმედიაში აგორდა, უკრაინაში თითქოსდა მძვინვარე რასისტული სიტუაციის გამო. ეს მოგონილი, მითური პრობლემაა, რომელიც ევრო 2012-ის, უკრაინისა და ზოგადად აღმოსავლეთევროპული ქვეყნების სახელის შებღალვას ისახავს მიზნად. ამაში ჩვენი საზოგადოების ნაწილის დადანაშაულება შეიძლება, მაგრამ რასიზმის დონით, ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა უკრაინაზე ბევრად "წინ" დგას. დარწმუნებულები ვართ, რომ ტურნირი ტოლერანტობისა და სტუმართმოყვარეობის ატმოსფეროში ჩაივლის".*

დიდი ბრიტანეთის მთავრობა არ იზიარებს BBC-ის ჟურნალისტების შეშფოთებას და ურჩევს გულშემატკივრებს, რომ თამამად გაემგზავრონ ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნებში, - ამის შესახებ სპორტის მინისტრმა **ჰიუ რობერტსონმა** ტელეკომპანია SKY Sports-ის ეთერში განაცხადა. *"ის განცხადებები, რაც ფილმში მოისმინეთ, არასწორია. ჩემი რჩევა იქნება ფანების მიმართ, რომ ჩავიდნენ უკრინაში და ნაკრებს მხარი დაუჭირონ. რაც უფრო მეტი იქნება გვერდში დგომა, მით უფრო მეტი შანსი გვექნება წარმატების მისაღწევად,"* – აცხადებს რობერტსონი.

საფრანგეთის ნაკრები

# მზად დიდი საქმეებისთვის

საფრანგეთის ნაკრები ერთ-ერთ ყველაზე რთულ ჯგუფში მოხვდა ინგლისის, შვედეთისა და უკრაინის გუნდებთან ერთად. "სამფეროვნების" თავდამსხმელ **ოლივიე ჟირუს** ეს ბრძოლის ჟინს უათმაგებს. აი, რას აცხადებს 26 წლის ფეხბურთელი: *"ჩემი მიზანია, საფრანგეთის ნაკრებს რაღაც ჩემეული შევმატო ჩემპიონატის მატჩებისას. მე არატიპური თავდამსხმელი ვარ და ვეცდები, ჩემს სტილში ვითამაშო. სეზონის დაწყებამდე ვამბობდი, რომ ჩემი მიზანი იყო, ნაკრებში მოვხვედრილიყავი და საერთაშორისო დონეზე მქონოდა დებიუტი. მშვენიერი სეზონი ჩავატარე, ყოველი ნაბიჯის შემდეგ უფრო თავდაჯერებული ვხდებოდი და სულ უფრო მეტად მჯეროდა, რომ ნაკრებში მოხვედრას დავიმსახურებდი.*

*ტურნირის მოახლოებასთან ერთად ზეწოლა ჩვენზე სულ უფრო გაიზრდება. მართალია, ეს მოვლენა ზოგადად ჩემთვის უცხო არ არის, მაგრამ მსგავსი რამ ნამდვილად არ განმიცდია. ამაყი ვარ, რადგან ნაკრების ფორმა მაცვია და სულაც არ ვარ სანაკრებო ტვირთის ტარების წინააღმდეგი. პირიქით, ეს მშვენიერია. ჩვენ მზად ვართ დიდ საქმეებთან შესაჭიდებლად, რაც მსოფლიო ფეხბურთის გრანდებთან გამარჯვებებით დავამტკიცეთ. ისლანდიასთან ფეხი დაგვიცდა, მაგრამ იქაც შევძელით იმის დამტკიცება, რომ ძლიერი ხასიათის გუნდი ვართ. გუნდში სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, აუცილებელია, სწორი ბალანსის მონახვა და მაქსიმალურად მშვიდი თამაში დაცვაში. ყველანი მოუთმენლად ველოდებით ჩემპიონატის დაწყებასა და ინგლისთან სადებიუტო მატჩს. ძალიან გვინდა, ჩვენი ძალები გამოვცადოთ მათ ფონზე და გავიგოთ, ნამდვილად შეგვიძლია თუ არა ჯგუფიდან გასვლა".*



ოლივიე ჟირუ

Goal.com "მამლების" მთავარი მწვრთნელის **ლორან ბლანის** კომენტარს ავრცელებს, სადაც ის გუნდის პრობლემებზე მსჯელობს. აი, რას ამბობს 46 წლის სპეციალისტი: *"გუნდის პოტენციალი უპირველესად ტაბლოზე უნდა აისახოს. ნამდვილად გვყავს ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებიც დაცვაში ხშირად ცდებიან. ამიტომ აუცილებელია გუნდის შეთამაშებაზე მეტი აქცენტის გაკეთება, რათა ის უფრო დაბალანსებული გახდეს".*

მანჩესტერ იუნაიტედი

# არაკომერციული ტრანსფერი

გუშინაც ვწერდით, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" ახლოს არის "დორტმუნდის" 23 წლის იაპონელი ნახევარმცველის **შინჯი კაგავას** შეძენასთან. "ეშმაკები" თანახმანი არიან, 350 ათას ევროდ ნაყიდ ფეხბურთელში გერმანიის ჩემპიონებს 22 მილიონი გადაუხადონ. მანჩესტერელთა კომერციული დირექტორი **რიჩარდ არნოლდი** აცხადებს, რომ გარიგებაზე ისინი წმინდა სპორტული მიზნებისთვის მიდიან და არა იმისთვის, რომ კლუბმა აზიურ ბაზარზე უფრო მეტად გაიმყაროს პოზიცია, სადაც ის ისედაც განუზომელი პოპულარობით სარგებლობს. *"ჩვენ არ ვყიდულობთ ფეხბურთელებს მხოლოდ მაისურების გასაყიდად. ჩვენს შემადგენლობაში 25 ნამდვილი ვარსკვლავი ირიცხება, ასე ვთქვათ, ჯორჯ ბესტის 25 კლონი გვყავს. თუკი გაითვალისწინებთ, რამდენად წარმატებულები ვართ პლანეტის ამ მხარეში, ეს ვერ იქნება მხოლოდ ერთი კონკრეტული ფეხბურთელის დამსახურება. რა თქმა უნდა, ჟი სუნ პარკი ძალიან კარგი ფეხბურთელია, ის სამხრეთ კორეის ნაკრების კაპიტანია და დღემდე რჩება "იუნაიტედის" ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთამაშედ. ჩვენი კლუბი ყოველთვის მეტია, ვიდრე რომელიმე ფეხბურთელი. ის უფრო მეტია, ვიდრე ჯორჯ ბესტი, ბრაიან რობსონი, დევიდ ბექჰემი, ერიკ კანტონა და ჟი სუნ პარკი ცალკე აღებული. ჟი ძალიან პოპულარულია კორეაში, ისევე როგორც ხავიერ ერნანდესი მექსიკაში, მაგრამ პოლ სქოულზს გულშემატკივრების მთელი არმია ჰყავს ჩინეთში. ისინი ნამდვილი ვარსკვლავები არიან მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. "იუნაიტედის" შეხვედრებს 1,1 მილიარდი ადამიანი ადევნებს თვალს მთელ მსოფლიოში. ეს არის ფილმების სერია, რომელსაც ხალხისთვის წელიწადში 60-ჯერ ვიღებთ. შეუძლიათ რამე ამის მსგავსი ჯორჯ კლუნისა და ბრედ პიტს? არაფერი,"* – აცხადებს არნოლდი.

უკვე სახელგანთქმული ფეხბურთელების გარდა "იუნაიტედის" სკაუტები ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც დიდ ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, "ეშმაკებმა" ქვედალიგელი "ქრიუდან" ინგლისის 18-წლამდელთა ცენტრალური ნახევარმცველი, 18 წლის **ნიკოლას პაუელი** გადაიბირეს, ვისთანაც 4-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა, კვირეული 20-ათასიანი ანაზღაურებით. ტრანსფერი 3 მილიონი ფუნტი (3,75 მილიონი ევრო) დაჯდა. პაუელს კონტრაქტებს "ევერტონი", "ჩელსი", "ნიუკასლი" და "ფულჰემიც" სთავაზობდნენ.



იუნაიტედს შინჯი კაგავა სჭირდება და არა მისი წყალობით გაყიდული მაისურები

კაგავას გარდა მანკუნიანელთა ყურადღება სხვა ფეხბურთელებისკენაც არის მიპყრობილი. მაგალითად ნიუკასლელი **პაპის სისესკენ**. 26 წლის სენეგალელმა პრემიერლიგას გემო იანვარში გაუგო, მაგრამ უმალ აულო ალღო და ფანტასტიკური სადებიუტო სეზონი გამოუვიდა. "კაჭკაჭების" შემადგენლობაში 14 შეხვედრაში 13 გოლის გატანა მოახერხა. "დეილი მირორის" ცნობით, ექსფრაიბურგელის შეძენა "იუნაიტედსა" და "ჩელსის" სურთ. სისეს გარდა ჩრდილოინგლისელებს **დემბა ბასა და იოან კაბაის** შესანარჩუნებლადაც მოუწევთ ბრძოლა.

ჩელსი



პეპ გვარდიოლა

# გვარდიოლა თანახმაა

## ოღონდ მისი დარწმუნება გაძნელდება

როგორც ევროპული სპორტული ვებგვერდები იტყობინებიან, **პეპ გვარდიოლა** მზადაა, აღარ აიღოს ერთწლიანი შვებულება და საქმეს მომავალ სეზონშივე დაუბრუნდეს. თუკი... მას დაარწმუნებენ, რომ ღირს ამ ნაბიჯის გადადგმა. ამან "ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** ძალიან გაახარა, რადგან არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ოლიგარქი 41 წლის კატალონიელით, ვინც "ბარსელონაში" მუშაობის 4 წლის განმავლობაში 14 ტიტული მოიგო, ყოველთვის აღფრთოვანებული იყო. თუკი "სანს" დავუჯერებთ, გვარდიოლა რომან არკადიჩისგან ზარს ელოდება, მაგრამ იმასაც აცხადებს, რომ მისი დარწმუნება, მუშაობას მალევე შეუდგეს, საკმაოდ რთული იქნება. თუკი დარწმუნდება, რომ მასთან თანამშრომლობის სურვილი ძალიან დიდია, მაშინ ის მზად იქნება, დასვენება სხვა დროისთვის გადადოს. როგორც იწერება, "ლურჯების" ფუნქციონერებსა და გვარდიოლას აგენტს შორის პირველი კონტაქტი ორშაბათს შედგა. ლონდონური კლუბი მწვრთნელს წელიწადში 11 მილიონ ფუნტსა (13,76 მლნ ევრო) და მინიმუმ 2 წელიწადს ჰპირდება, რათა გუნდი თავის ჭკუაზე მოიყვანოს. გვარდიოლას და მის აგენტს მიაჩნიათ, რომ ასეთი გარანტია მათ პირადად აბრამოვიჩისგან უნდა მიიღონ. რუსი მილიარდერის წარმომადგენელთა თქმით, თუკი პეპს პირადად სურს აბრამოვიჩთან შეხვედრა, ეს პრობლემა არ იქნება.

მთელი ეს მოლაპარაკებები, რა თქმა უნდა, **რობერტო დი მატეოს** ზურგს უკან მიდის, რაც იტალიელის თავმოყვარეობაზე მძიმედ აისახება. მან ხომ "ჩელსის" ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის პირველი ტიტული მოუტანა.

ამბები

### ნეიმარს ევროპა სჭირდება

ბრაზილიელი **რონალდო** უკვე მერამდენედ აცხადებს, იმისთვის, რომ **ნეიმარმა** თავისი პოტენციალი ბოლომდე გამოამჟღავნოს, ევროპაში სათამაშოდ გადასვლა სჭირდება. ის დარწმუნებულია, რომ ნიჭიერი თანამემამულის კარიერას ეს ნაბიჯი ძალიან წაადგება. 20 წლის ფეხბურთელს "სანტოსთან" ხელშეკრულება 2014 წლამდე აკავშირებს, რაც ევროპულ კლუბებს, მიუხედავად დიდი სურვილისა, ხელს უშლის მის ტრანსფერზე მუშაობაში. *"ჩემი აზრი ამასთან დაკავშირებით არ შეცვლილა. ამჟამად ბრაზილიურ ფეხბურთში ნამდვილად არ არის ისეთი იდეალური სიტუაცია, რომ ასეთი კალიბრის ფეხბურთელი იყოლიო შემადგენლობაში. რა თქმა უნდა, უშუალოდ ჩემპიონატისთვის ძალიან კარგია, რომ ის აქ რჩება, რადგან თავისი დონით ის სხვებს ბევრად აღემატება. კარგია, რომ მის თამაშს ყოველ უქმე დღეზე ვხედავთ,"* – აცხადებს "ფენომენი".

### ყველაზე მეტი ინგლისიდან

ევროპის ჩემპიონატის საბოლოო განაცხადების გამოქვეყნების შემდეგ სტატისტიკოსებმა დაითვალეს, რომელი ქვეყნის ჩემპიონატს რამდენი წარმომადგენელი ჰყავდა და აღმოაჩინეს, რომ პირველი ადგილი ინგლისს უკავია. პრემიერლიგასა და ჩემპიონშიპს ერთად 79 ფეხბურთელი წარმოადგენს. ინგლისის ნაკრების გარდა 20 "ინგლისელი" ფეხბურთელი ჰყავს ირლანდიას და რაც ყველაზე საინტერესოა, მხოლოდ საბერძნეთსა და უკრაინას არ ჰყავთ ასეთი არავინ. აღნიშნული მონაცემით მეორე ადგილზე გერმანიის პირველი და მეორე ბუნდესლიგები არიან. ამ ქვეყანაში ევროპის ჩემპიონატის მონაწილე 48 ფეხბურთელი ასპარეზობს. 7-7 "გერმანელი" ჰყავთ განაცხადში ხორვატებსა და პოლონელებს.

### რედინგი ოფიციალურად გარუსდა

კომპანია Thames Sports Investment-მა, რომელსაც ახალგაზრდა რუსი მილიარდერი **ალექსანდრ ზინგარევიჩი** ფლობს, იურიდიულად საბოლოოდ დაასრულა ინგლისურ პრემიერლიგაში აღზევებული "რედინგის" აქციების გადაფორმების პროცესი. მის ხელთ ახლა კლუბის 51%-ია, - ვკითხულობთ კლუბის განცხადებაში. გარიგება კლუბის წინა მფლობელ **ჯონ მადეისკისთან** ჯერ კიდევ იანვარში გაფორმდა და ის 63 მილიონი დოლარი დაჯდა. თუმცა იქამდე, ვიდრე საფეხბურთო ასოციაცია მას არ დაამტკიცებდა, ხელშეკრულება ვერ ამოქმედდებოდა. 5-თვიანი მსჯელობის შემდეგ ინგლისური ფეხბურთის მამებმა გარიგების ნამდვილობა ცნეს.

### რანიერი ოფიციალურად დაინიშნა

იტალიელი მწვრთნელი **კლაუდიო რანიერი** ოფიციალურად დაინიშნა "მონაკოს" მთავარ მწვრთნელად. 60 წლის აპენინელთან 2-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა. *"რანიერი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნევა და ის ჩვენ აუცილებლად დაგვეხმარება თავისი გამოცდილებით,"* - წერია ფრანგული ლიგა 2-ის კლუბის ვებგვერდზე. სინიორ კლაუდიოსგან ხელმძღვანელობა რასაკვირველია ელიტაში დაბრუნებას ითხოვს. ის კი აცხადებს, რომ მზადაა მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად: *"ჩემთვის დიდი პატივია ჩავიბარო ევროპის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ისტორიის მქონე კლუბი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, დიდი მომავალი აქვს. მზად ვარ, გამოწვევა მივიღო და გუნდთან ერთად მუშაობის დაწყებას მოუთმენლად ველოდები. ჩვენ ისეთი გუნდის აშენება მოგვიწევს, რომელმაც აუცილებლად უნდა დაიბრუნოს ის ადგილი, რაც ნამდვილად ეკუთვნის ფრანგულ ფეხბურთში".*

გვერდი მოამზადა

**ლევან ბიბილაშვილმა**

კალათბურთი

საქართველოს ჩემპიონატის ლაურეატები. ლელოს გამოკითხვა — ნაწილი II

# არმიელთა დომინირებით

**გუშინ** შემოგთავაზეთ ჩვენს გამოკითხვაში საუკეთესო კალათბურთელთა ჩამონათვალი. მწვრთნელებსა და ჟურნალისტებს მხოლოდ სუპერლიგის 2011-12 წლების საუკეთესო კალათბურთელის დასახელება როდი ვთხოვეთ - მათ საკუთარი შეხედულებისამებრ ჩამონერეს საუკეთესო ხუთეული, მწვრთნელი, ახალგაზრდა... გასული წლების გამოკითხვებისგან განსხვავებით, ამჯერად რამდენიმე ნომინაცია ორად გავყავით: ცალკე ლეგიონერების ხუთეული ჩამოვწერეთ, ცალკე - ქართველების. ასეთი დახარისხება წამყვან ევროპულ საკალათბურთო ქვეყნებში მიღებულია, რადგან ერთმანეთზე უკეთესად ირჯებიან ადგილობრივები და ლეგიონერები. საქართველოში კი ძლიერი უცხოელი კალათბურთელები მხოლოდ წლეულს გამოჩნდნენ და სწორედ ამიტომ მოგვეცა განაწილების საშუალება.




## საუკეთესო ქართველი

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. გიორგი ცინცაძე | ოლიმპი | 21 |
| 2. ლაშა გამყრელიძე | ოლიმპი | 8 |
| 3. ლევან ფაცაცია | სოხუმი | 3 |
| 4-7. ანატოლი ბოისა | არმია | 1 |
| 4-7. გიგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 1 |
| 4-7. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 1 |
| 4-7. რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 1 |

სეზონის საუკეთესო ქართველის წოდება **გიორგი ცინცაძემ** მიიღო, რომელმაც ზუსტად იმდენი ხმა მიიღო, რა ნომერიც ზურგზე ეწერა - 21.

მეორე **ლაშა გამყრელიძე** იყო, რომელზეც „დინამოს" მწვრთნელმა ირაკლი ხოშტარიამ გვითხრა: „ოლიმპი" გამყრელიძითა და მის გარეშე ორი სრულიად განსხვავებული გუნდი იყოო. საინტერესოა, რომ ლაშამ სამმაგი დუბლი სწორედ „დინამოსთან" მატჩში შეასრულა: 27 ქულა, 14 პასი, 10 მოხსნა.

**ლევან ფაცაცია** სამეულში სამართლიანად შევიდა. გემახსოვრებათ, რომ პირველი წრის საუკეთესო კალათბურთელად სწორედ ლევანი დავასახელეთ. გამყრელიძეს არც ლევანი ჩამორჩა და რეგულარული ეტაპის 22-ე ტურში სამმაგი დუბლი მიითვალა: 10 ქულა, 17 მოხსნა, 13 პასი.

## საუკეთესო უცხოელი

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. უილ ტომასი | არმია | 15 |
| 2. ბენ ვუდსაიდი | არმია | 12 |
| 3. ჯერემი რიჩარდსონი | არმია | 5 |
| 4-5. გილერმო დიასი | არმია | 2 |
| 4-5. ლარი ბლერი | შსს აკად. | 2 |



ამ ნომინაციაში ხუთიდან ოთხი არმიელია. გასაკვირი არ არის, რომ პირველობა სეზონის საუკეთესო კალათბურთელმა **უილიამ ტომასმა** არავის დაუთმო.

„შსს აკადემიას" უკანახაზელ **ლარი ბლერს** გამოკითხვის შედეგების მიხედვით ნამდვილად უკეთეს პოზიციაზე ვიხილავდით, მის გუნდს უკეთესი შედეგი რომ ეჩვენებინა. შსს მეოთხედფინალში „სოხუმთან" დამარცხდა და საჩემპიონო ბრძოლას გამოეთიშა. ბლერი სუპერლიგის ბომბარდირი გახდა: საშუალოდ 26.2 ქულა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არმიელებმა ერთგვარად დაჩრდილეს დინამოელები **მილან ოლუიჩი და ქიენ კარტერი.** მათ მართლაც კარგი სეზონი ჰქონდათ, თუმცა მეოთხედფინალში „ოლიმპთან" დამარცხდნენ.

## საუკეთესო ახალგაზრდა

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. დუდა სანაძე | დინამო | 25 |
| 2-3. ბექა ჩიკვილაძე | თსუ | 3 |
| 2-3. მერაბ ბოქოლიშვილი | შსს აკად. | 2 |
| 4-7. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 1 |
| 4-7. რეზო როგავა | სოხუმი | 1 |
| 4-7. ზურაბ მაისურაძე | თსუ | 1 |
| 4-7. ვახტანგ ჩქარეული | თსუ | 1 |

**დუდა სანაძემ** 25 ხმა მიიღო,. დუდამ ჩემპიონატი ერთი-ორად უკეთესად ჩაატარა, ვიდრე წინა სეზონი, რაც მის სწრაფ პროგრესზე მიუთითებს. სანაძეს ხელი კლუბმაც შეუწყო - „დინამოში" მას სრული ნდობა ჰქონდა.

ამ ზაფხულს იგი **მერაბ ბოქოლიშვილთან** და **ნოდარ თენიეშვილთან** ერთად ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს ღირსებას დაიცავს.



## დაცვაში საუკეთესო

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. ანატოლი ბოისა | არმია | 9 |
| 2. უილ ტომასი | არმია | 8 |
| 3. მილან ოლუიჩი | დინამო | 5 |
| 4. იოაკიმ შელბომი | არმია | 4 |
| 5-7. ლაშა გამყრელიძე | ოლიმპი | 2 |
| 5-7. ბენ ვუდსაიდი | არმია | 2 |
| 5-7. ჯასტინ ტაბსი | შსს აკად. | 2 |
| 8-11. ლევან ფაცაცია | სოხუმი | 1 |
| 8-11. ჯერემი რიჩარდსონი | არმია | 1 |
| 8-11. ნიკოლა ტუტუსი | ოლიმპი | 1 |
| 8-11. თემურ ბაბუნაშვილი | ქუთაისი | 1 |

**ანატოლი ბოისა** საქართველოში ამერიკის კოლეჯების ლიგიდან 2004 წელს ჩამოვიდა, მას მერე გამოკითხვაში საუკეთესო დამცველის ტიტულს არავის უთმობს.

ერთ-ერთმა მწვრთნელმა ამ ნომინაციაში კალათბურთელის გვარი რომ ჩაწერა, დასძინა:

- კარგია, ყოველწლიურად დაცვაში საუკეთესოს რომ ავლენთ, ქართველებს შეტევაში თამაში უფრო გვიყვარს, არადა, დაცვის გარეშე ვერაფერს მოიგებ. ამ კომპონენტზე მეტი ყურადღებაა საჭირო.





## საუკეთესო მწვრთნელი

| მწვრთნელი | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. კოტე ტულუში | არმია | 24 |
| 2-3. გია კაზანჯიანი | ოლიმპი | 4 |
| 2-3. დავით უსტიაშვილი | ქუთაისი | 4 |
| 4. ზურაბ ტომარაძე | სტუ | 2 |
| 5. გიორგიოს კეცელიდისი | შსს აკად. | 1 |

საუკეთესო მწვრთნელის დასახელებისას გამოკითხულთა უმეტესობა ერთი პრინციპით ხელმძღვანელობდა: რადგან ჩემპიონი გახდა, ე.ი. საუკეთესო მწვრთნელი **კოტე ტულუშიაო.**

ჩვენი მხრივ დავძენთ, „არმიას" დამრიგებლის გარჯა დასაფასებელი იმიტომაცაა, რომ სამწვრთნელო კარიერის პირველივე წელს არაერთი მაღალი კლასის, თუმცა ამბიციური კალათბურთელი ერთ მუშტად შეკრა და გუნდზე ათამაშა.

## ლეგიონერები

### გამთამაშებელი (№1)

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. ბენ ვუდსაიდი | არმია | 35 |
| 2. ენტონი მუდი | შსს აკად. | 1 |

### მსროლელი (№2)

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. ლარი ბლერი | შსს აკად. | 22 |
| 2. გილერმო დიასი | არმია | 16 |
| 3. ნიკიცა სლიუკა | ოლიმპი | 3 |
| 4. ჯასტინ ტაბსი | შსს აკად. | 1 |

### მსუბუქი ფორვარდი (№3)

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. ჯერემი რიჩარდსონი | არმია | 26 |
| 2. ნიკოლა ტუტუსი | ოლიმპი | 1 |

### მძიმე ფორვარდი (№4)

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. უილიამ ტომასი | არმია | 32 |
| 2. ქიენ კარტერი | დინამო | 9 |
| 3. რაიან რიჩარდსი | სოხუმი | 1 |

### ცენტრი (№5)

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. იოაკიმ შელბომი | არმია | 14 |
| 2. ივან ტოდოროვიჩი | ოლიმპი | 4 |
| 3. სტევან მილოშევიჩი | სოხუმი | 2 |
| 4-5 მილან ოლუიჩი | დინამო | 1 |
| 4-5. ივო ჰოგერი | ოლიმპი | 1 |

## ქართველები

### გამთამაშებელი (№1)

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. ლაშა გამყრელიძე | ოლიმპი | 22 |
| 2. ლაშა ფარღალავა | სოხუმი | 9 |
| 3. ბუბა კვიმსაძე | არმია | 1 |

### მსროლელი (№2)

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. გიორგი ცინცაძე | ოლიმპი | 32 |
| 2-3. ანატოლი ბოისა | არმია | 5 |
| 2-3. ბექა ჩიკვილაძე | თსუ | 5 |
| 4-5. მიხეილ ჭოჭუა | სამედიცინო | 1 |
| 4-5. გოგა ცეკვავა | ქუთაისი | 1 |

### მსუბუქი ფორვარდი (№3)

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. ლევან ფაცაცია | სოხუმი | 13 |
| 2. დუდა სანაძე | დინამო | 11 |
| 3. მიხეილ ბერიშვილი | ოლიმპი | 9 |

### მძიმე ფორვარდი (№4)

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. გიგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 15 |
| 2. თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 2 |
| 3-7. ზვიად ბაბიაშვილი | არმია | 1 |
| 3-7. გიორგი ჯღერენაია | სოხუმი | 1 |
| 3-7. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 1 |
| 3-7. აკაკი დვალიშვილი | სამედიცინო | 1 |
| 3-7. რეზო დიდია | ქუთაისი | 1 |

### ცენტრი (№5)

| მოთამაშე | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 25 |
| 2. ბექა ბექაური | შსს აკად. | 2 |
| 3-6. დავით უგრეხელიძე | არმია | 1 |
| 3-6. ილია ლონდარიძე | შსს აკად. | 1 |
| 3-6. დავით იმნაძე | შსს აკად. | 1 |
| 3-6. ლუკა ნოზაძე | სტუ | 1 |



გვერდი მოამზადა **ვაჟა სიმონიშვილმა**

*ალექსანდრე კოტორაშვილისა და თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*



ბაიერნი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# ბაიერნი ჯეკოს შეუთანხმდა?

## რეკორდმაისტერი ხავი მარტინესისთვისაც იბრძვის

გერმანული პრესის ინფორმაციით, მიუნხენის „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა „მანჩესტერ სიტის“ თავდამსხმელ **ედინ ჯეკოსთან** შეთანხმებას მიაღწიეს და ძალიან გაიზარდა იმის შანსი, რომ ბოსნიელმა მომავალი სეზონიდან რეკორდმაისტერში ითამაშოს. ეს ინფორმაცია გუშინ ექსკლუზიურად „შპორტ აინსმა“ გაავრცელა და თემა მერე მთელმა გერმანიამ აიტაცა. ინფორმაციის სიზუსტეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ გუშინ ამ თემაზე ოფიციალური კომენტარი მთელი დღის განმავლობაში არ გაკეთებულა.

ჯეკოს „სიტისთან“ კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, ინგლისის ჩემპიონი თანახმაა, 26 წლის ბოსნიელი თავდამსხმელი 20 მილიონ ევროდ გაყიდოს. „სიტის“ თავკაცი **რობერტო მანჩინი** ედინს გასულ სეზონში ძალიან იშვიათად ათამაშებდა, რის გამოც ჯეკო მანჩესტერში ბედნიერი არ არის და კლუბის გამოცვლა უნდა.



ედინ ჯეკო ბაიერნს უახლოვდება

### მარტინესშიც 20 მილიონი?

გერმანული პრესა კვლავ აქტიურად წერს იმის შესახებ, რომ მიუნხენური გრანდისთვის სასურველი ფეხბურთელების სიაში ბილბაოს „ატლეტიკის“ ვარსკვლავის, **ხავი მარტინესის** გვარიც მოწინავე პოზიციაზე წერია და რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ბილბაოელი უკანახაზელი გადაიბირონ. აღსანიშნავია, რომ ხავი მარტინესის ფასიც დაახლოებით 20 მილიონი ევროა. შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ნაკრების თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** მარტინესი ევროპის ჩემპიონატის განაცხადში შეიყვანა.

„ბილდის“ ინფორმაციით, „ბაიერნის“ სპორტული დირექტორი **კრისტიან ნერლინგერი** გასულ პარასკევს მადრიდში იმყოფებოდა, სადაც 23 წლის უკანახაზელის მრჩეველს შეხვდა და მასთან პირველი მოლაპარაკებები გამართა.

აქვე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ „ბაიერნმა“ მომდევნო სეზონისთვის უკვე ოთხი ფეხბურთელი გაიფორმა – მცველი **დანტე** (გლადბახიდან), თავდამსხმელი **კლაუდიო პისარო** (ვერდერიდან), ნახევარმცველი **ჯერდან შაჩირი** (ბაზელიდან) და მეკარე **ტომ შტარკე** (ჰოფენჰაიმიდან).

გოტფრიდ ლენცი

შალკე. მოსალოდნელი ტრანსფერი



ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფაელ ვან დერ ვაარტი

# ვან დერ ვაარტი გელზენკირხენში?

ჟურნალ „შპორტ ბილდის“ ინფორმაციით, „შალკემ“ „ტოტენჰემისა“ და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველ **რაფაელ ვან დერ ვაარტს** დაადგა თვალი და გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელები ტრანსფერზე მუშაობას შეუდგნენ

*„ამ თემაზე არაფრის თქმა არ მინდა. ახლა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე ვარ კონცენტრირებული,“* - უთხრა 29 წლის ვან დერ ვაარტმა „შპორტ ბილდს“ და როგორც ხედავთ, „შალკეს“ დაინტერესება, მართალია, არ დაადასტურა, მაგრამ არც უარყო. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი ირწმუნებიან, რომ ვან დერ ვაართის მრჩეველსა და „შალკეს“ ბოსებს შორის პირველი მოლაპარაკება უკვე გაიმართა. აღსანიშნავია ისიც, რომ გელზენკირხენელებს რაფაელის გადაბირება 2010 წელსაც სურდათ და მაშინ ტრანსფერი ბოლო დღეს ჩაიშალა. მიზეზი კი ის იყო, რომ „ტოტენჰემი“ და „შალკე“ სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ.

ვან დერ ვაარტს „ტოტენჰემთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ „შალკეს“ მის სანაცვლოდ საკმაოდ დიდი თანხის გადახდა მოუწევს...

გოტფრიდ ლენცი


## playadjara.com - კაზინო „აჭარას“ ახალი ონლაინ თამაშების ოფიციალური პორტალი

ქართულ სათამაშო ბიზნესში მსოფლიოში ონლაინ თამაშების მწარმოებელი წამყვანი კომპანია „ევრიმატრიქსი“ შემოვიდა, რომელმაც საქართველოში არსებულ უდიდესი გამოცდილების მქონე კაზინო აჭარასთან ერთად, ონლაინ თამაშების პორტალი – playadjara.com შექმნა. ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად, ხსენებული პორტალის გენერალური დირექტორი, **ლაშა გოგიბერიძე** გაგვესაუბრა

- „ძალიან მიხარია, რომ საქათველოში მრავალი ონლაინ თამაშების პორტალი გაჩნდა, მაგრამ სამწუხაროდ მსოფლიო სტანდარტებს ბევრი ვერ ეპასუხება. მომხმარებელთა რაოდენობა დიდია, მაღალი ხარისხის პროდუქტი კი, დეფიციტური, ამიტომ კაზინო "აჭარამ" გადაწყვიტა საკუთარი ონლაინ პორტალი - playadjara.com შეექმნა. ჩვენი პარტნიორები ონლაინ თამაშებისა და გართობის სფეროში წამყვანი უცხოური კომპანიები არიან, რომელთან ერთადაც ვფიქრობ, ძალიან მაღალი ხარისხის პორტალი დავაარსეთ. playadjara.com-ზე მსოფლიოში არსებული წამყვანი ონლაინ თამაშების გარდა როგორებიცაა, ონლაინ ტოტალიზატორი, პოკერი, ლაივ კაზინო, ვიდეო თამაშები და სლოტები, ასევე სპეციალურად ქართველი მომხმარებლისთვის შექმნილ კლასიკურ თამაშებსაც ბურა, დურაკა, ქართული და უცხოური ნარდი და ა.შ. პლაყადჯარა.ცომ სპორტის მოყვარულებს სთავაზობს რევოლუციურ პროდუქტს სპორტ ბეთინგში, buzz სპორტ-ს, სადაც სასტვენიდან-სასტვენამდე ესა თუ ის მოვლენა (ჯარიმა, კუთხური და ა.შ.) უნდა გამოიცნოთ.

ალსანიშნავია, რომ playadjara.com პირველი ქართული ონლაინ თამაშების კომპანიაა ბაზარზე, რომლის მომხმარებელი დაცულია თანამედროვე ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმით. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ჩვენ პორტალს უსაფრთხოების ისეთივე სისტემები იცავს, როგორებსაც მსოფლიოში პოპულარულ საიტებს – pokerstars.net, bwin.com, europoker.com და ისეთივე კარტის დარიგების ალბათობის გენერაცია აქვს, როგორიც მათ. ამასთან, მოთამაშეებს ყველა არსებული და აპრობირებული ფულის შეტანა-გამოტანის სერვისის გარდა, უახლეს სისტემას ვთავაზობთ. მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტნიორი საქართველოს ბანკი გახდა, playadjara.com-ის მომხმარებელს თავიანთი ანგარიშიდან პლასტიკური ბარათის გამოყენების გარეშე, მთელი საქართველოს მასშტაბით 24 საათის მანძილზე, 450 ბანკომატიდან შეუძლიათ ფულის გატანა. მოთამაშეებს ფულის შეტანა-გამოტანის შესაძლებლობა ტოტალიზატორის სალაროშიც ექნებათ, რომელიც კაზინო „აჭარაში“ მეორე სართულზეა განთავსებული. ონლაინ თამაშებში გამარჯვების შემთხვევაში კი, მათ ხსენებული კაზინოს პოკერ რუმის ლაივ ტურნირებში მონაწილეობის საშუალება მიეცემათ. playadjara.com-ის გახსნასთან დაკავშირებით სხვა უამრავ სიურპრიზთან ერთად მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ ტურნირებს, რომელიც 8 დღის განმავლობაში, დღეში ორჯერ გაიმართება და თითოეულის საპრიზო ფონდი 5000 ლარი იქნება. ამ ტურნირებში გამარჯვება უნარებიან მოთამაშეებს შეეძლებათ ანუ არ არის აუცილებელი, რომ პოკერს განსაკუთრებულად კარგად ფლობდეთ, მთავარია თამაშის ალღო გქონდეთ. ასევე, გვექნება სატელიტ ტურნირები, რომლის მეშვეობითაც ჩვენი მომხმარებლები ცოცხალ ლაივ ტურნირებში მონაწილეობას შეძლებენ. 90-იანებში, როცა ამერიკაში პოკერი პოპულარული გახდა, სწორედ ასეთი საწყისი ჰქონდა. ერთ-ერთმა მოთამაშემ მეტსახელად – money maker- მა ანუ „ფულის მკეთებელმა“ პოკერის ლაივ ტურნირი მოიგო და 18 წლის ასაკში მილიონერი გახდა. საინტერესოა, რომ მანამდე მას ცოცხალი პოკერი არ უთამაშია. მოხარული ვარ, რომ ჩვენს მომხმარებელს, ასეთი ტიპის მრავალ შეჯიბრს შევთავაზებთ. აგრეთვე, რადგან playadjara.com კაზინო აჭარის ონლაინ თამაშების ოფიციალური პორტალია, მხოლოდ ამ პორტალის მომხმარებლები, სახლიდან გაუსვლელად კაზინო აჭარას ლაივ რულეტკას თამაშს შეძლებენ.

playadjara.com არ არის ორიენტირებული მხოლოდ მოხვეჭაზე, რა თქმა უნდა ეს არის სფერო, რომელმაც შემოსავალი უნდა მოიტანოს. თუმცა ჩვენ პასუხისმგებლიანი თამაშის პრინციპი გვაქვს, ამის გამოძახილია, ელიტ ელექტრონიქსთან თანამშრომლობაც – პოკერის მოყვარულებს საშუალება ეძლევათ, 1 ლარად ითამაშონ და გამარჯვების შემთხვევაში საპრიზო ფონდთან ერთად, ელიტ ელექტრონიქსის ძვირადღირებული ტექნიკაც (ფოტოკამერა, ტელევიზორი, DVD-ი და სხვა) მიიღონ. აქვე აღვნიშნავ, რომ მომსახურეობას მუდმივად გავაუმჯობესებთ, რადგან ტექნოლოგია დროთა განმავლობაში დახვეწას მოითხოვს.

ჩვენ ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვის სპონსორები ვართ და კომპანიის წარმომადგენელი, მიშა მშვილდაძე ჩემპიონატის მიმდინარეობის შესახებ, ძალიან საინტერესო მიმოხილვებს შემოგთავაზებთ. ყველას მოვუწოდებ პირველ არხზე ჩვენს ჩართვებს დაელოდონ და პირდაპირი ეთერის მეშვეობით უახლესი ინფორმაცია მიიღონ. playadjara.com-ი თავის მომხმარებელს, კიდევ ბევრ სიურპრიზს უმზადებს, თუმცა გასაგები მიზეზების გამო მათ საიდუმლოდ დავტოვებ“.

ხსენებული პორტალი 1-ელ ივნისს გაიხსნება, თუმცა დაინტერესებულ პირებს საიტზე შესვლა და სიახლეების გაცნობა უკვე შეგიძლიათ.




R

იტალია




იმედია, ჯანლუკა პესოტოს გამხნევება აღარ დასჭირდება

# ყველაფერი პადრეს დააბრალდა

## პესოტოზე ძებნა გამოაცხადეს, სხვანაირი ძებნა

იტალიის ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ექსტრემალურ ვითარებაში განაგრძობს. ასეთ დროს, გუნდები მშვიდ ადგილებში ბანაკდებიან, რათა მოახლოებულ ტურნირზე სრული კონცენტრაცია მოახდინონ, მაგრამ აპენინელებს ეს ნაკლებად ეხებათ. თუ სხვა ნაკრებები ძირითადად ჟურნალისტებს და გულშემატკივრებს გაურბიან, იტალიელებს სამართალდამცავი ორგანოების ეშინიათ, რომლებმაც ამ დღეებში ნამდვილი ნადირობა გამოაცხადეს ფეხბურთელებზე. კარაბინიერებმა **დომენიკო კრიშიტო** საწვრთნელი პროცესის დროს დააკავეს და ერთი ხანობა, იგივე ემუქრებოდა **ლეონარდო ბონუჩისაც**. თუმცა, დაზღვეული დღესაც არავინაა, რადგან გამოძიება მიმდინარეობს და რა დროს ვისი გვარი ამოტივტივდება, ერთი ღმერთმა უწყის.

საქმე იქამდე მივიდა, რომ იტალიის პრემიერ-მინისტრმა **მარიო მონტიმ** ქვეყანაში ფეხბურთის 2-3 წლით აკრძალვა მოისურვა და იქვე დასძინა, იმედია ჩემი აზრი ფედერკალჩოს მესვეურებსაც მოეწონებათო. იტალიაში მაღალი თანამდებობის პირებს როდის ერიდებოდნენ და მონტის სულ იდიოტი ეძახეს... მაგალითად, "პალერმოს" პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** სულაც თავზე ხელი აილო და ქვეყნის პირველი პირი უშვერი სიტყვებით გალანძღა. შედარებით კორექტული იყო ფედერკალჩოს პრეზიდენტი და მისი კომენტარი გუშინდელ ნომერშიც გაგაცანით. მოკლედ, მონტის სრულიად საფეხბურთო იტალია აგინებს და დღეს რომ არჩევნები იყოს, მოქმედ პრემიერს ნამდვილად არანაირი შანსი არ ექნებოდა.

### პადრეც მონტის დღეშია

საფეხბურთო კორუფციას რომ მიწისძვრაც დაემატა და ამან იტალია-ლუქსემბურგის მატჩი იმსხვერპლა, გუშინდელ ნომერში გამცნეთ... თუმცა, თამაშს ვინ ჩივის და იყო შანსი, მართლა ტრაგედია დატრიალებულიყო, რადგან "სკუადრა აძურას" მთელი შემადგენლობა მიწისძვრის დროს, მოვლენების ეპიცენტრთან ძალიან ახლოს იყო – ბუნებრივია, იქიდან სასწრაფო წესით დააბრუნეს ფლორენციაში, "კოვერჩიანოს" საწვრთნელ ბაზაზე. მოკლედ, იტალიის ნაკრები გადარჩენილია და ეს კიდევ ერთი სტრესია, რომელიც ფეხბურთელებმა კორუფციული სკანდალის აგორების შემდეგ გადაიტანეს. მოკლედ, ყველაფერი ერთმანეთს მიეწყო და თითქოს იტალიის ნაკრები და მთლიანად, კალჩო ვილაცამ დაწყევლა... იტალიაში ბევრი მიიჩნევს, რომ ეს ვილაცა არც მეტი, არც ნაკლები **პადრე მასიმილიანოა**.

დიახ, პადრე მასიმილიანო, რომელიც იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ცნობილი პიროვნებაა. საქმე იმაშია, რომ დაახლოებით ერთი კვირის წინ, პადრე "კოვერჩიანოს" საწვრთნელ ბაზას ესტუმრა და იტალიის ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატისკენ, უკაცრავად, ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა დაულოცა. ძაღლის თავი კი იმაშია დამარხული, რომ სწორედ ამის შემდეგ დაატყდა თავს კალჩოს ყველანაირი უბედურება, დაწყებული მოთამაშეების დაპატიმრებიდან, დამთავრებული ძლიერი მიწისძვრით და ამხანაგური მატჩის გადადებით. შეიძლება ვინმეს ეს ხუმრობა ეგონოს, მაგრამ იტალიაში ბევრი სრული სერიოზულობით აცხადებს, რომ პადრე მასიმილიანოს ეროვნული ნაკრები არ უნდა დაელოცა და ყველაფერი სწორედ მისი ბრალია. მაგალითად, ტურინის "იუვენტუსის" ულტრასებმა საჯარო განცხადება გააკეთეს და მოითხოვეს, რომ პადრე მასიმილიანო "კოვერჩიანოს" საწვრთნელ ბაზას ახლოს აღარ გაეკაროს. "იუვეს" ქომაგთა აქტიურობა შემთხვევითი არ გახლავთ და თუ რატომ, ამას აქვე აგიხსნით...

საქმე იმაშია, რომ პადრე მასიმილიანო ფლორენციელია, "ფიორენტინას" თავგადაკლული გულშემატკივარია და შესაბამისად, "იუვენტუსის" მიმართ დიდი სიმპათიით არ გახლავთ განწყობილი. ამ ორი გუნდის ისტორიული მტრობის შესახებ ყველას ყველაფერი მოგვეხსენება და გამომდინარე აქედან, "ფიორეს" ქომაგი პადრე არც ტურინელ ქომაგებს ეხატებათ გულზე. თანაც, თურმე პადრე მასიმილიანო "ფიორენტინას' ყოველ ზაფხულს ლოცავს, მაგრამ ამით, ფლორენციელთა მრავალწლიან კრიზისს ვერაფერი დააკლო. ამიტომ, პადრეს სახელი აქვს გატეხილი და ეს სკანდალებიც რომ არ მომხდარიყო, მისი "კოვერჩიანოზე" გამოჩენა ისედაც არ გახარებია ბევრს. არადა, პადრე მასიმილიანო **ჩეზარე პრანდელის** ახლო მეგობარია და თუ საიდან იღებს ეს მეგობრობა სათავეს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

### სად არის პესოტო?

იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე პროცესები გაქრილი ვაშლივით ჰგავს 2006 წლის ამბებს – გარიგებული მატჩები, დაპატიმრებები, გაჩხრეკვები, საეჭვო სატელეფონო საუბრები და ა.შ. მოკლედ, აპენინებზე ნამდვილი "დეჟავიუ" აქვთ და სჯერათ, რომ ეს ყველაფერი ევროპის ჩემპიონატის მოგებით დაგვირგვინდება; გახსოვთ ალბათ, 2006 წელს "სკუადრა აძურამ" მუნდიალი მოიგო და ყველას დაანახა, რომ იტალიაში არა მარტო თამაშების ჩაწყობა, თვითონ თამაშიც ეხერხებათ და თანაც, ძალიან მაღალ დონეზე. თუმცა, სანამ აპენინელები ევროპის ჩემპიონატს მოიგებენ, იქამდე **ჯანლუკა პესოტოს** უნდა მოუფრთხილდნენ, რომელმაც გერმანიის მუნდიალის წინ, სიცოცხლე ლამის თვითმკვლელობით დაასრულა... გახსოვთ ალბათ, "აძურასა" და "იუვენტუსის' ყოფილი ნახევარმცველი "ბიანკონერის" ოფისის სახურავიდან გადმოხტა და სიკვდილს სასწაულებრივ გადაურჩა. მიმდინარე პროცესები იმდენად ჰგავს ექვსი წლის წინ განვითარებულ მოვლენებს, რომ აპენინელმა ჟურნალისტებმა პესოტოზე ძებნა გამოაცხადეს, თავს რაიმე უბედურება არ მოიწიოსო... ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ჯანლუკას ორი დღეა ეძებენ და მის კვალს ვერაფრით მიაგნეს. ძებნა გრძელდება და იმედი დავიტოვოთ, რომ პესოტინო სრულიად ჯანმრთელია და უბრალოდ, ტელეფონი აქვს გამორთული.

**ლაშა ნიკლაური**



პადრე მასიმილიანო "კოვერჩიანოზე"

ევრო 2012 რუსეთის ნაკრები

# უსახური ფრე ლიტვასთან

**ლიტვა-რუსეთი 0:0**

**ლიტვა (4-4-2):** შეტკუსი – ანდრიუშკევიჩიუსი (85. ვაიტკუნასი), ბოროვსკი, კლიმავიჩიუსი, მიკუცკისი – ვიციუსი (49. რადავიჩიუსი), მიკოლიუნასი (71. ილიშასი), ჩესნაუსკისი (57. პაპშისი), შერნასი (81. მატულევიჩიუსი) – ველიჩკა, პილიბაიტისი (63. პანკა).

**რუსეთი (4-4-1-1):** აკინფეევი – ანიუკოვი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, კომბაროვი (46. ჟირკოვი) – დენისოვი, ზირიანოვი (46. ძაგოევი), იზმაილოვი (46. კოკორინი), შიროკოვი (72. სემშოვი) – არშავინი – კერჟაკოვი (46. პავლიუჩენკო).

რუსეთის ნაკრებმა ზედიზედ მეორედ ითამაშა ფრედ და თუ ურუგვაისთან ეს საპატიოდ ჩაითვალა, ლიტვასთან ამას ნამდვილად ვერ ტყვით... შედეგი იქით იყოს და, **დიკ ადვოკაატის** შეგირდებმა ძალიან უსახური მატჩი ჩაატარეს და ნამდვილად არ იმსახურებდნენ გამარჯვებას. მართალია, ტერიტორიულ უპირატესობას სწორედ რუსეთის ნაკრები ფლობდა, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი ლიტვის კართან მხოლოდ ერთი შეიქმნა, როდესაც **ალექსანდრ კერჟაკოვმა** ბურთი მეტოქის კარის ძელს გაარტყა. ეს იყო და ეს, რუსებს შეტევაში მეტი არაფერი გამოსვლიათ. ამად იყო, რომ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ადვოკაატს კითხვები დააყარეს და მასაც ვრცელი კომენტარების გაკეთებამ მოუწია – ბოლოს, სწორედ ჰოლანდიელ სპეციალისტს გადავცეთ სიტყვა:

*"ამ ეტაპზე, ჩემთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა ფეხბურთელთა ფიზიკურ კონდიციას აქვს და ამ კუთხით, ძალიან კმაყოფილი ვარ. მეორე საქმეა, რომ შეტევაში კრეატიულობა არ გვყოფნიდა და შესაბამისად, მომენტების შექმნა გვიჭირდა. ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში კონცენტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები შეგვექმნა, რაც სამომავლოდ აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ. ლიტვის ნაკრებისგან ასეთ წინააღმდეგობას ველოდი, რადგან კარგად ორგანიზებული გუნდია და ეს არაერთხელ დაუმტკიცებია. მთლიანობაში, სპარინგმა ძალიან კარგი სამსახური გაგვიწია, ჩემთვის კი დღეს სწორედ ესაა მთავარი და არა შედეგი".*

**ლაშა ნიკლაური**



ანდრეი არშავინმა ლიტველებს ვერაფერი დააკლო

ლივერპული

# ლივერპულმა გადაწყვიტა

გუშინ „ლივერპულში" ახალი მწვრთნელი მივიდა - ჩრდილოირლანდიელი სპეციალისტი **ბრენდან როჯერსი. კენი დალგლიშის** შემცვლელმა მერსისაიდელებთან სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. როჯერსი მოელაპარაკა „სუონსი სიტის" კომპენსაციაზე და უელსელებმა ის გუნდიდან გაუშვეს. როჯერსის კანდიდატურა მას მერე გახდა აქტუალური, რაც „უიგანის" ესპანელმა მწვრთნელმა **რობერტო მარტინესმა** „ლივერპულს" უარი შეუთვალა. ამბობენ, „წითლების" ხელმძღვანელებმა „სუონსის" როჯერსის გაშვებისთვის 5 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაუხადესო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბრენდან როჯერსი

ამბები

### კვენკა საოპერაციოა

„ბარსელონას" ახალგაზრდა შემტევი **ისააკ კვენკა** მენისკის ოპერაციას იკეთებს - ის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს დააკლდება. 21 წლის კვენკამ უკვე გამოტოვა თასის ფინალი. კვენკას დოქტორი **რამონ კუგატი** ოპერაციას დღეს გაუკეთებს. ესპანეთის ახალგაზრდული და ოლიმპიური ნაკრებების წევრი ახალ სეზონამდე ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ კვენკას პირველ გუნდში დებიუტი ოქტომბერში ჰქონდა.

### ბარსა გერმანიაში ჩავა

24 ივლისს „ბარსელონა" ამხანაგურ მატჩს გამართავს გერმანულ „ჰამბურგთან". ეს თამაში „ჰამბურგის" 125 წლისთავს ეძღვნება. „ჰამბურგი" ერთადერთი კლუბია გერმანიაში, რომელსაც ელიტური დივიზიონი არასოდეს დაუტოვებია.

### ალვარო ვასკესი აღმოსავლეთში?

„ესპანიოლისა" და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი **ალვარო ვასკესი** შეიძლება რუსეთში ან უკრაინაში აღმოჩნდეს. მისი შეძენა მოსკოვის „სპარტაკს" და კიევის „დინამოს" სურთ. ამბობენ, რომ მარცხენა გარემარბის სატრანსფერო ფასი 5-6 მილიონი ევროა. სხვათა შორის, ალვარო ვასკესის შეძენა ესპანეთშიც სურთ - „ატლეტიკოს", „სევილიას" და „ვალენსიას".

### ასულონესის შენაძენები

„ხეტაფე" ორი ფეხბურთელით გაძლიერდა - მადრიდელებმა თავისუფალი აგენტის სტატუსით „სარაგოსადან" **ანხელ ლაფიტა**, ხოლო „ბაზელიდან" არგენტინელი **დავიდ აბრაამი** აიყვანეს. 27 წლის ლაფიტამ ბოლო სამი სეზონი არაგონულ კლუბში გაატარა. აბრაამი „ინდეპენდიენტეს" გაზრდილია. ფეხბურთელებმა 4-4-წლიანი კონტრაქტები გააფორმეს მადრიდულ კლუბთან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორიენტირი - ლონდონი-2012
ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.
ზურაბ დათუნაშვილი. ინტერვიუ

# ფეხბურთიდან მოსული მოჭიდავე

## რაზე ჩხუბობდნენ ძმები დათუნაშვილები

**ბერძენ-რომაელთა ახალგაზრდულ ნაკრებს შარშან ვარსკვლავური თაობა ჰყავდა, რომელმაც დიდ წარმატებებსაც მიაღწია, თუმცა იმ გუნდიდან ეროვნულში დამკვიდრება და აქაური კონკურენციის დაძლევა მხოლოდ ზურაბ დათუნაშვილმა (74) შეძლო. მართალია, მწვრთნელებს ჯერ ოლიმპიადაზე წასაყვანი შემადგენლობა არ დაუსახელებიათ, თუმცა შარშანდელი ახალგაზრდებიდან ლონდონში წასვლის ყველაზე რეალური შანსი მას აქვს. მეტიც - დათუნაშვილის გარდა ამის შესაძლებლობა სხვებს აღარც დარჩათ, ღმერთმა ყველა დაიფაროს და ლიდერებიდან ვინმე ტრავმას თუ არ მიიღებს.**

არადა, იმ ნაკრებში სხვებს უფრო მეტი წარმატება ჰქონდათ - ორი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, მაგრამ შარშანდელი სეზონი ურიგოდ არც დათუნაშვილს ჩაუტარებია - თანატოლებში ევროპაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მსოფლიოზე კი ფინალში გავიდა და ვერცხლს დასჯერდა.

ახალგაზრდა ფალავანს ეროვნულ გუნდში დიდი კონკურენცია დახვდა, თუმცა მიზანდასახული გარჯით, დიდი შრომით და მოთმინებით ამასაც ძლევს. მას ეროვნულ ნაკრებში პირველხარისხოვან ტურნირებზე ჯერ არ უჭიდავია და დიდი შანსია, დებიუტი პირდაპირ ოლიმპიადაზე მოიწყოს. ევროპის პირველობაზე მისი წაყვანა კი განიხილებოდა, მაგრამ მაშინ **მანუჩარ ცხადაიას** უნდა დაეკლო და თავის წონაში დამდგარიყო, რაც იმ მომენტისთვის ფიზიკურად არ ხერხდებოდა. ამიტომ ჯენლტმენური შეთანხმებით იმ მომენტში დათუნაშვილის შანსი


ზურაბ დათუნაშვილი

გაიწირა, თუმცა მალევე მოიპოვა ჯერჯერობით პირველი სანაკრებო წარმატება - მოიგო სოფიაში გამართული პირველივე სალიცენზიო ტურნირი და გუნდს ოლიმპიადის საგზური მოუტანა. იქ მან კარგი ჭიდაობით და საოცარი ილეთით დაგვამახსოვრა თავი, როცა უნგრელ ევროპის ექსჩემპიონ **პეტერ ბასცის** თავზე გადაახტა, ვარდნაში ჩოქბჯენში ჩაიყვანა და დაატრიალა, რითაც გადაწყვიტა კიდეც შეკრების ბედი... სამშობლოში დაბრუნებული ჩვენი დელეგაციის წევრები ხუმრობდნენ, ევროპის ჩემპიონი კომპასს ეძებდა. ვერ გაიგო, საიდან დაატყდა თავს მეტოქეო.

ერთი სიტყვით, **ზურაბ დათუნაშვილთან** სასაუბრო ბევრია, როგორც ახალ, პერსპექტიულ, თუმცა ჯერ კიდევ უცნობ ფალავანთან, ოღონდ ამჯერად ოლიმპიადას გვერდი ავუარეთ. კულუარული ინფორმაციით, ლონდონში მისი წასვლა გადაწყვეტილია, თუმცა ნუ დავასწრებთ მოვლენებს და დაველოდოთ ნაკრების ოფიციალურად გამოცხადებას. ამბობენ იმასაც, რომ როცა დათუნაშვილმა სოფიაში გაიმარჯვა, იმ დროს შეკრებაზე მყოფ ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ მანუჩარ კვირკველიას ბარგი ჩაულაგებია და წამოსულა, ლიცენზია თუ მოიპოვა, ღმერთმა გაუმარჯოს, ახალგაზრდა ბიჭია და მე ხელს არ შევუშლიო...

**- თავდაპირველად თქვენ შესახებ მოგვიყევით, როგორ მოხვდით ჭიდაობაში, ვისთან დაიწყეთ ვარჯიში...**

- ვარჯიში 6 წლისამ დავიწყე ვილიამ ხარაზოვთან და დღემდე მასთან ვარ. ამ კაცს ძალიან დიდი ამაგი აქვს ჩემზე, მშობელზე არანაკლები. თავიდან ფეხბურთზე შევედი, მაგრამ ორ კვირაში ჩემი სურვილით ჭიდაობაზე გადმოვედი, რადგან ეს სახეობა უფრო მიზიდავდა - გასართობად ისედაც ვჭიდაობდი თანატოლებთან და უცხო არ იყო ჩემთვის. მომწონდა ილეთების გაკეთება და ამიტომ ვთქვი უარი ფეხბურთზე. მამა მორაგბეა, თუმცა მას არ დაუძალებია არაფერი, არჩევანში არ შევუზღუდივარ. პირიქით - მიესალმა ჩემს გადაწყვეტილებას და ყველანაირად მიწყობდა ხელს ვარჯიშში, როგორც შეეძლო დახმარება.

**- მოგვიანებით, როცა გამუდმებით რეჟიმში ყოფნას გთხოვდნენ, როცა ბევრი შრომა და თავისუფლების დათმობა იყო საჭირო, თავის დანებებაზე, გასაძრომის პოვნაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

- რეჟიმში ყოფნა ჩემთვის უცხო ნამდვილად არაა. ცხადია, არ არის იოლი ასე ცხოვრება, მაგრამ მესმის, რომ აუცილებელია. ამიტომ თავის დანებებაზე არც მიფიქრია, რეჟიმსაც ვიცავ, იშვიათად თუ მოხდება საწინააღმდეგო, თორემ ძირითადად მივყვები მწვრთნელებს, მათ რჩევებს, გამუდმებით ვცდილობ ახალის ათვისება-შესწავლას.

**- ალბათ, ამის შედეგის ის ახალი აკრობატული ილეთი, რომელიც წლეულს გამოჩნდა თქვენს არსენალში... სავარაუდოდ, შთაგონების წყარო ამერიკელი ელის კოლემანსი იყო...**

- დიახ, ეს ილეთი პირველად შარშან ვნახე მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე მისი შესრულებით, როცა ირანელს ჩაუტარა. მერე დარბაზში ვარჯიშებზე ჩემით დავიწყე ამ ილეთზე მუშაობა. ბევრი მეუბნებოდა, არ გამოგივაო, მაგრამ მაინც ვაგრძელებდი მის დამუშავებას და საბოლოოდ მიზანსაც მივაღწიე. ტურნირებზე რამდენჯერმე ვცადე, თუმცა არ გამომივიდა, საქართველოს ჩემპიონატში კი გამომივიდა... ჯერ კიდევ აკლია დამუშავება, ამერიკელი უფრო დახვეწილად, უფრო სუფთად ასრულებს, მაგრამ მუშაობას ვაგრძელებ.

**- მიზანსწრაფულიც ყოფილხართ, რომ ამდენ შრომას არ მოერიდეთ. სხვა თუ არაფერი, ადგილიდან იმხელაზე ნახტომის დამუშავებას სათანადო სახეობაში ვერ ახერხებს ბევრი - 2-3 მოკლე ნაბიჯით, გამოქცევის გარეშე უნგრელს თავზე გადაახტით.**

- დავინახე, რომ იმ მომენტში ცოტა მოხრილი იდგა, მაგ ილეთის გაკეთება კი ამ დროსაა მოსახერხებელი. ამიტომ გავექანე და ავხტი... საბედნიეროდ, გამომივიდა კიდეც და ანგარიშშიც დავწინაურდი. თუმცა, მიმაჩნია, რომ თუ იგებ ანუ რისკი არაა საჭირო, მაშინ არ ღირს მაგ ილეთზე წასვლა, რადგან მარცხის ალბათობა დიდია... აი, თუ აგებ, მაშინ ღირს გარისკვა.

**- თქვით, რომ ილეთი ჯერ კიდევ დასახვეწიაო და ჩოქბჯენში ჩაყვანის მერე მისი დატრიალება ცოტა გაგიჭირდათ, კომბინაციაში ვერ შეასრულეთ ტრიალი. ამ კომპონენტში მართლაც გჭირდებათ მომატება, თუმცა თქვენი აზრით, სხვა ხარვეზიც ხომ არ გაქვთ ჭიდაობაში, სადაც მეტი ვარჯიში გმართებთ?**

- კი, ჩოქბჯენიდან დატრიალება მართლაც დასახვეწია, ხოლო სხვა მხრივ ალბათ, ისევ ფიზიკური კონდიციების გაზრდა მმართებს.

**- თქვენი ძმა - გიორგიც მოჭიდავეა. რამდენადაც ვიცი, მას მოუხსნეს დისკვალიფიკაცია.**

- კი, ნამდვილად მოუხსნეს. ის ჩემზე ნიჭიერია და მჯერა, უფრო მეტსაც მიაღწევს. საერთოდ, ოთხი დედმამიშვილი ვართ - სამი ძმა და ერთი და. მესამე ძმაც სპორტსმენია, ოღონდ ფეხბურთელი - „დინამოშიც“ თამაშობდა, თუმცა მერე დაანება თავი.

**- გამოდის, მთელი ოჯახი სპორტში ხართ ჩაბმული... ძმები ერთ წონაში გამოდიხართ, რომელიმე წონის შეცვლას ხომ არ ფიქრობთ?**

- არ ვიცი, ჯერჯერობით ამაზე არ ვფიქრობთ არც ერთი, ორივე 74-ში ვრჩებით. თავიდანვე ერთად მოვდივართ და ადრე ამ კონკურენციის გამო ხშირად გვიჩხუბია კიდეც - სახლშიც, დარბაზშიც... ახლა ასე აღარაა, დანარჩენი კი ვნახოთ - დრო გვიჩვენებს ყველაფერს...

**- კონკურენცია ნაკრებშიც ძალიან დიდი დაგხვდათ - იქით ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია, აქეთ - მსფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი მანუჩარ ცხადაია ლამობდა ამ წონაში დამკვიდრებას, იყვნენ სხვა ძლიერი პრეტენდენტებიც, თქვენ კი წონის შეცვლა არც გიფიქრიათ...**

- კონკურენცია კარგია - ამ დროს უფრო იზრდები, ხოლო თუ კონკურენციის გეშინია, მაშინ ბევრს ვერაფერს მიაღწევ. ვფიქრობ, შიშით არ უნდა გეშინოდეს. პირიქით, რაც უფრო ძლიერია მეტოქე, მასთან მოგება მეტი სტიმულია, მეტი შემართებით ჭიდაობ, ვარჯიშებზეც გაცილებით მოტივირებული ხარ...

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო


პაატა მერებაშვილი (მარჯვნივ)

# მერებაშვილი წონსვლის ძიებაშია

**გორის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ძიუდოისტმა პაატა მერებაშვილმა მიმდინარე საქართველოს უნივერსიადის პროგრამით ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში ცოტა ხნის წინ იასპარეზა და ორივეგან ოქროს მედლები ირგუნა.**

პაატამ ძიუდოს ქომაგს პირველად სამი წლის წინ (2009 წ), ზედიზედ ორჯერ ევროპის ჩემპიონობით წარუდგინა თავი, მაშინ კონტინენტის საუკეთესოს ტიტული ჯერ ახალგაზრდებში მოიპოვა, შემდეგ 23-წლამდელთა შორის. იქიდან მოყოლებული მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ მიზეზთა გამო მაშინდელ შედეგებს სათანადო გაგრძელება ვერ მოეძებნა. საქართველოს უნივერსიადაზე გორელი ფალავანი შარშანაც გამოვიდა, ოღონდ ძიუდოში მხოლოდ და მაშინაც არავის დაუთმო პირველობა. *„წლეულს შარშანდელთან შედარებით უნივერსიადაზე ძიუდოს ტურნირი უფრო წარმომადგენლობითიც იყო და დაძაბულიც. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ დიდი გაჭირვებით მივაღწიე გამარჯვებას. ფინალში ვანო თოთლაძეს მოვუგე. ვანიკომ მომდევნო შეჯიბრებაზე ქართულში უკვე 70 კგ-ში იჭიდავა და ყველას აჯობა, მე კი ძველებურად 65 კილოში დავრჩი და აქაც გავიმარჯვე“* - იხსენებს უნივერსიადის პერიპეტიებს მერებაშვილი.

პაატას უნივერსიადაზე ძიუდოსა და ქართულის შემდეგ შეეძლო სამბოს ტურნირზეც გამოსულიყო, მაგრამ ძიუდოს ფედერაციის პირველ სარეიტინგო შეჯიბრებაზე ამჯობინა მონაწილეობა. *„სამწუხაროდ, ამ ასპარეზზე იგი კვარცხლბეკს მიღმა დარჩა, რის მიზეზადაც მის ზედა წონაში ანაცვლებას მივიჩნევ. მოგეხსენებათ, ბოლო ხანს გადავწყვიტეთ პაატა 60 კგ-დან 66-ში გადაგვეყვანოთ (უნივერსიადაზე ქართულ ჭიდაობაშიც ამიტომ გამოვიდა 65 კგ-ში), რადგან დაკლება უჭირს და იქ უფრო უკეთ იგრძნობს თავს, თუმცა ადაპტაციის პრობლემამ თავისი გაიტანა და ჩემმა შეგირდმა ძიუდოში ჯერ სახარბიელო შედეგი ვერ აჩვენა. მართალია, ეროვნულ ნაკრებში ამირან ტოტიკაშვილის მწვრთნელობის დროს მცირე ხანს ამ წონაში უკვე სცადა ბედი, თუმცა ახლანდელისგან განსხვავებით, მაშინ ნამდვილად ადრე იყო გადასვლა. იმედი მაქვს, მალე უკეთ გამოიჩენს თავს ახალ წონაში“* - გვითხრა მერებაშვილის პირადმა მწვრთნელმა **ქართლოს პავლიაშვილმა.** არადა, მერებაშვილი 500 ქულით ძიუდოს ფედერაციის მიერ გამოქვეყნებული ახალი ეროვნული რეიტინგის პირველ საფეხურზეა ძველ წონაში, ანუ 60 კგ-ში. საერთაშორისო ტურნირებზე პაატამ წლეულს სამჯერ იჭიდავა თბილისის, ბაქოს და ობერვარტის (ავსტრია) გრან პრიზებზე და სამჯერვე მეხუთე ადგილი დაიკავა. *„ორმაგად ძნელი იყო, როცა სულ ასე მცირედი მაკლდებოდა კვარცხლბეკამდე. მარცხის მიზეზს არაფერს და არავის ვაბრალებ საკუთარი თავის გარდა. სამომავლოდ მეტი პასუხისმგებლობით მინდა მოვეკიდო, როგორც სავარჯიშო პროცესს, ისე უშუალოდ შეჯიბრებებს. ახალგაზრდებს შორის მოპოვებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტიტულები აშკარად აღარ მაკმაყოფილებს. დიდებშიც მინდა სერიოზული შედეგები ვაჩვენო“* - თქვა ჩვენთან საუბრის ბოლოს პაატა მერებაშვილმა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

მძლეოსნობა

# ოცდამეათე ლიცენზია!

გუშინ სასიხარულო ცნობა მივიღეთ ისრაელიდან — თელ-ავივში მძლეოსანთა საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირზე სიგრძეზე მხტომელმა **ბოლესლავ სხირტლაძემ** ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა.

სხირტლაძე სიგრძეზე ხტომაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია. წლეულს ზამთარში იგი სხვა ქართველ სპორტსმენებთან ერთად მოგილიოვში (ბელარუსი) ემზადებოდა. თებერვლის მიწურულს დიდუბის მანეჟში საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი 7,72 მეტრით მოიგო. ერთი კვირის წინათ ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ღია ჩემპიონატში 7,75 მეტრი დაძლია და მეორე ადგილი დაიკავა. მას ერევნელმა **ვარდან პახლევანიანმა** აჯობა. სომეხმა ათლეტმა 8,12 მეტრით ლონდონის ოლიმპიადის საგზური დაიმსახურა. მაშინ ჩვენთან საუბრისას ბოლესლავმა თქვა, რომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურისთვის მომდევნო შეჯიბრებებში იბრძოლებდა. საამისოდ 2 ივნისს საბერძნეთის საერთაშორისო ტურნირი ჰქონდა შეგულებული. ისრაელში კი თავის მწვრთნელს - ორი ოლიმპიადის მონაწილე **დავით ილარიანს** გაჰყვა საქომაგოდ და ყოველი შემთხვევისთვის იქაც მოსინჯა ძალები. პირველსავე ცდაზე საოლიმპიადო ნორმატივის ნიშნულს (8,10) 2 სანტიმეტრით გადაამეტა. **მაიკო გოგოლაძის** (მან ბულგარეთში შეასრულა სიგრძეზე ხტომაში ლონდონის ოლიმპიადის ნორმატივი) შემდეგ სხირტლაძე მეორე სპორტსმენია, რომელმაც მძლეოსნობაში მოიპოვა ბრიტანეთის დედაქალაქში გამგზავრების უფლება. თუმცა, შესაძლოა, მათი რიცხვი კიდევ გაიზარდოს, რადგან საამისო შანსი აქვთ დავით ილარიანს (გუშინ მან 110 მეტრი თარჯებით 13,89 წამში დაფარა და ნორმატივის შესასრულებლად 0,3 წამი არ ეყო), ბადროს მტყორცნელ **სალომე რიგიშვილს**, სამხტომელ **ლაშა ლულელაურს**, მორბენლებს - **ბაჩანა ხორავას** და **ენდრიკ ზილბერშტეინს.** საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსი ახვლედიანმა** გვითხრა, რომ ზილბერშტეინი, ხორავა და ილარიანი 5 ივნისს ლატვიაში იბრძოლებენ ოლიმპიადის საგზურებისთვის, მანამდე სხირტლაძეს კიდევ ერთი სტარტი ექნება 2 ივნისს საბერძნეთში, რიგიშვილი და ლულელაური კი, შესაბამისად, უკრაინასა და ყაზახეთში იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**


ბოლესლავ სხირტლაძე




რუბრიკას უძღვება
ალექსანდრე ჯინორიძე

## ვის ესიზმრება ცხენები ღამით

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა"... აფასებს საცხენოსნო შეჯიბრებას შოთა რუსთველი. ჩვენმა თანამედროვე კინემატოგრაფისტებმა კი საინტერესოდ გვიჩვენეს თავიანთ ფილმში, თუ როგორ აღორძინდება საქართველოში სპორტის ეს უძველესი სახეობა. ცხენების, მოჯირითეების და საერთოდ, დოლისა თუ მარულას ჩვენებას განსაკუთრებული აღბეჭდვა ესაჭიროება, რაც წარმატებით განახორციელეს სცენარის ავტორმა და რეჟისორმა ლ. თაქთაქიშვილმა და ოპერატორმა ნ. ნამგალაძემ.

საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდია, ფერადი, ორი ნაწილი. 1983 წელი.



● ჭადრაკი

## საათები დღეს ჩაირთვება




აჭარის დედაქალაქში გუშინ საზეიმოდ გაიხსნა და დღეს პირველი პარტიები გათამაშდება რაპიდში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომლის ორგანიზატორები არიან პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაცია (პრეზიდენტი **ემილ სუტოვსკი**) და საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია (პრეზიდენტი **გია გიორგაძე**).

შეჯიბრებაში 18 ქვეყნის 51 წარმომადგენელი ჩაებმება. მათ შორის - მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულები, რეიტინგით ტოპათეულის წევრები: ანა მუზიჩუკი (სლოვენია), ჰამფი კონერუ (ინდოეთი), ჟაო სიუ (ჩინეთი), ნანა ძაგნიძე (საქართველო), კატერინა ლაგნო (უკრაინა), ტატიანა კოსინცევა, ვალენტინა გუნინა (ორივე - რუსეთი).

ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას 17 ქართველი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი დაიცავს. ესენი არიან: ხუთ-ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონები - **ნონა გაფრინდაშვილი** და **მაია ჩიბურდანიძე**, ასევე, **ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, ნინო ხურციძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, სალომე მელია, მაია ლომინეიშვილი, მერი არაბიძე, მაკა ფურცელაძე, სოფიო გვეტაძე, ინგა ჭარხალაშვილი, ნინო გურიელი, მირანდა მიქაძე** და **ნათი ჯანჯღავა**.

დღეს, ხვალ და ზეგ მოჭადრაკეები სამ-სამ პარტიას ითამაშებენ, 3 ივნისს კი ბოლო ორი - მეათე-მეთერთმეტე ტურები გაიმართება და ჩემპიონ-პრიზიორების ვინაობასაც შევიტყობთ. 4-5 ივნისს კი ბლიცში 15-ტურიანი მარათონი გამოავლენს გამარჯვებულის ვინაობას.

ვაჟა დანელია

## ლიდერებმა ზავით პოზიციები შეინარჩუნეს

ბულგარულ ალბენაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდია 40.000 ევრო. გამარჯვებული 6.000-ს, მეორე-მესამეადგილოსნები, შესაბამისად, 4.000 და 2.000 ევროს მიიღებენ) ლიდერებთან ქულათა სხვაობის შემცირების შანსი ჰქონდა ქართველ საერთაშორისო ოსტატ **ალექსანდრე ყაშაშვილს,** რომელიც გუშინ თეთრი ფიგურებით შვედ პონტუს კარლსონს დაუზავდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შვედი დიდოსტატი ჩვენებურს რეიტინგში 232 პუნქტით უსწრებს. ქულა გაიყვეს, ასევე, **აკაკი შალამბერიძემ** და **თამაზ მგელაძემ,** შესაბამისად, ინდოელ თეჯკუმართან და ჩინელ იი დანთან. **ვახტანგ ჩიქოვანმა** თურქი ერვინ ოზქანი დაამარცხა.

ლიდერთა ჯგუფში პოზიციები, ფაქტობრივად, არ შეცვლილა, რადგან მათი პარტიები ყაიმებით დასრულდა. მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი)-ჰრანტ მელქუმიანი (სომხეთი), დრაგან სოლაკი (თურქეთი)-მომჩილ ნიკოლოვი (ბულგარეთი), ვასილ სპასოვი (ბულგარეთი)-ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი), თამირ ნაბათი (ისრაელი)-ავეტიკ გრიგორიანი (სომხეთი). 4,5-4,5 ქულით ისევ ჩეპარინოვი და მელქუმიანი მეწინავეობენ. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით 10 მოჭადრაკე ჩამორჩება. ყაშაშვილს - 3,5, შალამბერიძესა და ჩიქოვანს-3-3, მგელაძეს კი 2,5 ქულა აქვს. ქართველები მე-6 ტურში ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: შილონ ლი (ჩინეთი)-ყაშაშვილი, ემანუელ შეინდორფერი (შვეიცარია)-ჩიქოვანი, ნოელ შტუდერი (შვეიცარია)-შალამბერიძე, პიოტრ დუკაჩევსკი (პოლონეთი)-მგელაძე. ლიდერები - ჩეპარინოვი და მელქუმიანი, შესაბამისად, სოლაკსა და სპასოვს დაუპირისპირდებიან.

ვაჟა დანელია

# ქართული სპორტის ქრონიკები

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

## იოსებ მაღალაშვილი



დაიბადა 02.09.1952, მეტეხი, კასპი. **სამბო** (52 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1974) და მეორე პრიზიორი (1975), მსოფლიოს თასის მფლობელი (1977), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1974, 76, 77), სსრკ ხალხთა VI და VII სპარტაკიადების ჩემპიონი (1975, 79). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი.

„ლელო"-ში 40 წლის წინათ...

## 31 მაისი - 6 ივნისი 1972 წ.

**31 მაისი.** ამ დღეს „ლელომ" პირველ გვერდზე აუწყა მკითხველს, რომ მძლეოსნობის ისტორიაში ბადროს მტყორცნელმა ქალმა პირველად გადალახა 65-მეტრიანი ზღვარი. 29 წლის ერევნელმა ფაინა მელნიკმა ბადრო 65,42 მეტრზე ტყორცნა და თავისივე რეკორდი 54 სანტიმეტრით გააუმჯობესა.

**01 ივნისი.** ამ დღეს სსრკ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი ჩოგბურთში ალექსანდრე მეტრეველი პარიზში, საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა.

**02 ივნისი.** თბილისში მიმდინარე მოსწავლეთა XXIV რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით ველოსპორტში 75 კილომეტრზე შეჯიბრება მოიგო თბილისის გუნდმა, ტყვიის მსროლელთა კომპლექსურ ჩათვლაში ქუთაისელებმა იპირველეს.

**03 ივნისი.** რიგაში ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიოს პირველობაზე პრეტენდენტ ალა კუშნირსა და ნონა გაფრინდაშვილს შორის ანგარიში გახდა 6:3 მსოფლიოს ჩემპიონის სასარგებლოდ.

**03 ივნისი.** ლვოვში ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგ ტურში თბილისის „დინამომ" 0:0 ითამაშა ადგილობრივ „კარპატთან".

**04 ივნისი.** ქუთაისში ფეხბურთში I ლიგის გუნდებს შორის სსრ კავშირის პირველობაზე ადგილობრივმა „ტორპედომ" 4:1 დაამარცხა პერმის „ზვეზდა". მოიგეს დუბლიორებმაც - 2:1.

**05 ივნისი.** დამტკიცდა საბჭოთა კავშირის ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრები: ა. მეტრეველი, ა. ლიხაჩოვი, ვ. კოროტკოვი, თ. კაკულია (ეს უკანასკნელი ნაკრებში ტალინელ თ. ლეიუსის ნაცვლად შეიყვანეს).

**06 ივნისი.** მინსკში მიმდინარე წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირში თბილისის „დინამომ" იუგოსლავის ნაკრებთან წააგო შეხვედრა 6:9.

პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** მწვრთნელი საქართველოდან, რომელსაც ყველაზე ახალგაზრდულ ასაკში, 22 წლისას მიენიჭა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება, იყო ჯერ ისევ მომქმედი სპორტსმენი - აკრობატი **ვლადიმერ გურგენიძე**.

■ ■ ■

**პირველმა** სამბოს სახელმძღვანელო („სამოზაშჩიტა ბეზ ორუჟია") გამოსცა **ვიქტორ სპირიდონოვმა** მოსკოვში 1928 წელს. თუმცა სპორტის სახეობად სამბო მოგვიანებით გამოცხადდა. პირველი ოფიციალური ასპარეზობა გაიმართა ბაქოში 1938 წელს ბაქოს, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სარატოვის სპორტსმენთა მონაწილეობით.

■ ■ ■

**პირველად** საქართველოს ჰიმნი ოლიმპიურ თამაშებზე აჟღერდა 1992 წელს ბარსელონაში ძიუდოისტ **დავით ხახალეიშვილის** გამარჯვების აღსანიშნავად. ბარსელონაში ქართველი სპორტსმენები „გაერთიანებულ გუნდში" გამოდიოდნენ.

● წიგნის თარო

## ვივა, წყალბურთო!




უკვე დიდი ხანია, მხოლოდ ფსევდონიმით ვბეჭდავ პრესაში წერილებს. ახლა მოჭარბებულადაც კი გამიჩნდა ფსევდონიმზე უარის თქმის სურვილი და ამის მიზეზი ჩემთვის ესოდენ ახლობელ სამყაროსთან დაკავშირებული წიგნის გამოცემაა, თანაც ავტორსაც კარგად ვიცნობ, და იმათაც, ვისზედაც წერს, - დიდხანს ერთად გვქონდა ურთიერთობა წყლის სამყაროსთან.

წიგნი დათო კაკაბაძემ - ჩვენმა კოლეგამ მოგვაწოდა რედაქციაში. რა თქმა უნდა, ჯერ მოუთმენლად ჩავყევი ფურცელ-ფურცელ ბოლომდე. წაკითხვისას მეხსიერებაში გაცოცხლდა ათეული წლის წინანდელი ამბები, როგორც ავტორი წერს: „ზოგი სასაცილო და მხიარული, ზოგი - სევდიანი, ზოგი უცნაური და ზოგი - ტრაგიკული, თუმცა მუდამ საგულისხმო"; გაცოცხლდა ნაცნობი სახეები, მოვლენები...

საკადრისად ღირსეული წინათქმა: სათაურით "გამხელილი სიყვარული" წაუმძღვარებია წიგნისთვის გივი ბაქრაძეს. სწორედ რომ ავტორის გამხელილი სიყვარულითაა გაჟღენთილი ყველა სტრიქონი.

წყალბურთზე ადრეც დაწერილა წიგნები, თვით ცნობილი სპორტსმენების მიერ. ზურაბ ჩაჩავას ეს ნაშრომი იმ გამოცემების გვირგვინად მომეჩვენა. წერს ლეგენდარულ დამრიგებელზე - ლუკა იოაკიმიდზე, რომლის შეგირდები იყვნენ ქართული წყალბურთის პირველი თაობის ბიჭები. წერს დიდებულ ვოვა ბარნაბიშვილზე, ვეტერანებზე, კაკო მშვენიერაძეზე, ქართული წყალბურთის პირველ ნაბიჯებზე; მატჩებზე, მსაჯებზე, მწვრთნელებზე, ქალთა წყალბურთის შემობრძანებაზე, რომლის მეკვლე თავად იყო. წერს ღვაწლმოსილ ადამიანებზე, მათ შორის წარსულში ცნობილ წყალბურთელსა და შემდგომში ბრწყინვალე ორგანიზატორზე ვლადიმერ გოიაშვილზე, რომელმაც მთელი ცხოვრება საქართველოში სპორტის წყალთა სახეობების განვითარებას შესწირა.

წიგნი უხვადაა ილუსტრირებული და ქართული წყალბურთის ერთგვარ ფოტომატიანედ შეიძლება ჩაითვალოს.

მადლობა, ზორიკ, ამ შესანიშნავი წიგნისთვის!

თენგიზ გაჩეჩილაძე

## 31 მაისი - 6 ივნისი

**31 მაისი. 1970 წ.** ფეხბურთში მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩში (მექსიკა - სსრკ; 0:0) სსრ კავშირის ნაკრებში ქართველებიდან ითამაშეს **ანზორ კავაზაშვილმა, კახი ასათიანმა** და **გივი ნოდიამ.**

**31 მაისი. 1989 წ.** დაიბადა **როინ კვასხვაძე** - ფეხბურთი (მეკარე).

**31 მაისი. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაცია.

**01 ივნისი. 1941 წ.** ლენინგრადში სსრკ ჩემპიონატის მატჩში თბილისის „დინამომ" თავისივე მოედანზე 4:1 დაამარცხა ლენინგრადის „ზენიტი". ორი გოლი გაიტანა **ვიქტორ პენიუკოვმა.** შემდეგ მან მოედნიდან გაძევებული ჩვენი მეკარე შეცვალა და პენალტიც მოიგერია.

**01 ივნისი. 1935 წ.** დაიბადა **თამაზ ანთაძე** - ხელბურთი. გარდაიცვალა 2002 წელს.

**01 ივნისი. 1958 წ.** დაიბადა **ზაურ სულაშვილი** - აკრობატიკა.

**01 ივნისი. 1967 წ.** დაიბადა **ლევან ებანოიძე** - სუმო.

**01 ივნისი. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია.

**02 ივნისი. 1927 წ.** დაიბადა **ლევან ინწკირველი** - კალათბურთი, მწვრთნელი.

**02 ივნისი. 1981 წ.** დაიბადა **ზურაბ ზვიადაური** - ძიუდო.

**02 ივნისი. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია.

**02 ივნისი. 1993 წ.** გაიმართა ტაეკვანდოს საქართველოს ეროვნული ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

**03 ივნისი. 1928 წ.** დაიბადა **სერგო გაბარაევი** - თავ. ჭიდაობა.

**03 ივნისი. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია. პრეზიდენტად აირჩიეს **დილარ ხაბულიანი.**

**04 ივნისი. 1976 წ.** დაიბადა **ავქსენტი გიორგაძე** - რაგბი.

**04 ივნისი. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია. პრეზიდენტად აირჩიეს **გიორგი ქათამაძე.**

**05 ივნისი. 1992 წ.** ძველ ოლიმპიაში (საბერძნეთი) აღიმართა საქრთველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საჩუქარი - ძეგლი „მშვიდობის ჩირაღდანი" (მოქანდაკე **გიორგი შხვაცაბაია**).

**06 ივნისი. 1961 წ.** დაიბადა **ლიანა ცოტაძე** - წყალხტომა.

**06 ივნისი. 1993 წ.** შეიქმნა საქართველოს ოლიმპიური და სპორტული ფილატელიის ასოციაცია (სოსფა) - პრეზიდენტი **პაატა ნაცვლიშვილი.**

### ვიქტორინა

1. საქართველოს რომელ საფეხბურთო კლუბს ერქვა ერთხანს „ოკრიბა"?

ა - ქუთაისის „ტორპედოს"
ბ - მარტვილის „სალხინოს"
გ - ტყიბულის „მეშახტეს"

2. რომელ წელს მოიგო მსოფლიოს თასი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრებმა?

ა - 2001 წელს
ბ - 2004 წელს
გ - 2007 წელს

3. რა ერქვა საქართველოს მასმედიის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულ საფეხბურთო გუნდს?

ა - „რეპორტიორი"
ბ - „მასმედია"
გ - „ჟურნალისტი"

4. რომელ წელს შეიქმნა რაგბიში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდი?

ა - 1989 წელს
ბ - 1991 წელს
გ - 1996 წელს

5. ტრადიციულად სამეგრელოში მამაკაცის გარდაცვალებიდან წლისთავზე სპორტული შეჯიბრება იმართებოდა

ა - ჭიდაობაში
ბ - ცხენოსნობაში
გ - ლელობურთში

პასუხები: 1 - გ, 2 - ბ, 3 - გ, 4 - ა, 5 - ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბარბაროსები

# გორგოძემ და ბარბაროსებმა სამყურები მოსრეს

**საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ ლიდერმა, მესამეხაზელმა მამუკა გორგოძემ „ბარბაროსების“ შემადგენლობაში ირლანდიის ნაკრებთან ითამაშა. შეხვედრა ინგლისში, გლოსტერის „კინგსლომ სთედიუმზე“ გაიმართა და „ბარბაროსებმა“ მინიმალური სხვაობით 29:28 მოიგეს.**

თვით ის ფაქტი, რომ ქართველი მორაგბეები ზედიზედ მეორე წელიწადია „ბარბაროსების“ შემადგენლობაში ასპარეზობენ, მეტყველებს ქართული რაგბის მზარდ ავტორიტეტსა და ჩვენი მორაგბეების მაღალ სათამაშო კლასზე. გორგოძეზე, როგორც მსოფლიო დონის მოთამაშეზე, არაერთხელ დაწერილა და თქმულა. ჩვენი ქვეყნის გასული წლის საუკეთესო სპორტსმენისთვის „ბარბაროსებში“ მიწვევა კარიერის კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელია.

„ბორჯღალოსანთა“ ლიდერი, როგორც სჩვეულებრივ, ამ მატჩშიც მთლიანად დაიხარჯა. მან მოედანზე 65 წუთი დაჰყო და ინგლისელ შუამარბთან, **მაიკ თინდოლთან** ერთად, ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე იყო.

წინა მატჩისგან განსხვავებით ინგლისის ნაკრებთან „ბარბაროსები“ ამჯერად ბევრად უკეთესად გაისარჯნენ. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ირლანდიელთა თავკაცმა **დეკლან კიდნიმ** სათამაშოდ „სამყურების“ ექსპერიმენტული შემადგენლობა გაიყვანა, რომელიც, ცხადია, სათანადოდ შეთამაშებული არ იყო.

ბუნებრივია, იგივე პრობლემა ჰქონდათ „ბარბაროსებსაც“, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ერთად არასდროს უთამაშია. მიუხედავად ამისა, მათ აქტიურად შეუტიეს მეტოქეს და მეთერთმეტე წუთზე „ბარბაროსების“ ინგლისელმა გარემარბმა **იან ბოლშომ** ანგარიში ლელოთი გახსნა. გარდასახვა არგენტინელმა **ფელიპე კონტეპომიმ** დაარტყა ზუსტად - 7:0.

ოთხ წუთში „ბარბაროსებმა“ შეტევისას ბურთი დაკარგეს, რაც „სამყურებმა“ კარგად გამოიყენეს. მათი სწრაფი კონტრიერიში გარემარბმა **კრეიგ გილორიმ** ეფექტურად დაასრულა. გარდასახვა ირლანდიელთა ყველაზე გამოცდილმა მორაგბემ, მგეზავმა **რონან ოგარამ** უნაკლოდ შეასრულა - 7:7.

ოთხ წუთში მამუკა გორგოძისა და მაიკ თინდოლის ძალისხმევა იტალიელმა **კორნელიუს ფან ზილმა** ლელოდ აქცია. კონტეპომიმ გარდასახვა ვერ გაიტანა - 12:7.

ირლანდიელები მატჩში პირველად 26-ე წუთზე დაწინაურდნენ. თავი ისევ უკანახაზელებმა გამოიჩინეს. გილორიმ შეტევა მოედნის საკუთარი ნახევრიდან წამოიწყო, ბურთი მესამეხაზელ **პიტერ ომაჰონის** გადააწოდა, რომელმაც შეტევაში ფულბეკი **ქის ირლზი** ჩართო. ლელო ისევ ოგარამ გარდასახა - 14:12.

„ბარბაროსებმა“ მაინც შეძლეს პირველ ნახევარში დაწინაურება. გარემარბმა **პოლ სასკიმ** საჯარიმო სწრაფად გაათამაშა და ლელოში შეაღწია. კონტეპომიმ მონაგარს კიდევ ორი ქულა შესძინა - 19:14. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ თამაშის ხასიათი დიდად არ შეცვლილა. ირლანდიელები 45-ე წუთზე ახალგაზრდა **საიმონ ზებოს** ლელოთი დაწინაურდნენ, რომელიც ოგარამ გარდასახა - 21:19. ამაზე „ბარბაროსებმა“ მალევე ვეტერანი ინგლისელი შუამარბის, **მაიკ თონდოლის** „ლელოთი“ უპასუხეს. კონტეპომიმ ესეც გარდასახა - 26:21.

აიწონა-დაიწონა ამით არ დასრულებულა. 64-ე წუთზე კრეიგ გილორიმ თავისი მეორე ლელო მიითვალა და ანგარიშში წინ ისევ „სამყურები“ გაიჭრნენ - 28:26. საბოლოო წერტილი კი თამაშს არგენტინელმა მგეზავმა 78-ე წუთზე საჯარიმოთი დაუსვა - 29:28. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციის მიხედვით „ბარბაროსები“ საჯარიმოს კარში არ ურტყამენ, თუმცა როგორც ჩანს, შავთეთრებს ისე გაუჭირდათ, რომ ამ ტრადიციის დარღვევაზეც წავიდნენ.

საინტერესოა ახალზელანდიელი ქომაგის კომენტარი, რომელიც ერთ-ერთ სარაგბო ფორუმზე ამოვიკითხეთ.

*„შესანიშნავია ირლანდიელთა ახალგაზრდა გარემარბი საიმონ ზებო. მინდა, რომ მან ჩვენს გუნდში, „ბეი ოფ პლენტიში“ ითამაშოს. ძალიან მინდა ხშირად, თანაც ცოცხლად ვხედავდე ქართველი მთაკაცის, მამუკა გორგოძის თამაშს. ასე რომ, მამუკა, ელოდე ზარს ახალი ზელანდიიდან“.*

მომდევნო შეხვედრას „ბარბაროსები“ კარდიფში, „მილენიუმზე“ უელსის ნაკრებთან გამართავს. იმ მატჩში მათ შემადგენლობას ლეგენდარული უელსელი გარემარბი **შეინ ვილიამსი** დაემატება, რომლისთვისაც ეს თამაში კარიერაში ბოლო იქნება. უელსის ნაკრების შემადგენლობაში კი იასპარეზებს ვეტერანი **მარტინ ვილიამსი**, რომელიც ამ შეხვედრაში მეასე კეპს მოიხვეჭს.

**ბარბაროსები–ირლანდია 29:28**

**ბარბაროსები (15-9) ემონსი (დონალდი 66)მ სასკი, თინდოლი, ტრაი, ბოლშო (ნაკევა 55), კონტეპომი, ლოუსონი (რისი 70). (1-8) ჯოუნზი (ტიალატა 55), ოგუსტი (მალმანჩი 41), აფოა, ოდრისკოლი, ფან ზილი (ტაელე 24), გორგოძე (ქერა 65), ლოუ, ლაკაფია.**

**4ლ: ბოლშო, ფან ზილი, სასკი, თინდოლი. 3გ,ს: კონტეპომი.**

**ირლანდია (15-9) ირლზი, გილორი (სპენსერი 78), კავე, ვოლესი, ზებო, ოგარა, მურეი (მარშალი 77). (1-8) ვილკინსონი, შერი, ფიცპატრიკი (ლონიე 57), ტუოი (ოკალაჰანი 60), რაიანი, მალდუნი, ჰენრი, ომაჰონი (ტრიმბლი 70).**

**4ლ: ირლზი, გილორი (2), ზებო. 4გ: ოგარა.**

**მსაჯი: ჟერომ გარსე (საფრანგეთი).**


მამუკა გორგოძე სამყურების გარემოცვაში

● საქართველოს ნაკრები


საქართველოს ნაკრები

# ჰეიგმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

**საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა გუნდის გაფართოებული სია დაასახელა, რომლისგანაც აირჩევიან ის მორაგბეები, რომლებიც 9 ივნისს ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ბოლო მატჩში უკრაინის ნაკრებთან იასპარეზებენ. ხოლო შემდეგ აშშ-სა და კანადაში გაემგზავრებიან.**

ტრავმების გამო გაფართოებულ სიაში ვერ მოხვდნენ **გიორგი შკინინი** (არმია), **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **ვასილ კაკოვინი** (ტულუზი), **ანტონ ფეიქრიშვილი** (კასტრი), **ჯაბა ბრეგვაძე** (ტულუზი) და **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი).

საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, რთული სეზონის შემდეგ ისვენებენ: **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (ბრივი), **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი) და **გიორგი ნემსაძე** (ტარბი).

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნები“ 16 ივნისს დენვერში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ერთი კვირის თავზე კი ბარნაბიში კანადის ეროვნულ გუნდს ეთამაშებიან.

**საქართველოს ნაკრები**

**პირველი ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), აქვსენტი გიორგაძე (ტულუზი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ბექა შეყლაშვილი (დაქსი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი), რეზო ბელქანია (ლა სეინი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), შალვა მამუკაშვილი (არმია).**

**მეორე ხაზი: ვახტანგ მაისურაძე (ალბი), გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი), ბაჩუკი გუჯარაიძე (ლოკომოტივი), დავით ჩიტიძე (არმია).**

**მესამე ხაზი: შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბინაძე (არმია), გივი ბერიშვილი, ზვიად მაისურაძე (ორივე-ლოკომოტივი), გიორგი თხილაიშვილი (არმია).**

**№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ბათუმი XV).**

**№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ვალანსი).**

**№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), მერაბ შარიქაძე (აკადემია).**

**№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ალექსანდრე თოდუა (ალბი).**

**№15. ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).**

● ტესტები

# სენტ-ანდრე გამოცდას ატარებს

**საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფილიპ სენტ-ანდრემ ივნისის ტესტებისთვის ექსპერიმენტული შემადგენლობა შეკრიბა. მან გუნდში რამდენიმე წამყვან მორაგბეს არ უხმო. მათ შორის ერთ-ერთი, ეროვნული ნაკრების კაპიტანი და მსოფლიოს 2011 წლის საუკეთესო მორაგბე, მესამეხაზელი ტიერი დუსოტუარია.**

ფრანგები ორ უმნიშვნელოვანეს მატჩს არგენტინის ნაკრებთან სტუმრად გამართავენ. „პუმებმაც“ ფრანგების მსგავსად ძალიან ბევრ ახალბედას უხმეს, თუმცა მაინც მიიწვიეს 35 წელს გადაცილებული **როდრიგო რონსერო** და **ფელიპე კონტეპომი**.

სენტ-ანდრეს სურს, მომავალ მატჩებში ის მორაგბეები იხილოს საქმეში, რომელთა მხრებმა მომდევნო რამდენიმე წელიწადი უნდა ზიდოს ნაკრების მძიმე ტვირთი. ამდენად, ივნისში ქომაგს საშუალება მიეცემა, „ლე ბლოს“ მომავალი თაობა იხილოს.

*„ზოგიერთ მორაგბეს 15-16 თვეა არ დაუსვენია. გამუდმებით თამაშობენ. მათ სულის მოთქმა და ძალების აღდგენა სჭირდებათ. არ გვინდა არგენტინაში ვეტერანი მორაგბეები ვიახლოთ. კარგი იქნება, თუ ისინი როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად დაისვენებენ.*

*გუნდში ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე მივიწვიეთ. სამ-ოთხ მათგანს, მიგვაჩნია, რომ რეალურად შეუძლია მალე განიცადონ პროგრესი და ეროვნულ ნაკრებში დაიკვიდრონ ადგილი. სამისოდ კი საჭიროა, ისინი მაღალი დონის გუნდებთან, უაღრესად დაძაბულ მატჩებში გამოვცადოთ.*

*ტიერი დუსოტუარი დღემდე რჩება ჩვენი ნაკრების ლიდერად. მას ძალიან უნდოდა არგენტინაში ტესტების სათამაშოდ წამოსვლა, მაგრამ თუ მას ახლა დასვენების საშუალებას არ მივცემთ, შესაძლოა საერთოდ დავკარგოთ.*

*შეუძლებელია კმაყოფილი იყო, როცა ხუთი თამაშიდან, ორი მოიგე, ორი წააგე და ერთიც ფრედ დაასრულე. წლევანდელი ექვსი ერის გათამაშებაში „ლე ბლოს“ ასპარეზობა აუცილებლად უარყოფითად უნდა შეფასდეს.*

*ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით როგორც შეტევის, ისე დაცვის ორგანიზებისას და ახლა, ივნისის ტესტებს სწორედ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად გამოვიყენებთ“* - თქვა საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფილიპ სენტ-ანდრემ.

ტიერი დუსოტუარის გარდა ნაკრებში გამოძახებული არ არიან საფრანგეთის ჩემპიონატის პლეიოფში მონაწილე გუნდების, „ტულუზის“, „კლერმონის“, „მონპელიეს“, „კასტრისა“, „ტულონისა“ და „მეტრო რასინგის“ მორაგბეები. ასევე ბიარცელი ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი**.

**საფრანგეთის ნაკრები:** იოან უგე, მარვინ ოკონორი, ბენუა გუიო, რაფაელ ლაკაფია, ლორან ვენსელსი, ივან ვატრემესი, ტიბო დუბარი, ლუკას დუპონტი, ანტოან ჯილმონი, დავიდ ატუბი, ჟულიენ დიუპიუი, ალექსანდრ ფლანკარტი, პასკალ პაპე, ჯულის პლისონი, რაბან სლიმანი, დიმიტრი სჟარჟევსკი, ბრაის დულინი, მაქსიმ მაშენო, ტომას სინგელი, ფლორიან კაზენავე, დამიენ შული, ჟილემ ჟირადო, მაქსიმ მერმოსი, ჟოფრეი მიშელი, ადრიან პლანტე, რომენ ტაოფიფენუა, კამილ ლოპესი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



ერთ დროს ერთად იყვნენ

# როდმანს გამოასწორებენ

სკანდალურად ცნობილ ამერიკელ კალათბურთელ **დენის როდმანს** ალიმენტების გადაუხდელობის გამო 104 საათი იძულებითი სამუშაოები მიესაჯა. ასევე სამწლიანი გამოსაცდელი ვადა დაუნიშნეს.

"დეტროიტისა" და "ჩიკაგოს" ყოფილ კალათბურთელს ყოფილი მეუღლის - **მიშელის** ვალი დაუგროვდა. ეს არის 800 ათასი დოლარი, რაც მათი ორი შვილის შესანახად იყო საჭირო. სასამართლო პროცესის დროს კალათბურთელმა არაერთხელ განაცხადა, რომ მას უბრალოდ არ აქვს ალიმენტების გადასახდელი ფული. 51 წლის როდმანის თქმით, მას დღემდე უწევს აზიასა და ევროპაში საჩვენებელ მატჩებში მონაწილეობა იმისთვის, რომ საარსებო ფული გამოიმუშაოს.

ამასთან, როდმანმა აღნიშნა, რომ მეუღლეზე გაბრაზებული არ არის იმის გამო, რომ მან სასამართლოში იჩივლა. კალათბურთელის თქმით, გამოსასწორებელი სამუშაოები არ იქნება მისთვის დიდი პრობლემა.

დენისმა და მიშელმა 1999 წელს გაიცნეს ერთმანეთი. ერთი წლის შემდეგ მათ შეეძინათ ვაჟი **დი ჯეი**, 2001 წელს კი გაჩნდა ქალიშვილი **ტრინიტი**. დენისმა და მიშელმა 2003 წელს იქორწინეს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სპორტსმენის მეუღლემ განქორწინებაზე შეიტანა განცხადება.

NBA-ში როდმანი "დეტროიტის", "სან ანტონიოს", "ჩიკაგოს", "ლეიკერსისა" და "დალასის" რიგებში თამაშობდა. ის ხუთჯერ იყო ასოციაციის ჩემპიონი - ორჯერ "პისტონზისა" და სამჯერ "ბულზის" შემადგენლობაში. 2011 წელს როდმანი NBA-ის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

კარიერის მსვლელობისას და სპორტიდან წასვლის შემდეგაც, როდმანს არაერთხელ ჰქონდა საქმე სასამართლოში, მათ შორის გაუპატიურების ბრალდებით.

## ამბები

### კალათბურთი

## ფიშერი ჯერ არ მიდის

„ოკლაჰომას" მცველმა **დერეკ ფიშერმა** განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში არ აპირებს კარიერის დასრულებას, - წერს ამერიკული პრესა. შეგახსენებთ, რომ ვეტერანის ასაკი 37 წელია.

ფიშერმა მკაფიოდ დაადასტურა, რომ აუცილებლად ითამაშებს 2012-13 წლების სეზონში.

მიმდინარე პლეი ოფში ფიშერი საშუალოდ 21 წუთს ატარებს მოედანზე და 6.7 ქულას, 1.4 მოხსნასა და 1.0 შედეგიან პასს აგროვებს.

### ბეისბოლი

## ჩავესის ხუმრობა

ვენესუელას პრეზიდენტმა **უგო ჩავესმა**, რომელიც ბეისბოლის დიდი მოყვარულია, სატელევიზიო გამოსვლისას სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ბეისბოლი წარმოდგენილი არ იქნება ლონდონის ოლიმპიადის პროგრამაში. მან აგრეთვე იხუმრა, რომ მზად არის გაერთიანდეს აშშ-ის პრეზიდენტთან **ბარაკ ობამასთან** სპორტის ამ სახეობის ოლიმპიადაზე დასაბრუნებლად.

*"მოდით ერთად გავაკეთოთ ეს, გავერთიანდეთ ობამასთან. ასეთი კავშირი შესაძლებელია, - იხუმრა ჩავესმა. - ვფიქრობ, ფიდელ კასტროც შემოგვიერთდება".*

შეგახსენებთ, რომ ბეისბოლი 2008 წელს პეკინის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედიოდა.

### კრივი

## ვიტალიმ მეტოქე იპოვა?

ვებგვერდ Boxingscene.com-ის ინფორმაციით, სუპერმძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონ **ვიტალი კლიჩკოსთან** შეხვედრის უპირველესი კანდიდატია სირიელი მოკრივე **მანუელ ჩარი** (21-0, 11KO). შეგახსენებთ, რომ უკრაინელ მოკრივეს შემდეგი ბრძოლა ამა წლის პირველ ან რვა სექტემბერს აქვს დაგეგმილი.

იმ შემთხვევაში, თუ ჩარის გუნდთან მოლაპარაკების პროცესი წარმატებით არ დასრულდება, ვიტალი შეიძლება შეხვდეს პოლონელ **მარიუშ ვაჰს** (27-0, 15KO) ან ამერიკელ **ბირმეინ სტივერნს** (22-1-1, 20KO).

### ფორმულა 1

## 2013 წელს მექსიკაში

ესპანური გაზეთის "მარკას" ინფორმაციით, მექსიკა ფორმულა 1-ის კალენდარში 2013 წელს დაბრუნდება. რბოლა მეხიკოში **ერმანოს როდრიგესის** სახელობის ავტოდრომზე გაიმართება, რომელმაც ბოლოს მექსიკის გრანპრის 1992 წელს უმასპინძლა.

იტყობინებიან, რომ რბოლა "ზაუბერის" პილოტის **სერხიო პერესის** სპონსორების – Telmex-ის, Interproteccion-ისა და Tequila Cuervo-ის დახმარებით ჩატარდება. ამ პროექტშია ჩართული მექსიკის ტურიზმის სამინისტროც.

*"ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ გრანპრის, რომელიც შეცვლის ვალენსიაში რბოლას. ავტოდრომის რეკონსტრუქცია მას შემდეგ უნდა დაიწყოს, რაც ივლისში დაგეგმილი არჩევნები გაიმართება. რბოლის ჩასატარებლად მომავალი წლის ზაფხულისთვის ყველაფერი მზად იქნება"*, - წერს ჟურნალისტი **მარკ ხოსე ანტონიო რუბიო**.

NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# სპურსი ოცამდე ავიდა

"სან ანტონიომ" პლეი ოფში ზედიზედ მეათე მატჩი მოიგო. "ოკლაჰომამ" ისევ იბრძოლა, მონდომება არ აკლდა, მაგრამ ამჯერადაც ვერაფერს გახდა. მასპინძლების რიგებში ყველამ კარგად ითამაშა. შეიძლება **ტიმ დანკანის** მიმართ გარკვეული პრეტენზიის გამოთქმა, რადგან მან 11-დან მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდო, მაგრამ ვეტერანმა ჩვეულებრივ, უამრავი შავი სამუშაო ჩაატარა.

რა თქმა უნდა, მოედანზე საუკეთესო **ტონი პარკერი** იყო. ფრანგმა პლეიმეიკერმა მიმდინარე პლეი ოფში ჯერჯერობით თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. და ეს იმის მიუხედავად, რომ პარკერის წინააღმდეგ ძალიან ხისტი და უხეში ტაქტიკა გამოიყენეს, რასაც ხშირად წყობიდან გამოჰყავს ხოლმე ტონი. ერთ-ერთ ეპიზოდში პარკერი მოედანზე მტკივნეულად დაანარცხეს, მაგრამ ამას არ უმოქმედია ევროპელის თამაშზე.

ტონის ცოტა დააკლდა ორმაგ დუბლამდე. მან თამაშიდან 21-ჯერ ისროლა და 16-მა ტყორცნამ მიზანს მიაღწია, გარდა ამისა, ფრანგი დაცვაშიც კარგი იყო. მართალია, **უესტბრუკმა** საკმაოდ შედეგიანად ითამაშა, მაგრამ ზედიზედ მეორე მატჩში "ოკლაჰომას" გამთამაშებელს დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა. მისი 24 ტყორცნიდან მხოლოდ ათმა მიაღწია მიზანს. მაგრამ ეს სტატისტიკა **დერეკ ფიშერის** მაჩვენებელთან შედარებით ნორმალური შედეგია. ვეტერანმა რეზერვისტმა თამაშიდან 11-ჯერ ისროლა და მხოლოდ ორი ბურთი მოათავსა კალათში. როგორც ჩანს, ისტორიული მომენტის წინ ინერვიულა - ფიშერმა 220-ე მატჩი ჩაატარა პლეი ოფში და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა ყოფილ თანაგუნდელ **კობი ბრაიანტს**. მოქმედ კალათბურთელებს შორის ეს საუკეთესო მაჩვენებელია, ყველა დროის სიაში კი ისინი მესამე ადგილს იყოფენ.

გუშინდელ მატჩში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა დაფიქსირდა. "სან ანტონიოს" ვეტერანი **ტიმ დანკანი** მეორე ადგილზე გადავიდა პლეი ოფში დაგროვილი დაფარებების რაოდენობით. მისი მონაგარი ახლა 473 ბლოკშოტს შეადგენს და აბსოლუტურ რეკორდამდე არც ისე ბევრი უკლია - ლიდერ **ქარიმ აბდულ-ჯაბარს** კარიერაში 476 დაფარება ჰქონდა.

დაცვაში სერიოზული პრობლემებისა და ნომინალური გამთამაშებლების უზუსტობის გამო, მეორე მეოთხედიდან მოყოლებული სტუმრები სტაბილურად ჩამორჩებოდნენ მეტოქეს 10 ქულაზე მეტი სხვაობით. მესამე მეოთხედში კი "ოკლაჰომასთვის" ნამდვილი კოშმარი დაიწყო. თამაშის განახლებიდან სამ წუთში "სან ანტონიომ" სამი სამქულიანი ჩააგდო. თავი გამოიჩინეს მეორე ეშელონის მებრძოლებმა – **გრინმა, ლეონარდმა** და **დიაომ**. ხოლო მას შემდეგ, რაც იმავე ლეონარდმა და პარკერმა კიდევ ორჯერ მოათავსეს კალათში შორეული ტყორცნა, სხვაობამ 20 ქულა შეადგინა. განსაკუთრებით ეფექტური იყო ფრანგის სამქულიანი. მცველმა შესანიშნავი



სან ანტონიო-ოკლაჰომა

ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშა **ჯინობილისთან** – ბურთი არგენტინელს მიაწოდა და თავად კუთხისკენ გაიქცა. თანაგუნდელს ზურგს უკან პასი არ დაუგვიანია და პარკერმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ისროლა.

სტუმრები არ დანებდნენ, რისთვისაც ქებას იმსახურებენ. განსაკუთრებით კი მათი მწვრთნელი **ბრუქსი**. შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩის ბოლო მეოთხედში მან სკამზე დასვა **იბაკა** და მსუბუქი ხუთეული ათამაშა **დურანტით** მძიმე ფორვარდის პოზიციაზე. ამ სვლამ მაშინ არ გაამართლა: სამწამიანში ნაგებული ბრძოლით (ქულები: 2:16), სტუმრებმა უპირატესობა დაკარგეს და კრახი განიცადეს. ახლა კი იბაკათი მოედანზე, "თანდერმა" ბოლო მეოთხედი თავის აქტივში ჩაიწერა. ესპანელი კარგად ეხმარებოდა თავისიანებს პარკერის ნეიტრალიზაციაში - ნახევარი მეოთხედის განმავლობაში ფრანგს მხოლოდ ერთხელ ასროლინეს. შედეგად, უესტბრუკის ზედიზედ ოთხი საჯარიმოს შემდეგ სტუმრების ჩამორჩენა მხოლოდ ექვს ქულას უდრიდა, სათამაშო კი საკმაოდ ბევრი – ხუთი წუთი რჩებოდა. თითქოს მატჩის ბოლოს დაძაბული ბრძოლა უნდა გვეხილა, მაგრამ ასე არ მოხდა. ლეონარდის ბლოკმა იმავე უესტბრუკზე და აგრეთვე პარკერის ურთულესმა ტყორცნამ საბოლოოდ ამოაგდო რიტმიდან მეტოქე. სულ რაღაც ორ წუთში მასპინძლების ლიდერობამ ისევ ორნიშნა რიცხვს მიაღწია.

ამის შემდეგ სტუმრებს მეტოქის დაწევის მცდელობა აღარ ჰქონიათ – ეს სრული უაზრობა იყო. ამ პლეი ოფში "ოკლაჰომას" ამდენი ქულა არასოდეს გაუშვია და ასეთ დროს გამარჯვებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მით უმეტეს, რომ "სპურსი" მეოთხე გუნდი გახდა ისტორიაში, რომელმაც ზედიზედ მე-20 გამარჯვება ჩაიწერა აქტივში. უფრო მეტიც, "სან ანტონიო" ამ ოთხი გუნდიდან ერთადერთია, რომელმაც ეს სერია რეგულარულიდან პლეი ოფში გააგრძელა. "ოკლაჰომამ" კი, ალბათ, იცის, რომ ლიგის ისტორიაში მხოლოდ 14-ჯერ დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევა, როცა რომელიმე გუნდს 0:2-დან მოუგია პლეი ოფის სერია.

### სან ანტონიო–ოკლაჰომა 120:111

**28:22, 27:22, 37:32, 28:35**

**ს-ა:** *პარკერი (34+8 პასი), ჯინობილი (20+4 პასი), ლეონარდი (18+10 მოხსნა+2 დაფარება), დანკანი (11+12 მოხსნა+6 პასი+4 დაფარება), გრინი (10+5 მოხსნა), დიაო (9+7 მოხსნა), სპლიტერი (8+3 პასი), ბონერი (4), ჯექსონი (3), ნილი (3).*

**ო:** *დურანტი (31+5 პასი+5 მოხსნა+3 ჩაჭრა+2 დაფარება), ჰარდენი (30+7 მოხსნა+4 პასი), უესტბრუკი (27+8 პასი+7 მოხსნა), ფიშერი (10), იბაკა (8+10 მოხსნა+4 დაფარება), პერკინსი (3+5 მოხსა+2 დაფარება), სეფოლოშა (2).*

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (55.1/42), სამქულიანი (42.3/47.1), საჯარიმოები (65.7/80.6).

**სერია: 2-0**

# კლიპერსი ისევ ვინისია



ვინი დელ ნეგრო

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ვინი დელ ნეგრომ** კონტრაქტი გააგრძელა კალიფორნიულ კლუბთან - იტყობინება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი. "კლიპერსმა" ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით გასული სეზონი თავისი არსებობის ისტორიაში მოგება/წაგების საუკეთესო შეფარდებით დაასრულა და მეორედ ისტორიაში გავიდა პლეი ოფის მეოთხედფინალში.

ახალი ხელშეკრულება ერთწლიანია. დელ ნეგრომ "კლიპერსი" 2010 წელს ჩაიბარა და ამ დროის განმავლობაში ლოსანჯელესელებმა მოიგეს 72 მატჩი და 76-ჯერ დამარცხდნენ.

*"მოხარული ვარ, რომ გეგმის მიხედვით შემიძლია მუშაობის გაგრძელება. მოთამაშეებს ბევრ შანსს ვაძლევ და მჯერა იმის, რის გაკეთებასაც ერთად ვაპირებთ. მე ვაფასებ მათ მონდომებას და აგრეთვე ჩემი თანაშემწეების ძალისხმევას"*, - აღნიშნა დელ ნეგრომ.

აგრეთვე დამრიგებელმა აღნიშნა, რომ არ ულაპარაკია "კლიპერსის" ხელმძღვანელობასთან უფრო ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმებაზე.

*"ეს ამჟამად ნაკლებად მნიშვნელოვანია. ეს ის ადგილია, სადაც ყოფნა მინდა. უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები მაწუხებს"*, - აღნიშნა დელ ნეგრომ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჭადრაკი

# ვიში ისევ ჩემპიონია


ვიშვანათან ანანდი

ინდოელმა დიდოსტატმა **ვიშვანათან ანანდმა** შეინარჩუნა ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. გუშინ გაიმართა ანანდსა და **ბორის გელფანდს** (ისრაელი) შორის ტაი-ბრეიკი, რომელიც სწრაფ ჭადრაკში ოთხი პარტიისგან შედგებოდა. ანანდმა მოიგო ერთი პარტია, დანარჩენი სამი კი ყაიმით დასრულდა.

მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მატჩი მოსკოვში იმართებოდა. ტაი-ბრეიკამდე ანანდმა და გელფანდმა 12 პარტია ითამაშეს დროის კლასიკური კონტროლით. დიდოსტატებმა თითო პარტია მოიგეს, დანარჩენი ათი კი ყაიმით დასრულდა. შედეგად, 12 პარტიის შემდეგ ანგარიში იყო - 6:6.

ტაი-ბრეიკში თითო პარტიაზე მოჭადრაკეს მოსაფიქრებლად 25 წუთი ჰქონდა. ანანდმა მეორე პარტიაში თეთრებით შეძლო გამარჯვება და ამან მოუტანა მას საბოლოო გამარჯვება.

ინდოელმა დიდოსტატმა პირველად ჩემპიონის ტიტული 2007 წელს მოიგო, ამის შემდეგ მან ორჯერ წარმატებით დაიცვა ჩემპიონობა: 2008 წელს მოუგო რუს **ვლადიმერ კრამნიკს**, 2010 წელს ბულგარელ **ვესელინ ტოპალოვს**.

● ჰოკეი

# საუკეთესოს ექვსიდან აირჩევენ


ტიმ ტომასი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა იმ ჰოკეისტების სია, რომლებიც "კონ სმიტ ტროფიზე" აცხადებენ პრეტენზიას. ეს პრიზი სტენლის თასის საუკეთესო მოთამაშეს გადაეცემა.

სიაში სულ ექვსი ჰოკეისტი მოხვდა – სამი "ნიუ ჯერსის" წარმოადგენს და სამი "ლოს ანჯელესს". ეს ის გუნდები არიან, რომლებიც ფინალურ სერიაში გაითამაშებენ სტენლის თასს.

"კონ სმიტ ტროფის" პრეტენდენტები არიან: ფორვარდები **ილია კოვალჩუკი, ზაკ პარიზე** და მეკარე **მარტინ ბროდო** ("ნიუ ჯერსი"), თავდამსხმელები **დასტინ ბრაუნი, ანჟე კოპიტარი** და მეკარე **ჯონათან კუიკი** ("ლოს ანჯელესი").

ჯერჯერობით ფავორიტი ილია კოვალჩუკია, რომელიც სტენლის თასის საუკეთესო ბომბარდირი გახლავთ - მის ანგარიშზე 17 მატჩში შვიდი გოლი და 11 შედეგიანი პასი მოდის.

"კონ სმიტ ტროფის" გამარჯვებული ჰოკეის ჟურნალისტთა ასოციაციის წევრების გამოკითხვის შედეგად ირკვევა. პრიზის მოქმედი მფლობელია მეკარე **ტიმ ტომასი**, რომელიც 2010-11 წლების სეზონში "ბოსტონ ბრუინზს" სტენლის თასის მოგებაში დაეხმარა.

■ ■ ■

ლეგენდარული ჩრდილოამერიკელი სპეციალისტი **სკოტი ბოუმენი**, რომელსაც "მონრეალთან", "დეტროიტთან" და "პიტსბურგთან" ერთად ჯამში ცხრაჯერ აქვს მოგებული სტენლის თასი, კანადის ორდენით დაჯილდოვდა. ცერემონია ქალაქ ოტავაში გაიმართა. ბოუმენმა წითელ-თეთრი მედალიონი კანადის გენერალ-გუბერნატორისგან **დევიდ ჯონსტონისგან** მიიღო.

ამჟამად, 78 წლის ბოუმენი "ჩიკაგოში" თავის ვაჟთან ერთად მთავარ მრჩევლად მუშაობს.

კანადის ორდენი 1967 წელს დაარსდა და ის ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო [illegible] [illegible] **უეინ გრეტცკის, გორდი ჰოუს, ჟან ბელივოს, ბობი კლარკს, მარიო ლემიეს, ფილ ესპოზიტოს, ბობი ჰალს, ბობი ორსა** და სხვებს.

● ველოსპორტი

# დაგვიანებული ჯილდო

ლუქსემბურგს სტუმრობდა ლეგენდარული ფრანგული ველომარათონის - ტურ დე ფრანსის დირექტორი **კრისტიან პრიუდომი**. მის ვიზიტს კონკრეტული მიზანი ჰქონდა. მან ტურ დე ფრანსის ყვითელი მაისურა გადასცა ლუქსემბურგელ **ანდი შლეკს**, რითაც ეს ველომრბოლი ოფიციალურად გამოცხადდა 2010 წლის ტურის გამარჯვებულად.

როგორც იცით, 2010 წელს ტურ დე ფრანსის ტრიუმფატორი გახდა ესპანელი **ალბერტო კონტადორი**, ხოლო შლეკმა გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილი დაიკავა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ორი წლის წინანდელ ტურზე კონტადორმა დოპინგი გამოიყენა. ორწლიანი გამოძიების შემდეგ, ესპანელი დამნაშავედ ცნეს და ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

ამის გამო კონტადორს ჩამოართვეს 2010 წელს მოპოვებული ტიტული და ის ანდი შლეკს გადასცეს. პრიუდომის გარდა, ცერემონიას ესწრებოდა ტურის ხუთგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ბელგიელი **ბერნარ ინო**.

ცერემონიაზე შლეკმა განაცხადა, რომ ერჩივნა ყვითელი მაისურა 2010 წელს პარიზში უშუალოდ ტურის პოდიუმზე მიეღო, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო კონტადორს ტიტული ჩამოერთვა და ავტომატურად გამარჯვებული შლეკი გახდა.


შლეკმა კუთვნილი მიიღო

● მძლეოსნობა

# ბელარუსში ქრთამს იღებენ


ანატოლი ბადუევი

ბელარუსში ამ ქვეყნის მძლეოსნობის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ანატოლი ბადუევი** დააკავეს. ერთ-ერთი სპორტული გამოცემის ინფორმაციით, დაკავების ოპერაცია ბელარუსის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის თანამშრომლებმა ჩაატარეს. ცნობისთვის, ბადუევი ბელარუსის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწეც გახლავთ.

უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებს არც დაუდასტურებიათ და არც უარყვიათ ბადუევის დაკავების ინფორმაცია. ჟურნალისტებს დაზუსტებული ინფორმაცია ვერც მძლეოსნობის ფედერაციის ოფისში მიაწოდეს. შესაბამისად, ჯერ არ არსებობს ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, დაკავებულია თუ არა ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ის ეჭვმიტანილია ქრთამის აღებასა და სპონსორული თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2012** | |
| **UNDER 19** | |
| ჰოლანდია-საფრანგეთი | 0:6 |
| ნორვეგია-ჩეხეთი | 1:0 |
| ჩერნოგორია-სლოვენია | 0:1 |
| შვეიცარია-ინგლისი | 0:1 |
| გერმანია-უნგრეთი | 3:0 |
| სერბეთი-რუმინეთი | 3:0 |
| ხორვატია-ბოსნია | 2:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| აზერბაიჯანი-ანდორა | 0:0 |
| ესპანეთი-ს. კორეა | 4:1 |
| შვედეთი-ისლანდია | 3:2 |
| შვეიცარია-რუმინეთი | 0:1 |
| ჰოლანდია-სლოვაკეთი | 2:0 |
| **იტალია** | |
| **პლეი ოფი** | |
| სამპდორია-სასუოლო | 2:1 |
| ვარეზე-ვერონა | 2:0 |
| **ფინეთი** | |
| ინტერი-ლაჰტი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| [illegible] | 4:1 |
| ჰიფკ-კპვ | 0:0 |
| სეინაიოენი-ოპს | 0:2 |
| ვიიკინგიტი-ჰამეენლინა | 2:1 |
| **ჩერნოგორია** | |
| მლადოსტი-გრბალი | 4:1 |
| მოგრენი-სუტიესკა | 1:2 |
| პეტროვაცი-დეციჩი | 1:3 |
| რუდარი-ბოკელი | 6:2 |
| ზეტა-ბერანე | 4:2 |
| ბუდუჩნოსტი-ლოვჩენი | 0:1 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ულსანი-კაშივა | 3:2 |
| გუანგჯოუ-ტოკიო | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 84:74 |
| **ესპანეთი** | |
| ვალენსია-ბარსელონა | 64:80 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-სასარი | 92:66 |

● TV პროგრამა

**31 მაისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-სლოვაკეთი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ჯენოა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლილი.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. ლეჩე-მილანი.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:30** ამხანაგური მატჩი. გერმანია-ისრაელი (LIVE).
**00:30** [illegible] იუნ-ჩელსი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. II მატჩი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-ბულგარეთი.
**17:00** რაგბი. ექსი ერის თასი. იტალია-ინგლისი.
**18:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა.
**22:00** NBA Action.
**22:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. II მატჩი.

**00::45** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-სან ანტონიო. III მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ოკლაჰომა-ლეიკერსი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ტულუზა-გლოსტერი.
**15:00** ფეხბურთი. ევროპის თასი. სტოკი-ვალენსია.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ინდიანა.
**19:30** რაგბი. ჰეინეკენის თასი. კარდიფი – ლონდონ აირიში
[illegible] ჩესტერ სიტი-პორტო.
**23:30** ბადმინტონი. ქალები. ჩინეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 28 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 30 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 16 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 16 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 17 | 26 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 15 | 25 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 16 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 7 | 20 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 12 | 24 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 9 | 21 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0366 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6256 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5483 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0664 |

● ამბები

**ბიატლონი**

## ჩემპიონატი ფინეთს მისცეს

გუშინ, ბიატლონისტთა საერთაშორისო კავშირმა მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ფინეთის ქალაქ კონტიოლაჰტის მიანიჭა. ტურნირი 2-15 მარტს ჩატარდება.

ამ დროისთვის ფინეთის ქალაქში ბიატლონის კომპლექსი მნიშვნელოვნად გადაკეთდება. ტრიბუნების ტევადობა 15 ათასამდე გაიზრდება, აგრეთვე გაუმჯობესდება განათების სისტემა, რათა ტელეკომპანიებმა შეძლონ სალამოს რბოლების ტრანსლირება. კომპლექსის ტერიტორია 400 კვადრატულ მეტრამდე გაიზრდება.

შეგახსენებთ, რომ მომავალ წელს ბიატლონში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩეხეთის ნოვო მესტოში გაიმართება.

**მძლეოსნობა**

## ამპუტანტი ისევ ლონდონზე ოცნებობს

ცნობილი სამხრეთაფრიკელი ამპუტანტი მორბენალი **ოსკარ პისტორიუსი**, რომელიც სპეციალური პროთეზებით გადის სარბენ ბილიკზე, აფრიკის ჩემპიონატზე ეცდება ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოპოვებას, - იტყობინება სააგენტო "როიტერი".

გუშინ, მძლეოსანი სამხრეთ აფრიკის ეროვნული ნაკრების შეკრებას შეუერთდა. აფრიკის ჩემპიონატი ბენინში 27 ივნისს დაიწყება. ნორმატივი, რომელიც პისტორიუსს ლონდონში 400 მეტრზე გამოსვლის უფლებას მისცემს, 45,30 წამს უდრის. წელს სამხრეთაფრიკელს ასეთი შედეგი არც ერთხელ არ უჩვენებია.

სპორტი


კაროლინ ვოზნიაცკი

# კარო ყველაზე ლამაზებში

მამაკაცებისთვის განკუთვნილმა ჟურნალმა Maxim-მა მსოფლიოს 100 ყველაზე ლამაზი ქალის რეიტინგი შეადგინა. ამ სიაში ერთადერთი სპორტსმენია – მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, 21 წლის დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი.** მან 86-ე ადგილი დაიკავა. რეიტინგის სათავეში მოექცა მოდელი **ბარ რაფაელი.**

სიაში ვხედავთ სამ ქალბატონს, რომლებსაც რაღაც კავშირი აქვთ სპორტთან. 42-ე ადგილი უკავია **ბრუკლინ დეკერს** - ამერიკელი ჩოგბურთელის **ენდი როდიკის** მეუღლეს. მე-60 პოზიციაზეა "ბარსელონას" მცველის **ხერარდ პიკეს** შეყვარებული **შაკირა,** ხოლო 87-ეა სიაში ყველა დროის საუკეთესო ჰოკეისტის **უეინ გრეტცკის** ქალიშვილი **პაულინა გრეტცკი.**

ფორმულა 1

# ტამარა: ქორწილში არ წავალ!


ტამარა ექლსტოუნი

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნის** ერთ-ერთი ქალიშვილი – **ტამარა ექლსტოუნი** აცხადებს, რომ არ აპირებს მამამისისა და ბრაზილიელი მოდელის **ფაბიანა ფლოზის** ქორწილზე დასწრებას. 80 წლის ბერნის შეყვარებული თავის მომავალ მეუღლეზე 46 წლით უმცროსია.

ჟურნალ Heat-ისთვის მიცემულ ინტერვიუში 27 წლის ტამარამ განაცხადა, რომ ასე დედამისისადმი პატივისცემის ნიშნად იქცევა, რომელსაც ბერნი რამდენიმე წლის წინ გაშორდა, თუმცა ყოფილ მეუღლესა და თავის ორ ქალიშვილს ქონების ნახევარი გადასცა.

*[illegible] ძალიან თბილი ურთიერთობა მაქვს დედაჩემთან და ოდნავ გაოცებული ვარ, რომ მამამ კიდევ ერთხელ გადაწყვიტა დაქორწინება. იმედია, ის ბედნიერი იქნება.*

*არ მგონია დამპატიჟოს, თან ეს არ იქნება პომპეზური ცერემონია, მოკრძალებული ქორწილი შედგება, მაგრამ მე არ წავალ. მომწონს თუ არა ფაბიანა? მე მას არ ვიცნობ და ის ვერ გახდება ბოროტი დედინაცვალი, რადგან უკვე 25 წლის ვიყავი, როცა ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ",* - ამბობს ტამარ ექლსტოუნი.

# ისევ გაუგებრობა

გასულ კვირას გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა **სებასტიან ფეტელმა** 2014 წლის სეზონისთვის წინასწარ შეთანხმებას მიაღწია "ფერარისთან". პილოტმა უარყო ეს ინფორმაცია, მაგრამ გუშინ "რედ ბულის" სპორტულმა დირექტორმა **ჰელმუტ მარკომ** დაადასტურა – გერმანელის ამჟამინდელი კონტრა;ქტი 2014 წლის ბოლომდეა ძალაში, მაგრამ მასში არსებული ერთი პუნქტი ითვალისწინებს ხელშეკრულების 2013 წლის ბოლოს გაუქმებას.

როგორც ეს ხშირად ხდება, კონტრაქტში განსაზღვრულია გარკვეული სპორტული მიზნები, რომელიც 2013 წელს უნდა იყოს რეალიზებული. თუ ასე არ მოხდა, მაგალითად, გუნდმა ვერ შექმნა სწრაფი მანქანა, პილოტს არჩევანის საშუალება გაუჩნდება და მას შეეძლება გუნდის დატოვება, მაგრამ თუ მიზანი მიღწეულ იქნა, კონტრაქტი 2014 წლამდე ავტომატურად გაგრძელდება.

*"სებასტიანთან კონტრაქტი 2013 წლის ბოლომდე გამოსვლას ითვალისწინებს, ხელშეკრულების ერთი წლით გაგრძელებისთვის კი გარკვეული პირობები აქვს წაყენებული როგორც მრბოლელს, ასევე გუნდს",* - ამბობს მარკო გერმანული "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.


მარკო და ფეტელი

როლან გაროსი. IV დღე

# უილიამსები დაი[illegible]ნ

როლან გაროსზე გუშინ მეორე წრე დაიწყო და მამაკაცებს შორის ისევ უდანაკარგოდ აგრძელებენ წინსვლას ფავორიტები.

გუშინდელი დღის პროგრამა გახსნა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა,** რომელიც სლოვენიელ **ბლაჟ კავჩიჩს** ხვდებოდა. ამ უკანასკნელმა თავდაპირველად ვერაფერი დაუპირისპირა სერბ ჩოგბურთელს, რომელმაც საწყისი შვიდი გეიმი აილო. მხოლოდ ამის შემდეგ მოიგო პირველი გეიმი კავჩიჩმა, ცოტა ხანში 1:2-ზე ბრეიკიც გაახერხა და მერვე გეიმში მეტოქის მოწოდების აღების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. ბოლოს კი მაინც ჯოკოვიჩმა იძალა და სეტი 6:4 მოიგო.

კავჩიჩმა ბრძოლა გააგრძელა, მაგრამ ბოლომდე საქმის მისაყვანად ოსტატობა არ ეყო. მან სამი მატჩბოლი მოიგერია, თუმცა ბოლოს მაინც იძულებული გახდა დანებებოდა მეტოქეს – 0:6, 4:6, 4:6.

ამასობაში, **როჯერ ფედერერმა** დაამყარა რეკორდი "დიდი სლემის" ტურნირებზე მოპოვებული გამარჯვებებით. რიგით 243-ე მატჩი მან რუმინელ **ადრიან უნგურთან** შეხვედრაში მოიგო. შვეიცარიელი ბოლომდე ოპტიმალურ ფორმაში არ არის. შეგახსენებთ, რომ წინა წრეში მან სამი გეიმი დათმო თავის მოწოდებაზე, ამჯერად კი საერთოდ სეტი წააგო უნგურთან, ვინც წინა წრეში **დავიდ ნალბანდიანი** გამოთიშა ბრძოლას.

შვეიცარიელმა ექვსი ბრეიკ-პოინტის შანსი მისცა მეტოქეს, თუმცა რუმინელმა ვერც ერთი ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, მესამე სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო. ამ პარტიაში როჯერს ორი მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ თავად გაირთულა საქმე. დანარჩენ პარტიებში კი ფედერერის კლასი იგრძნობოდა და მან ოთხ სეტში მოამთავრა საქმე.

■ ■ ■

24 საათის განმავლობაში გამოეთიშა როლან გაროსს ორივე **უილიამსი.** თუ **სერენას მარცხი ვირჯინი რაზანოსთან** უდიდეს სენსაციად მოინათლა, **ვენუსის** წაგება **აგნიეშკა რადვანსკასთან** სავსებით კანონზომიერი იყო. დღეს პოლონელი გაცილებით უკეთეს ფორმაში იმყოფება, უფროსი უილიამსი კი მხოლოდ ახლა ცდილობს ოპტიმალური კონდიციების დაბრუნებას.

რადვანსკა მთელი მატჩის განვლობაში დომინირებდა კორტზე და მხოლოდ ერთხელ მოდუნდა, რითაც თამაშის გადარჩენის მცირე იმედი მისცა ამერიკელს. ეს იმ დროს მოხდა, როცა მეორე სეტში ანგარიში 5:1 გახდა (პირველი პარტია აგნიეშკამ 6:2 მოიგო) პოლონელი ჩოგბურთელის სასარგებლოდ. ვენუსმა ზედიზედ ორი გეიმი აილო და 5:3 გახადა ანგარიში, მეცხრე გეიმში კი ერთი ქულა აკლდა ანგარიშის მინიმუმამდე შესამცირებლად, მაგრამ ეს შანსი ხელიდან გაუშვა, რადვანსკამ კი მატჩბოლი გამოიყენა და ლოგიკურად გააგრძელა როლან გაროსზე წინსვლა.

წინა წრეში წაგებას სასწაულებრივ გადარჩენილმა **ვიქტორია აზარენკამ** მეორე რაუნდი სავარჯიშოდ გამოიყენა. მისი სპარინგ-პარტნიორი როლან გაროსის გერმანელი დებიუტანტი **დინა პფიცენმაიერი** იყო, რომელმაც მოიგო პირველი გეიმი, მაგრამ შემდეგ ერთიმეორეს მიყოლებით დათმო ზედიზედ 11 გეიმი. თამაში ჯამში 55 წუთი გაგრძელდა. აზარენკამ, როგორც ჩანს, დაივიწყა პირველი წრის კოშმარი, როცა გადამწყვეტ სეტში 0:4-დან გადაარჩინა **ბრიანტისთან** შეხვედრა.

ჯერჯერობით წარმატებით მიიწევს წინ სერბი **ანა ივანოვიჩი,** რომელმაც გუშინ ერთნაირი ანგარიშით – 6:2 მოიგო ორი სეტი **შაარ პეერს.** ივანოვიჩს კარიერაში "დიდი სლემის" ერთადერთი ტურნირი სწორედ პარიზში აქვს მოგებული, მაგრამ ბოლო სამი წლის აქ მეოთხედფინალამდე ვერ მიაღწია. სერბმა თითქოს დაძლია კრიზისი, რომელიც მის თამაშში ბოლო სამი სეზონის განმავლობაში შეინიშნებოდა, მაგრამ ანას ყოველ ჯერზე რაღაც აკლდება დიდი წარმატების მისაღწევად. მაგალითად, წელს მან არაერთ ტურნირზე აჩვენა კარგი თამაში, მაგრამ მიმდინარე სეზონში ერთხელაც არ უთამაშია ფინალში.

დღე არ ჩაივლის, რომ ქალთა ტურნირში ერთი მოულოდნელი შედეგი არ დაფიქსირდეს. ამჯერად ტურნირს გამოეთიშა ფრანგული პუბლიკის მთავარი იმედი, მერვე ნომრად გათესილი **მარიან ბარტოლი.** შარშანდელმა ნახევარფინალისტმა 14 ორმაგი შეცდომა დააგროვა მსოფლიოს 50-ე ჩოგანთან, ხორვატ **პეტრა მარტიჩთან.** ფრანგს შეუძლია თავის აქტივში მეორე სეტი ჩაიწეროს, როცა ასე თუ ისე ნორმალურად გამოიყურებოდა, მაგრამ დანარჩენ პარტიებში აშკარად იგრძნობოდა, რომ მარიონი ჯერ არ არის ოპტიმალურ ფორმაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ვენუსიც წავიდა

II წრე

**კაცები**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ) 6:0, 6:4, 6:4; **ნიკოლა დევილდერი (საფ)**-მიხაელ ბერერი (გერ) 7:6(5), 6:4, 6:4; **ანდრეას სეპი (იტა, 22)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზ) 6:7(5), 6:2, 2:6, 6:1, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 14)**-ჟილ მიულერი (ლუქ) 6:7(5), 6:3, 6:2, 6:2; **ჟილ სიმონი (საფ, 11)**-ბრაიან ბეიკერი (აშშ) 6:4, 6:1, 6:7(4), 1:6, 6:0; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 18)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 7:6(3), 6:7(4), 6:2, 6:1; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ადრიან უნგური (რუმ) 6:3, 6:2, 6:7(6), 6:3; **ნიკოლა მაუ (საფ)**-მარტინ კლიჟანი (სლოვაკ) 4:6, 6:4, 7:6(5), 6:3; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-ფლორან სერა (საფ) 7:6(0), 6:2, 7:6(4); **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 9)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 6:7(5), 7:6(3), 6:4, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 21)**-ხუან კარლო ფერერო (ესპ) 7:6(4), 6:2, 6:3; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 31)**-ორასიო სებალიოსი (არგ) 6:3, 3:6, 6:3, 6:0; **ტომაშ ბერდიხი (სერ, 7)**-მიკაელ ლოდრა (საფ) 6:2, 6:3, 6:3.

**ქალები**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-დინა პფიცენმაიერი (გერ) 6:1, 6:1; **ალექსანდრა ვოზნიაკი (კან)**-ჟიე ჟენგი (ჩინ, 31) 6:2, 6:4; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 20) 6:4, 7:5; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 15)**-ვანია კინგი (აშშ) 6:0, 6:2; **სლოუნ სტივენსი (აშშ)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:1, 6:1; **მატილდ იოჰანსონი (საფ)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ, 24) 7:6(1), 6:2; **ნადია პეტროვა (რუს, 27)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:3, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 6)**-ირინა ფალკონი (აშშ) 6:1, 6:4; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3)**-ვენუს უილიამსი (აშშ) 6:2, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 26)**-იუნ-იან ჩანი (ტაივ) 6:4, 7:6(4); **სერა ერანი (იტა, 21)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:2, 6:3; **ანა ივანოვიჩი (სერ, 13)**-შაარ პეერი (ისრ) 6:2, 6:2; **ფლავია პენეტა (იტა, 18)**-ალექსა გლეტჩი (აშშ) 6:3, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 29)**-ირენა პავლოვიჩი (საფ) 6:3, 6:2; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 8) 6:2, 3:6, 6:3.

ლელო დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608